საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№33 (457)
19 - 25 სექტემბერი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## არარაობები ხალხის დამოძღვრის პრეტენზიით 16

# «პლანი» მათი არსობისა




ელიტის უდიდესი ნაწილი კი, როგორც ეს მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე, დაკავებულია პერსპექტივების შეფასებით, ფიქრობს: შეეძლება თუ არა «შეძვრეს» ამ ახალ ბიზნესში, მოგება ნახოს და პოზიციას პრობლემის მიმართ სწორედ ამის საფუძველზე აყალიბებს

2011 წლის 7 ოქტომბრის (თავის პირველ) განცხადებაში ბიძინა ივანიშვილი მაღალტექნოლოგიური საწარმოების და შესაბამისი სამუშაო ადგილების შექმნას გვპირდებოდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საბოლოოდ მსჯელობა ბიტკოინებსა და მარიხუანაზე მოგვიწევდა 2

მამა გურამი (გამცემლიძე): 6



## უბედურებაა, როცა ქვეყნის სათავეში დგანან ადამიანები, რომლებსაც ზნეობა და უზნეობა ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ

## ვის ჩამოჰყავს საქართველოში ირანიდან ლგბტ პირები და ვინ კურატორობს მათთვის აქ თავშესაფრის მიცემას? 3

„ირანიდან ჩამოსული ლგბტ პირები ფულს აბანდებენ ადგილობრივ „უფლებადამცველ“ ორგანიზაციებში — თავიანთი ინტერესების ლობირებისთვის გულუხვად იხდიან“

# ამერიკელებისა და ბართოლომეოსის ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ



«საქართველოს ეკლესია შეფარვით ეწევა რუსულ პროპაგანდას და ჩვენ ამას წინ უნდა აღვუდგეთ» 5

## მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების შეფასებები 4

## სწორი არჩევანი — უკანასკნელი შანსი საქართველოსი! 7



მისი უწმინდესობა ბართოლომეოსი: ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას გაგებით უნდა მოვეკიდოთ



## რუსეთმა და ჩინეთმა ერთობლივი პასუხისმგებლობა აიღეს ევრაზიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვაზე 15

## აზერბაიჯანი რუსეთისკენ იხედება 10



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ საგანგაშო არაფერი ხდება და აქცენტი კონტროლზე გადააქვს (მოხმარების აკრძალვა 21 წლამდე, პროფესიული შეზღუდვები და ა.შ.). აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია ყურადღება პროცესის ეტაპობრიობას მივაქციოთ — მასშტაბური წარმოების დაწყებამდე ბიზნესმენებს ლეგალიზაცია არ სჭირდებათ. ის სტიქიური ნახევრადლეგალური ბაზრის გაჩენას გამოიწვევს, რომლის რეგულირება და ათვისება ცალკე თავის ტკივილი გახდება.**

# «პლანი» მათი არსობისა



**გასულ კვირას ქართული საზოგადოება მარიხუანაზე 24-საათიან რეჟიმში ლაპარაკობდა. ყველა სხვა პრობლემამ უკანა პლანზე გადაიწია. ამის მიზეზი ხელისუფლების მიერ შემუშავებული კანონპროექტი გახდა, რომელიც მარიხუანას წარმოებისა და ექსპორტისათვის სამართლებრივ ჩარჩოს და ლიცენზირების მექანიზმს ქმნის. ვის ინტერესებში შეიძლება შედიოდეს მისი მიღება?**

კარლ მარქსის თქმის არ იყოს, მთავარი ეკონომიკური ბაზისია. ლეგალური მარიხუანის გლობალური ბაზარი ძალიან მაღალი ტემპებით ფართოვდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ 2021 წლამდე ის ყოველწლიურად 60%-ით, 47 მილიარდამდე გაიზრდება. ეს შედარებით ზომიერი პროგნოზი „ფორბსმა" „ბრაიტფილდ გრუპის" კვლევაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა. საინვესტიციო ბანკ „კოვენის" ექსპერტების აზრით კი, წლიური გაყიდვები 2030 წლისთვის 75 მილიარდ დოლარს მიაღწევს. ამ ეტაპზე გაყიდვების 90 პროცენტი აშშ-ზე მოდის, თუმცა ნავარაუდევია, რომ 2021 წლისთვის ის 57%-მდე შემცირდება, რადგან ბაზარზე სხვა ქვეყნების წარმომადგენლები შემოვლენ. კანადის პერსპექტივების შეფასებისას, კონსალტინგურმა სააგენტო „დელოიტმა" ივარაუდა, რომ ამ ქვეყანაში ეკონომიკის ახალი სექტორი 150 ათას სამუშაო ადგილს შექმნის, ხოლო შემოსავალი 22 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ალბათ, მიზანშეწონილია, უფრო მცირე ქვეყნის — ისრაელის მაგალითიც განვიხილოთ. იქ, ისევე როგორც საქართველოში, ჯერ მოხმარების დეკრიმინალიზაცია მოხდა, შემდეგ დღის წესრიგში ექსპორტის საკითხი დადგა. სხვათა შორის, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა **გიორგი ქობულიამ** თქვა, რომ მთავრობაში სწორედ კანადისა და ისრაელის მაგალითი შეისწავლეს. ისრაელში დაშვებულია მოხმარება სამედიცინო მიზნით, ანუ რეცეპტის საფუძველზე, რაც შეეხება სრულ ლეგალიზაციას, ამასთან დაკავშირებით დისკუსია მიდის. ლეგალიზაციის მოწინააღმდეგეები აქცენტს ზნეობრივ მხარეზე, რელიგიურ ფაქტორზე აკეთებენ, მომხრეები კი — ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე. „ბაზრის შესწავლის იერუსალიმის ინსტიტუტმა" გამოთვალა, რომ შავი ბაზრის ბრუნვა 2,5 მილიარდ შეკელს შეადგენს (1 შეკელი 0,28 დოლარია), ხოლო ლეგალიზაციის შემთხვევაში ხაზინაში 950 მილიონი შეკელი შევა თუ მარიხუანა თამბაქოს სქემით დაიბეგრება, ამასთანავე, ბიუჯეტში დარჩება 700 მილიონამდე შეკელი, რომელიც ყოველწლიურად არალეგალურ ვაჭრობასთან და მოხმარებასთან ბრძოლაზე იხარჯება.

ასეა თუ ისე, არსებობს ბაზარი, რომელიც ძალიან სწრაფად იზრდება, ახალი ბიზნესი, რომელიც ინვესტორების დაინტერესებას იწვევს და ნაკლებად სავარაუდო იყო, ბიძინა ივანიშვილს ამ ტენდენციებისთვის ყურადღება არ მიექცია. საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს კომენტატორი (პროსახელისუფლო პროპაგანდისტების გამოკლებით), რომელიც კანონპროექტის მომზადებას და მარიხუანასთან დაკავშირებულ პროცესს ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს არ უკავშირებს.

ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ „ქართული ბიტკოინების" ისტორია. ფორმალურად, ივანიშვილს ამ საქმესთან შეხება არ ჰქონია, მაგრამ, როგორც კი მოულოდნელად გაჩნდა ახალი ციფრული პროდუქტი და მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა, საქართველოში ძალიან სწრაფად გაიხსნა მაინინგის საწარმო, რომელმაც ყველა წარმოსადგენი შეღავათი მიიღო. ანალოგიური რამ შეიძლება მარიხუანას შემთხვევაშიც მოხდეს, მითუმეტეს, რომ ამ შემთხვევაში პოტენციური მოგება გაცილებით დიდია. **2011 წლის 7 ოქტომბრის (თავის პირველ) განცხადებაში ბიძინა ივანიშვილი მაღალტექნოლოგიური საწარმოების და შესაბამისი სამუშაო ადგილების შექმნას გვპირდებოდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საბოლოოდ მსჯელობა ბიტკოინებსა და მარიხუანაზე მოგვიწევდა.**

დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მოხმარების სრული ლეგალიზაცია გამორიცხულია, თუმცა მათ, ალბათ, უნდა დაამატონ „ამ ეტაპზე". **თუ კანონპროექტს მიიღებენ და წარმოება დაიწყება, ძნელი დასაჯერებელია, რომ ქართველი ბიზნესმენები მხოლოდ ექსპორტით, უცხოურ ბაზარზე მუშაობით და იქ კანადურ თუ სხვა უცხოურ კომპანიებთან ჭიდაობით დაკმაყოფილდებიან.** მათ შეუძლიათ, იაფი მუშა ხელი გამოიყენონ ან საგადასახადო შეღავათები მიიღონ, მაგრამ პოტენციური კონკურენტების აქტივში იქნება ტექნოლოგიური უპირატესობა, ხარისხის კონტროლი, ძლიერი მარკეტინგი და სხვა. **პრაქტიკულად გამორიცხულია ქართველმა მწარმოებლებმა ადგილობრივი ბაზრის ათვისება არ სცადონ, სადაც (უპირველესად, ტურისტების ხარჯზე) გარანტირებული რეალიზაცია და მონოპოლიური მდგომარეობა ექნებათ (ამის მიღწევის შესაძლებლობა ნამდვილად აქვთ). სოცქსელებში მკაფიოდ ჩანს, რომ მსუბუქი ნარკოტიკების მომხმარებლები მეზობელი ქვეყნებიდან აღტაცებულნი არიან საქართველოში მარიხუანის ლეგალიზაციის პერსპექტივით და ამან შეიძლება რეალიზაციის მთელი ინდუსტრიის შექმნა (სპეციალიზებული აფთიაქები, კლუბები და ა.შ.) და შემოსავლების ზრდა მოიტანოს.** სხვა საკითხია, რამდენად შეესაბამება ასეთი ბიზნესი ქართული საზოგადოების, კერძოდ კი მისი კონსერვატიული ნაწილის პრინციპებს.

> **2011 წლის 7 ოქტომბრის (თავის პირველ) განცხადებაში ბიძინა ივანიშვილი მაღალტექნოლოგიური საწარმოების და შესაბამისი სამუშაო ადგილების შექმნას გვპირდებოდა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საბოლოოდ მსჯელობა ბიტკოინებსა და მარიხუანაზე მოგვიწევდა**

ამგვარად, შეგვიძლია **თამამად ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში გადაიდგმება რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც შესაძლებელს გახდის არა მხოლოდ მარიხუანის მოხმარებას, არამედ მის ლეგალურ შეძენას და ეს სწორედ იმ პერიოდში მოხდება, როდესაც ახალი „ფერმები" საპროექტო სიმძლავრეზე გავლენ, იქამდე დარჩენილი დრო კი ოპონენტების დარწმუნებასა თუ მოსყიდვას დაეთმობა.** ძნელი სათქმელია, როგორც მოხდება რეალიზაცია კონკრეტულად — აფთიაქებში გაყიდვის გზით, როგორც ეს ისრაელსა და ურუგვაიში ხდება (რეცეპტის შოვნა საქართველოში განსაკუთრებული პრობლემა არასოდეს ყოფილა) თუ რაიმე სხვას, ორიგინალურს მოვიგონებთ. არსებითი მნიშვნელობა ამას, ალბათ, არ აქვს.

როდესაც რუსთაველის გამზირზე, „ბასიანის" კლუბთან დაკავშირებული აქციები იმართებოდა, 13 მაისს, დაძაბულობის პიკზე ბიძინა ივანიშვილის ვაჟიშვილმა ბერამ გამოაქვეყნა კლიპი ლეგალიზაციის მოწოდებით. მაშინ ბევრ კომენტატორს გაუჩნდა ეჭვი, რომ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული პროცესის უკან სწორედ „ქართული ოცნების" ლიდერის ინტერესი იკვეთება. იმ აქციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა — მან მმართველ ელიტას შესაძლებლობა მისცა ეთქვა, რომ გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან არის ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია შერბილების მიმართულებით. ზოგიერთი კომენტატორი უფრო შორს მიდის და ირწმუნება, რომ პოლიციის რეიდი ღამის კლუბებში ასეთი უხეში ფორმით სწორედ იმიტომ ჩაატარეს, რომ საპასუხო რეაქცია გამოეწვიათ და საბოლოოდ ლიბერალიზაციის მოთხოვნის ლეგიტიმაცია მიეღოთ, რაც, დიდი ალბათობით, შეზღუდვების ეტაპობრივ გაუქმებამდე მიგვიყვანს.

კანონპროექტის მიღების და მარიხუანას წარმოების დაწყების შემდეგ, „გირჩი", „თეთრი ხმაური" და სხვა მონათესავე ორგანიზაციები, სავარაუდოდ, ისაუბრებენ შექმნილი ვითარების უსამართლობასა და ალოგიკურობაზე. მსხვილი კაპიტალი მარიხუანის წარმოებით იხეირებს, ხოლო „რიგით" მომხმარებელს არ შეეძლება ლეგალურად შეიძინოს ან მოიყვანოს ის. მათი პროტესტი, დიდი ალბათობით, ლიბერალიზაციის ახალი ეტაპით დასრულდება. ისევე, როგორც დეკრიმინალიზაციის შემთხვევაში, საკვანძო როლი შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეასრულოს. სარჩელის ავტორები ყურადღებას, სავარაუდოდ, უფლებების არალოგიკურ შეზღუდვაზე გაამახვილებენ - თუ პროდუქტის წარმოება და მოხმარება (ამ ეტაპზე — სახლში) ლეგალურია, რატომ არ შეიძლება მისი ლეგალური შეძენა?

> **ელიტის უდიდესი ნაწილი კი, როგორც ეს მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე, დაკავებულია პერსპექტივების შეფასებით, ფიქრობს: შეეძლება თუ არა «შეძვრეს» ამ ახალ ბიზნესში, მოგება ნახოს და პოზიციას პრობლემის მიმართ სწორედ ამის საფუძველზე აყალიბებს**

აქ მნიშვნელოვანია შემდეგი მომენტი: მსხვილი ბიზნესის ტოტალურმა მონოპოლიამ შეიძლება გააღიზიანოს მოსახლეობის ნაწილი, ამიტომ, „მთავარი დამკვეთი", სავარაუდოდ, იძულებული გახდება, დაუთმოს ელიტის წარმომადგენლებს გარკვეული წილი წარმოებასა და რეალიზაციაში და რამდენიმე მცირე შეღავათი „უბრალო მოქალაქეებსაც" მიუგდოს.

ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ საგანგაშო არაფერი ხდება და აქცენტი კონტროლზე გადააქვს (მოხმარების აკრძალვა 21 წლამდე, პროფესიული შეზღუდვები და ა.შ.). აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია ყურადღება პროცესის ეტაპობრიობას მივაქციოთ — მასშტაბური წარმოების დაწყებამდე ბიზნესმენებს ლეგალიზაცია არ სჭირდება. ის სტიქიური ნახევრადლეგალური ბაზრის გაჩენას გამოიწვევს, რომლის რეგულირება და ათვისება ცალკე თავის ტკივილი გახდება. ამასთანავე, მყისიერმა ლეგალიზაციამ შეიძლება კონსერვატორების არაპროგნოზირებადი რეაქცია გამოიწვიოს. მაქსიმალური შედეგის მომტანი კი მცირე ნაბიჯები და ეტაპობრივი წინსვლაა, ამას უკლებლივ ყველა იმ ქვეყნის მაგალითი ადასტურებს, რომლებიც მარიხუანის მოხმარებისა და წარმოების ლეგალიზაციის გზას დაადგა.

**მთავარი პრობლემა კანონპროექტის ავტორებისთვის, უფრო სწორად კი მისი სულისჩამდგმელებისთვის, ეკლესიის პოზიციაა — ის ახალ ინიციატივას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. რაც შეეხება პოლიტიკოსებს, რომლებიც ადრე კონსერვატორებად და ლეგალიზაციის მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ, მათ რიგებში დაბნეულობა სუფევს. ზოგიერთი მათგანი პოზიციას ცვლის; ელიტის უდიდესი ნაწილი კი, როგორც ეს მსგავს შემთხვევებში ხდება ხოლმე, დაკავებულია პერსპექტივების შეფასებით, ფიქრობს: შეეძლება თუ არა „შეძვრეს" ამ ახალ ბიზნესში, მოგება ნახოს და პოზიციას პრობლემის მიმართ სწორედ ამის საფუძველზე აყალიბებს. მთავარმა დამკვეთმა კი, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე შეიმუშავა საკვანძო ფიგურების მოთაფვლის, გაჩუმების ან, პირიქით, მისთვის სასურველ კონტექსტში ალაპარაკების გეგმა და, სავარაუდოდ, დასახულ მიზანს ამ შემთხვევაშიც მიაღწევს. ამგვარად, საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ, ეკლესიისა და საზოგადოების კონსერვატიული ნაწილის პროტესტის მიუხედავად, კანონმდებლობაში ცვლილებები შევა და საქართველო მარიხუანას მწარმოებელი ქვეყანა გახდება, რის შემდეგაც დღის წესრიგში მისი მოხმარების სრული ლეგალიზაციის საკითხი დადგება.**



„დღევანდელი საქართველოსთვის, სადაც ისედაც მიაქვს ყველაფერი ლგბტ-ებსა და უცხოეთიდან დაფინანსებულ მეხუთე კოლონას, უცხოეთიდან შემოყვანილი მამათმავლების დამატება კატასტროფაა, მაგრამ, როცა სახელმწიფოს პატრონი არ ჰყავს და განმკითხავი არავინაა, ეს ყველაფერი გასაკვირი არც არის.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცხოეთიდანაა, ესე იგი, კარგია?

## ვის ჩამოჰყავს საქართველოში ირანიდან ლგბტ პირები და ვინ კურატორობს მათთვის აქ თავშესაფრის მიცემას?



### ნიკოლოზ მჟავანაძე:

## ირანიდან ჩამოსული ლგბტ პირები ფულს აბანდებენ ადგილობრივ «უფლებადამცველ» ორგანიზაციებში — თავიანთი ინტერესების ლობირებისთვის უხვად აფინანსებენ

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯომარე ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოში ირანიდან სექსუალური უმცირესობის ასეულობით წარმომადგენელი ჩამოვიდა. გამომდინარე იქიდან, რომ ირანში ჰომოსექსუალიზმი მკაცრად ისჯება, ირანელი ჰომოსექსუალები ქვეყნიდან გარბიან და საიმედო თავშესაფარს საქართველოში ეძებენ: „ირანში ჰომოსექსუალიზმი სიკვდილით ისჯება, რის გამოც ირანელი ჰომოსექსუალები საიმედო თავშესაფარს საქართველოში პოულობენ. ჰომოსექსუალთა მიგრაციაში ჩართულია ადგილობრივი და საერთაშორისო ლგბტ ორგანიზაციები“... ეს ინფორმაცია ნიკოლოზ მჟავანაძემ ცოტა ხნის წინათ გაავრცელა სოციალურ ქსელში, რასაც მყისვე მოჰყვა ადგილობრივი „ლიბერალური“ ისტებლიშმენტის შეშფოთება და ისტერიკა. როგორც ჩანს, სოროსის გრანტით გულუხვად დაფინანსებული მესამე სექტორი, წლებია, ირანიდან და არა მხოლოდ ირანიდან, აზიისა და ახლო-აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან აქტიურად ეწევა მამათმავლების იმპორტს. „დემოკრატიული დასავლეთის“ მიერ ყურმოჭრილი ხელისუფლება კი ამ საქმეში მათი მთავარი ხელშემწყობია. კონკრეტულად ვინ კურატორობს საქართველოში აზიიდან სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩამოყვანას და რა საფრთხეებს შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს ჩვენთვის ეს ყველაფერი? ამ საკითხზე „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე **ნიკოლოზ მჟავანაძე** გვესაუბრება.




**— ბატონო ნიკოლოზ, რა ინფორმაცია გაქვთ აზიიდან და კონკრეტულად ირანიდან ლგბტ პირების ჩამოყვანის თაობაზე? რომელი „უფლებადამცველი“ ორგანიზაციები კურატორობენ ამ ყველაფერს?**

— მოგეხსენებათ, ირანში ჰომოსექსუალიზმი სიკვდილით ისჯება და ამ ჯგუფის წარმომადგენლებს იქ არ დაედგომებათ. შესაბამისად, ისინი მასობრივად ტოვებენ ქვეყანას და თავშესაფრის მოთხოვნით მიმართავენ ისეთ სახელმწიფოებს, რომლებშიც მათი უსაფრთხოება იქნება დაცული. რაც შეეხება საქართველოს, **გამომდინარე იქიდან, რომ, უკვე წლებია, ირანთან უვიზო მიმოსვლა გვაქვს და ადვილია ირანის მოქალაქისთვის აქ ჩამოსვლა, ერთ-ერთი მთავარი სამიზნე და საიმედო თავშესაფარი ჰომოსექსუალთათვის არის სწორედ საქართველო.** გარდა ამისა, ადგილობრივი ლგბტ ორგანიზაციებიც აქტიურად არიან ჩართული ამ საქმეში. **ისინი, ფაქტობრივად, ყველაფერს აკეთებენ, რათა თითოეულმა ჩამოსულმა ლგბტ პირმა, ამ შემთხვევაში საუბარია ირანიდან ჩამოსულ ადამიანებზე, თავშესაფარი მიიღოს. თუმცა ლგბტ ორგანიზაციები არ არის ერთადერთი, ვინც ამას აკეთებს. ამ საქმეში ასევე ჩართულია სახალხო დამცველის ოფისიც,** რომელიც რეკომენდაციებს უწევს ამ ადამიანებს და ყველანაირად ეხმარება აქ დარჩენაში. აი, ეს ხდება რეალურად. იმას, რა არის ამაში ცუდი ან მიუღებელი, მგონი, ახსნა არ სჭირდება. **დღევანდელი საქართველოსთვის, სადაც ისედაც მიაქვს ყველაფერი ლგბტ-ებსა და უცხოეთიდან დაფინანსებულ მეხუთე კოლონას, უცხოეთიდან შემოყვანილი მამათმავლების დამატება კატასტროფაა, მაგრამ, როცა სახელმწიფოს პატრონი არ ჰყავს და განმკითხავი არავინაა, ეს ყველაფერი გასაკვირი არც არის.**

**— რა საფრთხეებს შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს ჩვენთვის ეს ყველაფერი?**

— დავიწყოთ იმით, რომ დღითიდღე იზრდება ამ ადამიანების რაოდენობა საქართველოში და აქ ისინი თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალში, რაც, ვფიქრობ, სერიოზული პრობლემაა ჩვენი ქვეყნისთვის. პრობლემაში ვგულისხმობ იმას, რომ იყო რამდენიმე ფაქტი, როცა მიგრანტებმა არასრულწლოვნების მიმართ ჩაიდინეს გარყვნილი ქმედება. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ ვარკეთილში ბავშვებს აშიშვლებდნენ და ფოტოებს ულებდნენ, რაზეც, სხვათა შორის, „ლიბერალურმა“ მედიამ და სოროსის ლეკვებმაც კი ვერ შეიკავეს თავი. ეს ერთადერთი დანაშაული არ არის, რასაც ისინი სჩადიან. პორნოსაიტებიც არსებობს, რომლებზეც ქართველ არასრულწლოვნებს იღებენ და ასე ხდება მათი ჩაბმა პროსტიტუციაში. გარდა ამისა, ეს ადამიანები ხსნიან რაღაც დაწესებულებებს, რომლებსაც ღამის კლუბებს ეძახიან და კაცმა არ იცის, იქ რა ხდება. საერთოდ, ამ ყველაფერზე უამრავი მტკიცებულება არსებობს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ შესაბამისმა უწყებებმა მკაცრი ღონისძიებები გაატარონ, ამ ყველაფერს ჩქმალავენ. **როდესაც კონკრეტული ფაქტი თუ ფაქტები ვლინდება, „ლიბერალები“ გაიძახიან, დამნაშავის წარმომავლობას ხაზი არ უნდა გაესვასო. ანუ, ვთქვათ, ვიღაც ირანელმა ბავშვი რომ გააშიშვლა და ფოტოები გადაუღო, რომელიც მერე ინტერნეტში ატვირთა, მედიაში არ უნდა იყოს ნახსენები, რომ დამნაშავე ირანელია. არადა, როცა ქართველი ევროპაში დანაშაულს ჩაიდენს, პირველი ესენი გაჰყვირიან.** არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ის, რაც დღეს ხდება, განადგურებაა მომავალი თაობის. ეს არის სწორედ დალესის გეგმა და ზუსტად ეს გეგმა ითვალისწინებს იმას, რომ მომავალი თაობების ჩაბმა მოხდეს გარყვნილებაში.

**— შეგიძლიათ, დაასახელოთ კონკრეტული ორგანიზაცია, რომელიც ლგბტ პირებს ირანიდან საქართველოში ჩამოსვლასა და თავშესაფრის მიღებაში ეხმარება?**

— კიდევ ვიმეორებ: საუბარია საქართველოში მოქმედ ლგბტ ორგანიზაციებზე. ახლა მათი სახელწოდებები ზეპირად არ მახსოვს. ერთხელ პირადად შევესწარი ფაქტს სახალხო დამცველის ოფისში, როცა რამდენიმე ლგბტ ჯგუფი იყო მისული და ახსნა-განმარტებებს აძლევდნენ მათი უფლებების შელახვის თაობაზე. ისე, ძალიან მაინტერესებს, **ირანი მრავალმილიონიანი ქვეყანაა და ათასობით ლგბტ პირმა რომ მიმართოს ამ ქვეყნიდან საქართველოს თავშესაფრის მოთხოვნით, ყველას დააკმაყოფილებენ?** ან რა შედეგს მივიღებთ ჩვენ საბოლოოდ, ვინმეს უფიქრია? სხვათა შორის, **ირანიდან ჩამოსული ლგბტ პირები მერე ფულს აბანდებენ ადგილობრივ „უფლებადამცველ“ ორგანიზაციებში და თავიანთი ინტერესების ლობირებისთვის მათ უხვად აფინანსებენ. ამიტომაა, რომ ყოველთვის, როცა საუბარია საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და იდენტობის დაცვაზე, არასამთავრობოები წინააღმდეგ მიდიან, ანუ მათი განწყობა და დამოკიდებულება ყოველთვის არის წინააღმდეგობრივი, რაც, ბუნებრივია, შემთხვევითი არ არის.** აი, ასეთი გულისამრევი მდგომარეობაა დღეს საქართველოში და ჩვენ გავნადგურდებით ძალიან მალე, თუ ეს ყველაფერი არ შეიცვალა. გავნადგურდებით იმიტომ, რომ ცალკე ეს ნარკოტიკები, ცალკე მამათმავლობის პროპაგანდა და კიდევ სხვა უამრავი უზნეობა, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე ნორმადაა ქცეული, ერის გადაშენების ტოლფასია.

**— გამოსავალს ხედავთ?**

— საზოგადოდ, რა თქმა უნდა, საჭიროა ძირეული პოლიტიკური ცვლილებები და ქვეყნის სათავეში უნდა მოვიდნენ ეროვნული ძალები, მაგრამ ამ ეტაპზე ხელისუფლების კონტროლია აუცილებელი. **ჩვენ ახლა ხელმოწერებს ვაგროვებთ, რათა ბინადრობის უფლება ასე მასობრივად არ დაურიგონ უცხოელებს და ამ მხრივ უფრო მეტი სიმკაცრე გამოიჩინონ. ახლა ეს ვიღაცას შეიძლება შოვინიზმად მოეჩვენოს, მაგრამ არ გვინდა, ჩვენს ქვეყანაში ასე ერთი ხელის მოსმით რიგდებოდეს ბინადრობის უფლება.** ამ უფლებას რომ მიიღებენ, მერე მოქალაქეობასაც ითხოვენ და საბოლოოდ ამას ძალიან დიდ პრობლემებამდე მივყავართ. აი, ეს არის ის, რაც ყველას გვაწუხებს, და ამისთვის საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, თუმცა **ჩვენთან, სამწუხაროდ, სახელმწიფოებრივად არავინ აზროვნებს და ამიტომაც ცხვირში ძმრად ამოგვადინეს ეს ევროპაში უვიზოდ მიმოსვლა. რად გვინდოდა ასეთი უვიზო მიმოსვლა, თუ ამის გამო ვალდებულებას ავიღებდით, რომ საქართველო მიგრანტებით უნდა გაივსოს?! ან რა სარგებელს ველოდებით აქედან მომავალში, გაუგებარია...**

> **«გამომდინარე იქიდან, რომ, უკვე წლებია, ირანთან უვიზო მიმოსვლა გვაქვს და ადვილია ირანის მოქალაქისთვის აქ ჩამოსვლა, ერთ-ერთი მთავარი სამიზნე და საიმედო თავშესაფარი ჰომოსექსუალთათვის საქართველოა. გარდა ამისა, ადგილობრივი ლგბტ ორგანიზაციებიც აქტიურად არიან ჩართული ამ საქმეში და ისინი, ფაქტობრივად, ყველაფერს აკეთებენ, რათა თითოეულმა ჩამოსულმა ლგბტ პირმა, ამ შემთხვევაში საუბარია ირანიდან ჩამოსულ ადამიანებზე, თავშესაფარი მიიღოს. თუმცა ლგბტ ორგანიზაციები არ არის ერთადერთი, რომელიც ამას აკეთებს. ამ საქმეში ასევე ჩართულია სახალხო დამცველის ოფისიც»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

შეტევა მართლმადიდებლობაზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პოროშენკომ ბრაუნბეკს გააცნო ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა და უნდა გადაიდგას უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის შექმნის გზაზე, — ნათქვამია ოფიციალურ მიმართვაში, — და მადლობა გადაუხადა ამერიკის მხარეს ამ პროცესში აქტიური მხარდაჭერისთვის. თავის მხრივ, ელჩი ბრაუნბეკი დაჰპირდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სამომავლოდაც მხარს დაუჭერს უკრაინას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში და იმაში, რომ ქვეყანას ჰქონდეს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“.**

# ომი მართლმადიდებლობის წინააღმდეგ პოროშენკომ ამერიკელების წაქეზებით დაიწყო


პოროშენკო და ბრაუნბეკი

**2018 წლის აპრილის დასაწყისში უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო ერთიანი ადგილობრივი მართლმადიდებლური ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნის იდეით გამოვიდა. 19 აპრილს მას მხარი დაუჭირა უკრაინის პარლამენტის დეპუტატების ნაწილმა. პოროშენკომ მიმართა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსს თხოვნით, გამოეტანა შესაბამისი გადაწყვეტილება (ტომოსი).**

აღსანიშნავია, რომ აშშ დაჰპირდა პოროშენკოს უკრაინის რელიგიურ კონფლიქტში ჩარევას. უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პეტრე პოროშენკომ მოლაპარაკებები გამართა უკრაინაში სამუშაო ვიზიტით ჩასულ საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების საკითხებში აშშ-ის ელჩ **სემუელ ბრაუნბეკთან.**

**„პოროშენკომ ბრაუნბეკს გააცნო ის ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა და უნდა გადაიდგას უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის შექმნის გზაზე,** — ნათქვამია ოფიციალურ მიმართვაში, — **და მადლობა გადაუხადა ამერიკის მხარეს ამ პროცესში აქტიური მხარდაჭერისთვის. თავის მხრივ, ელჩი ბრაუნბეკი დაჰპირდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სამომავლოდაც მხარს დაუჭერს უკრაინას სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში და იმაში, რომ ქვეყანას ჰქონდეს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია**“.

უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ცნობით, პოროშენკომ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელთან დაიჩივლა, რომ **„რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საშინლად ირღვევა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, რელიგიური თავისუფლებისა.** მოლაპარაკებებისას მხარეებმა აღნიშნეს, რომ „აუცილებელია, მკაცრი პასუხი გაეცეს კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის, უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენელთა სისტემურ დევნას ოკუპირებულ დონბასსა და ყირიმში“. **მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია და უკრაინის პარლამენტის დეპუტატები უარყოფითად შეხვდნენ პოროშენკოს ინიციატივას — მას ძალაუფლების გადამეტება და ეკლესიის საქმეებში ჩარევა უწოდეს, რადგან, უკრაინის კონსტიტუციის 35-ე მუხლის თანახმად, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსგან.** უკრაინის მიტროპოლიტ **ონოფრეს** 2018 წლის 21 აპრილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ თვით **უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც კანონიკური კავშირი აქვს მსოფლიოს მართლმადიდებლობასთან, პატრიარქ ბართოლომეოსისთვის არ მიუმართავს თხოვნით უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე და არც ამის თხოვნის უფლება მიუცია უკრაინის პრეზიდენტისა და დეპუტატებისთვის.**

„დამოუკიდებელი ეკლესიის“ იდეა მთლიანად ეკუთვნის ხელისუფლებას (პოროშენკოს სურს, რომ ოფიციალურ ღონისძიებებზე ჰყავდეს „თავისი“ პატრიარქი). ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწორედ მოსკოვის საპატრიარქოს თაოსნობით მოიპოვა უკრაინის ეკლესიამ მეტი დამოუკიდებლობა. რუსეთის პატრიარქის დიპლომატიურმა ქმედებებმა გამორიცხა მოსკოვის გავლენა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე (კიევის მიტროპოლიტი ონოფრე მონაწილეობს რუსეთის საპატრიარქოს სინოდის სხდომებში, რუსეთის საპატრიარქოს კი წარმომადგენელიც არ ჰყავს კიევის მიტროპოლიაში).

**საზოგადოდ კი, მართლმადიდებელი ეკლესია თავის ნაწილად არ აღიარებს განხეთქილების შემომტან განდგომილ სტრუქტურებს, ისეთს, როგორიც არის 1992 წელს შექმნილი ორგანიზაცია „კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“,** რომელსაც ხელმძღვანელობს ანათემას გადაცემული **მიხეილ დენისენკო** — მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილი მიტროპოლიტი **ფილარეტი.** მასზე დაყრდნობით და **კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსის აქტიური მონაწილეობით დასავლეთისგან წაქეზებული უკრაინის „პოსტმაიდნური“ ხელისუფლება ცდილობს, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ჩამოაჭრას კანონიკური ტერიტორიები, შექმნას სექტანტური სტრუქტურების კონგლომერატი სახელწოდებით „უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“.** მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია კატეგორიული წინააღმდეგია სექტანტებთან გაერთიანებისა და უარს ამბობს მათთვის თავისი ქონების გაყოფაზე, რომლის ნაწილიც მიტაცებული იქნა უკრაინის პოსტსაბჭოთა ხელისუფლების თანხმობით. **აშშ კი ტრადიციულად მხარს უჭერს ნებისმიერ ინიციატივას, რომლებიც მიმართულია რუსეთისა და მართლმადიდებლობის დასასუტებლად.**

# ბართოლომეოსს გადაწყვეტილების მისაღებად არ აქვს მთავარი — უკრაინის მართლმადიდებელი მრევლის მხარდაჭერა



**უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხზე იმსჯელეს სინაქსზე — კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ყველა იერარქის შეკრებაზე, რომელიც 2018 წლის 1-3 სექტემბერს მიმდინარეობდა.**

ბართოლომეოსის ამ მისწრაფებას აქვს ორი არსებითი ნაკლი: არ არსებობს უკრაინელი მრევლის სურვილი და გამოხატული ნება, გამოეყოს მოსკოვის საპატრიარქოს კიევის ეპარქიას და კიდევ: ე.წ. კიევის პატრიარქატს, რომელსაც ავტოკეფალიას ანიჭებენ, სათავეში უდგას მართლმადიდებლური წესების დაცვით შეჩვენებული, ანათემას გადაცემული და ყველა საეკლესიო ჩინაყრილი ადამიანი გვარად დენისენკო, რომელმაც საკუთარ თავს თვითონ მიანიჭა ეკლესიის წინამძღვრის წოდება. ამიტომ გაუგებარია, ვინ იქნება ტომოსის (განკარგულების) ადრესატი — პრეზიდენტი? ანათემას გადაცემული ყოფილი მიტროპოლიტი **ფილარეტი?** არადა, ადრესატი მრევლი უნდა იყოს. არც მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას გამოუთქვამს მოსკოვთან კავშირის გაწყვეტის სურვილი.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა უკრაინის ეკლესიაში განხეთქილების შეტანის მცდელობას უპასუხა

**რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა 14 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება, შეაჩეროს მონაწილეობა ყველა ღონისძიებასა და სტრუქტურაში, რომლებსაც თავმჯდომარეობს კონსტანტინოპოლის პატრიარქი.** ეს გადაწყვეტილება პასუხია მსოფლიოს პატრიარქის მიერ კიევში ეგზარქოსების დანიშვნასა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების მომზადებაზე.



**„კრიტიკულ ვითარებაში, როცა კონსტანტინოპოლის მხარემ, პრაქტიკულად, უარი თქვა საკითხის დიალოგის გზის გაწყვეტაზე, მოსკოვის საპატრიარქო იძულებულია, ღვთისმსახურებისას შეაჩეროს კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსის მოხსენიება ლოცვებში და ღრმა სინანულით შეაჩეროს ერთობლივი მსახურება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იერარქებთან ერთად“,** — ნათქვამია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განცხადებაში.

ეს ნიშნავს იმას, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების წარმომადგენლები ვეღარ იმუშავებენ ერთობლივ კომისიებში და ვეღარ ჩაატარებენ ღვთისმსახურებას.

ამას გარდა, **რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით, მოწვეული უნდა იქნას მსოფლიოს საეკლესიო კრება, რომელზეც იმსჯელებენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობაში განხეთქილების შეტანის მცდელობაზე და საკადრის პასუხს გასცემენ ამ მცდელობას.**

# მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების შეფასებები ბართოლომეოსის მოქმედებებზე

**რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას უკრაინის ავტოკეფალიის საკითხში მხარი დაუჭირეს 11 კანონიკური ეკლესიის მეთაურებმა:**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა **ილია მეორემ**; იერუსალიმის პატრიარქმა **თეოფილემ;** სევასტიის (იერუსალიმის საპატრიარქო) არქიეპისკოპოსმა **თეოდოსიმ;** ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქმა **თევდორე II-მ**, ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქმა **იოანე X-მ;** სერბეთის პატრიარქმა **ირინეიმ**, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიწების მიტროპოლიტმა **როსტისლავმა**; ბულგარეთის პატრიარქმა **ნეოფიტმა;** ლოვეჩის (ბულგარეთის ეკლესია) მიტროპოლიტმა **გაბრიელმა**, კიტროსის, კატერინისა და პლატამონიის მიტროპოლიტმა **გიორგიმ** (საბერძნეთის ეკლესია); ლიმასოლის მიტროპლიტმა **აფანასიმ** (კვიპროსის ეკლესია).

თავი შეიკავეს **ამერიკის, რუმინეთისა** და ალბანეთის ეკლესიების მეთაურებმა, თუმცა წინააღმდეგი არავინ წასულა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის პოზიციაზე არ დამდგარა.

აი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის განცხადება: **„უკრაინის საკითხის მიმართ მისი უწმინდესობის, პატრიარქ კირილეს თვალსაზრისი განსხვავდება მსოფლიოს პატრიარქის თვალსაზრისისგან, რადგან პატრიარქი კირილე მხარს უჭერს მხოლოდ კანონიკურ ეკლესიას მიტროპოლიტ ონოფრეს მეთაურობით“.**

**ქართველი ექსპერტები დარწმუნებულები არიან, ასეთი ყოვლისმომცველი შეტევა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოიწვევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გახლეჩას, მისი გავლენის შემცირებას მრევლზე, რაც ხელს შეუწყობს ქართველების, როგორც ერის, ინდენტიფიკაციის პროცესის შეწყვეტას, ევროპულ და ევროატლანტიკურ მორევში მის ჩათრევასა და გაქრობას.**

აქცენტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უკრაინის შემდეგ აშშ საქართველოს ეკლესიას შეუტევს

**„კომუნიზმის დამხობის შემდეგ დემოკრატიას (სხვა ვარიანტით, აშშ-ს) ერთადერთი მტერი დარჩა — მართლმადიდებლობა“.**

ზბიგნევ ბჟეზინსკი

**ნამდვილად განაცხადა თუ არა ეს თანამედროვე აშშ-ის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, დღემდე საკამათოა, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ სწორედ ამ დებულებას ეფუძნება. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 12 სექტემბერს თბილისში გამართულ მეოთხე ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე „მსოფლიო თავდაყირა — 2018“, რომელიც ორგანიზებული იყო ახლახან გარდაცვლილი ამერიკელი სენატორის, ჯონ მაკეინის მიერ დაარსებული ინსტიტუტისა და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC) მიერ.**




თავისთავად ცხადია, რომ ამ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს პოლიტიკური ისტებლიშმენტი.

მთავარი სტუმარი, რა თქმა უნდა, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე (რიგით მერამდენე, ვერ გეტყვით) ევროპისა და ევრაზიის საკითხებში — **უეს მიტჩელი** იყო, რომელმაც 2017 წლის ნოემბერში შეცვალა კიევის მაიდნის მოვლენების ორგანიზატორი და მონაწილე **ვიქტორია ნულანდი.** მანამდე მას იცნობდნენ, როგორც ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის (CERA) ერთ-ერთ დამფუძნებელსა და პრეზიდენტს. მიაჩნიათ, რომ ეს ცენტრი აღმოსავლეთ ევროპის მიმართ აშშ-ის ურთიერთობის შემუშავების გავლენიანი დაწესებულებაა. მიტჩელის მოღვაწეობის მცოდნე ექსპერტების აზრით, მისი პოპულარობა, როგორც გეოპოლიტიკის დარგში ორი წიგნის ავტორისა, „მშფოთვარე საზღვარი: მოწყვლადი მოკავშირეები“ და „გაძლიერებული მოწინააღმდეგეები და ამერიკული ხელისუფლების კრიზისი“ — სპეციალისტების ვიწრო წრეს არ გასცდენია.

მაგრამო, —განაგრძობენ ისინი იუმორის საკმაო დოზის შერევით, — ასეთი მონოგრაფიები აშშ-ში დიდი რაოდენობით გამოიცემა და მიტჩელმა გადაწყვიტა, მის მიერ ჩამოყალიბებული თეორიული დოქტრინების პრაქტიკული განხორციელების გზას დადგომოდა. დაიწყო ჩანაფიქრის რეალიზაცია ახალ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე. მის მოსაზრებებს ყურადღება მიაქციეს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მისმა განცხადებამ, რომლის მიხედვით, **პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ს სჭირდება ახალი სტრატეგია, რომელიც ორიენტირებული იქნება ძლიერ სასაზღვრო ალიანსებზე. ამ ალიანსთაგან ერთ-ერთი უკრაინა-საქართველოს ერთობაა, რომელიც, მისი აზრით, უპირველესად, დასავლეთის მიმართულებას აღიარებს, მეორე მხრივ, „მოწყვლადია მოსკოვის გავლენის მზარდი გავლენის მიმართ“.** მაშასადამე, მთავარი სტრატეგიული ამოცანაა ამ გავლენის შემცირება აღნიშნულ ზონაში და კონკრეტული შედეგების მიღწევა ამ მიმართულებით.

ანალიტიკოსების დაკვირვებით, პირველი შედეგი მიღწეულია: კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მხარი დაუჭირა უკრაინის მართლმადიდებლობის ავტოკეფალიად გამოყოფის იდეას, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებლობის გახლეჩის საშიშროების შემცველია.

ახლა მიტჩელი მოადგა საქართველოს.

კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ **„საქართველოს ბევრი მოქალაქე არ სარგებლობს სოციალური მედიით და რუსეთი მათზე ზეგავლენას ეკლესიის მეშვეობით(?!) ახდენს“.**

**ეკლესიის მეშვეობით** — მიაქციეთ ამას ყურადღება: მართლმადიდებელი ჩვენი ეკლესია, ამ ამერიკელი დიპლომატის მტკიცებით, რუსეთის

**პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ს სჭირდება ახალი სტრატეგია, რომელიც ორიენტირებული იქნება ძლიერ სასაზღვრო ალიანსებზე. ამ ალიანსთაგან ერთ-ერთი უკრაინა-საქართველოს ერთობაა, რომელიც, მისი აზრით, უპირველესად, დასავლეთის მიმართულებას აღიარებს, მეორე მხრივ, «მოწყვლადია მოსკოვის გავლენის მზარდი გავლენის მიმართ»**

პოლიტიკის ინტერესების გამტარებელია.

კონფერენციის მონაწილეებს, მათ შორის, ჩვენი ხელისუფლების სათავეში მყოფ ქართველებს, პირდაპირ და დაუფარავად განუცხადა: „დღეს ჩვენი ძალისხმევა მიმართულია, ძირითადად, საქართველოს ქალაქებისკენ. საქართველოში არის უამრავი ადამიანი, რომლებიც საერთოდ არ იყენებენ სოციალურ მედიას. ამ **საზოგადოებისთვის მართლმადიდებელი ეკლესია იყო რუსეთის გავლენის ირიბი გამტარებელი.** ჩვენ უნდა გავაკეთოთ მეტი, რათა ავუხსნათ ამ ადამიანებს, რომ დასავლეთი არ არის გულგრილი საქართველოს ტრადიციებისა და რწმენისადმი. ეს აუცილებელია, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთთან დაპირისპირებაში გავიმარჯვოთ. საქმე ბევრი გვაქვს, თუმცა ნათელია, რომ ქართველმა ხალხმა აირჩია დასავლური მომავალი და მათ უნდა დავეხმაროთ“. საქმე ბევრი გვაქვსო, — შემოგვაპარა ჩვენს მომავალზე მზრუნველმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანაშემწემ და ასეთი დირექტივა დაგვისახა.

ეს კი ნიშნავს, რომ **ვაშინგტონმა გადაწყვიტა, საქართველოში შექმნას ახალი „მშფოთვარე საზღვარი“... ქართული მართმადიდებელი ეკლესიის წიაღში.**

ისტორიკოსები შეგვახსენებენ, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარა მხოლოდ 1990 წელს, მანამდე კი მას რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა. და ეს მაშინ, როცა მოსკოვის პატრიარქატმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია ჯერ კიდევ 1940-იან წლებში აღიარა.

აი, რატომაა, რომ, როგორც The New York Times წერს, ჩამოყალიბდა მყარი თვალსაზრისი, თითქოს ქართული ეკლესია „ღრმა და უმეტესად კულისებს მიღმა გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე“, ხოლო „პატრიარქი ილია II ქადაგებს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების სასარგებლოდ, უგულებელყოფს დასავლურ ღირებულებსა და სექსუალურ თავისუფლებებს“.

ჰოდა, არ გაგიკვირდეთ, რომ დასავლეთი, რომელიც „საქართველოს ტრადიციებისა და რწმენისადმი გულგრილი არ არის“, დარაზმავს სულწარწყმედილ გირჩელებსა და მათ მსგავს ეგზემპლარებს ჩვენი ქვეყნის დაბა-სოფლებში ანტიმართლმადიდებლური კამპანიის ჩასატარებლად მსგავსად იმისა, სააკაშვილმა საქართველოს პროვინციას ინგლისური ენის გარყვნილი მასწავლებლები რომ შეუსია.

**THE WASHINGTON POST შენიშნავს, რომ მიტჩელის მოწოდება მიმართულია „საქართველოს საზოგადოებრიობაში წარმოქმნილი პოლიტიკური დაღლილობა და ფატალიზმი წარმართოს რუსეთისკენ“.**

ქართველი ექსპერტები დარწმუნებულები არიან, ასეთი ყოვლისმომცველი შეტევა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ გამოიწვევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გახლეჩას, მისი გავლენის შემცირებას მრევლზე, რაც ხელს შეუწყობს ქართველების, როგორც ერის, ინდენტიფიკაციის პროცესის შეწყვეტას, ევროპულ და ევროატლანტიკურ მორევში მის ჩათრევასა და გაქრობას.

მიტჩელს ეს კარგად ესმისო, — მიიჩნევენ ანალიტიკოსები, მაგრამ საქართველოს საზოგადოებრიობას მოჩვენებითი მეგობრობის დემონსტრაციით თავს უქონავს.

ნათქვამია: ღმერთო, დაგვიფარე ასეთი მეგობრებისგან და მტრებს რამენაირად თავად მივხედავთო.

გასაკვირი, იცით, რა არის? — **ამ ყველაფრის მოწმე და მონაწილე საქართველოს ხელისუფლებას თავი ისე უჭირავს, თითქოს ჩვენ გარშემო და საწინააღმდეგოდ არაფერი ხდება.**

„ნეტარ არიან მორწმუნენი!“.

**არმაზ სანებლიძე**

# «შსს-ს აქვს საშუალება, კანაფის კულტივაცია-ექსპორტზე ეფექტიანი კონტროლი განახორციელოს»



**შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებით, შსს-ს აქვს ბერკეტი, ქვეყანაში კანაფის სამედიცინო თვალსაზრისით კულტივაცია-ექსპორტზე ეფექტიანი კონტროლი განახორციელოს.**

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხმარების რეგულირებას მოჰყვება შემდგომი ნაბიჯები სამედიცინო თვალსაზრისით, შსს-ს აქვს კონტროლის საშუალება. ეს ხდება დახურულ სივრცეში, შენობაში, ფაქტობრივად. ის, რაც კეთდება რეგულირების ნაწილში, შსს-ს ეხმარება, რომ მკაცრი ნარკოპოლიტიკა განახორციელოს კიდევ უფრო ეფექტიანად. სხვა შეკითხვები თუ არსებობს, კონსულტაციები გაგრძელდება“, — განაცხადა გახარიამ.

# რუსეთი და თურქეთი იდლიბში დემილიტარიზებულ ზონას ქმნიან



**„რუსეთმა და თურქეთმა გადაწყვიტეს, შექმნან დემილიტარიზებული ზონა იდლიბში, შეიარაღებულ ოპოზიციურ ძალებსა და სირიის ჯარებს შორის შეხების ხაზის გასწვრივ“,** — განაცხადა თურქ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი იმედოვნებს სამართლიანი პირობების შექმნას თურქეთის ბაზარზე საქონლის შესატანად. თავის მხრივ რეჯებ თაიფ ერდოღანმა იმედი გამოთქვა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის მალე განხორციელდება სავიზო ლიბერალიზაცია. სოჭში რუსეთისა და თურქეთის პრეზიდენტების მოლაპარაკებები 18 სექტემბერს გაიმართა და 4.5 საათს გაგრძელდა.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვერავინ დაიჯერებდა, რომ ხელისუფლება ნარკოტიკების, არათუ მოხმარებაზე, ექსპორტსა და კულტივირებაზე ასე დაუფარავად დაიწყებდა ლაპარაკს. აი, დღეს უკვე ფაქტის წინაშე ვდგავართ და ეს რას ნიშნავს იცით? ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში მიდის მცოცავი „ლიბერალური“ ექსპანსია. თანაც ნახეთ, როგორ დაჩქარდა პროცესები: სულ რაღაც ერთ წელიწადში დეკრიმინალიზებაც მოხდა, ლეგალიზებაც და ახლა უკვე ვაჭრობას აკანონებენ“.



### მამა გურამი (გამცემლიძე):

# უბედურებაა, როცა ქვეყნის სათავეში დგანან ადამიანები, რომლებსაც ზნეობა და უზნეობა ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ

## «ეს არის ბრძოლა და ჩვენ ამ ბრძოლაში უკან არ დავიხევთ»

**„მეოცნებე ხელისუფლების“ მიერ „გირჩის“ კარნახითა და თითისქნევით მარიხუანის ლეგალიზებამ, ხოლო შემდეგ უკვე ნარკობარიგობის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აყვანამ, რასაც ოფიციალური გამოცხადება მოჰყვა, რომ საქართველო მსოფლიოში კანაფის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორად უნდა იქცეს, წინა კვირას სრულიად სამღვდელოება ფეხზე დააყენა და, ხელისუფლების ამ მოღალატეობრივი ქმედებებით შეშფოთებულ მოსახლეობასთან ერთად, ქუჩაში გამოიყვანა.**

15 სექტემბერს, გვიან ღამით, სასულიერო პირებმა დედაქალაქის საკრებულოსთან პარაკლისი აღავლინეს, მერე კი მრევლს სიტყვით მიმართეს და მიმდინარე მოვლენებზე საპატრიარქოს პოზიცია ოფიციალურად გააცნეს.

განცხადებაში, რომელიც თავისუფლების მოედანზე შეკრებილ მოქალაქეებს წაუკითხეს, იმ საფრთხეებზე იყო საუბარი, რომლებსაც ნარკოტიკული საშუალებების გასაღების საკანონმდებლო დონეზე დაშვება შეიცავს ან შეიძლება შეიცავდეს სახელმწიფოსთვის. გაუგებარია, რატომ მოხდა მარიხუანის კულტივაციის შესახებ კანონპროექტის შემუშავება საზოგადოების ზურგს უკან და რატომ არ იყო მანამდე საჯარო დისკუსიები. რაც შეეხება ხელისუფლებას, ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის განმარტებით, კანაფის ექსპორტის საკითხის მიბმა მორალთან და ზნეობასთან უზნეობაა...

**რას ნიშნავს რეალურად „ოცნების“ ინიციატივა ექსპორტის მიზნით მარიხუანის კულტივირების კანონპროექტზე და რას მოუტანს ეს სახელმწიფოს? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი მამა გურამი (გამცემლიძე):**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. თავის დროზე, როცა „ლიბერალები“ აქციებს აქციებზე მართავდნენ და წივილ-კივილით გამოდიოდნენ ქუჩაში დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით, ბევრი, და მათ შორის სასულიერო პირებიც, ვამბობდით, რომ დეკრიმინალიზებას აუცილებლად მოჰყვებოდა ლეგალიზება. მაშინ ზოგს ამის დაჯერება უჭირდა და ეცინებოდა, მაგრამ ჩვენი მოლოდინი მალე გამართლდა და დეკრიმინალიზაციის შემდეგ დღის წესრიგში ლეგალიზების საკითხი დადგა. თუმცა, იმას, რაც დღეს ხდება, ვერც მაშინ და ვერც მერე, როცა უკვე ლეგალიზებაზე ოფიციალურად დაიწყო საუბარი, ვერავინ წარმოიდგენდა; **ვერავინ დაიჯერებდა, რომ ხელისუფლება ნარკოტიკების არათუ მოხმარებაზე, ექსპორტსა და კულტივირებაზე ასე დაუფარავად დაიწყებდა ლაპარაკს. აი, დღეს უკვე ფაქტის წინაშე ვდგავართ და ეს რას ნიშნავს იცით? ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში მიდის მცოცავი „ლიბერალური“ ექსპანსია. თანაც ნახეთ, როგორ დაჩქარდა პროცესები: სულ რაღაც ერთ წელიწადში დეკრიმინალიზებაც მოხდა, ლეგალიზებაც და ახლა უკვე ვაჭრობას აკანონებენ.** ვფიქრობ, ეს არის სარკე და მაჩვენებელი ყველაფრის და ზუსტად ასე მზაკვრულად მოხდება კანონების მიღება სხვა მიმართულებითაც. მხედველობაში მაქვს ის ლიბერალური კანონები, რომელთა ნაწილიც უკვე მიღებულია და რომლებსაც ახლო მომავალში აუცილებლად მოჰყვება გაგრძელება...

**— რას გულისხმობთ?**

— **ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს, ხელისუფლება და მათ შორის „ლიბერალებიც“, ამტკიცებდნენ, რომ ერთი დაიმავე სქესის მქონე წყვილების ქორწინებაზე არ იქნებოდა საუბარი, რომ ამას არავინ გვაძალებს და ა.შ. დღეს უკვე დაუფარავად საუბრობენ მათთვის სამოქალაქო პარტნიორობის უფლების მინიჭებაზე თუ რაღაც მსგავს საკანონმდებლო ცვლილებებზე. ასევე ღიად მიდის საუბრები იმაზე, რომ თურმე ეს „ანტიდისკრიმინაციული კანონი“ ეფექტიანად ვერ ხორციელდება.** რას ნიშნავს ეფექტიანად განხორციელება, ძალიან მაინტერესებსეს. ერთი. და მეორე — ნარკოპოლიტიკის მიმართულებით თუ მიდის ასე დაჩქარებული ტემპით „ლიბერალების“ მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორ ფიქრობთ, ლგბტ-ების მიმართულებით მოერიდებათ?! სხვათა შორის, დღევანდელმა **ხელისუფლებამ საზოგადოებას კბილი უკვე მოუსინჯა და დარწმუნდა, რომ მთლად ისეთი სამოქალაქო წარღვნა და ცუნამიც არ არის მოსალოდნელი, ამიტომ გაბედეს ასე ერთბაშად ასეთი ამორალური ნაბიჯების გადადგმა, თორემ ამათ მოსახლეობის შიში და რიდი რომ ჰქონდეთ, რომელი საღად მოაზროვნე ხელისუფალი გააკეთებდა არჩევნებამდე თვე-ნახევრით ადრე ისეთ რამეს, რაც მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია?**

რაც შეეხება ამ ყველაფრის სულიერ მხარეს, მე, როგორც სასულიერო პირი, ვაცხადებ, რომ არც ერთ დამპყრობელს, არც **შაჰ-აბასს,** არც **თემურ ლენგს,** არც **ჯალალედინს** და არც სხვა რომელიმე დამპყრობელს საქართველოსთვის ამხელა ზიანი არ მიუყენებია. **ესენი ამ თავიანთი გამრყვნელი და უზნეო კანონებით ჯერ ფიზიკურად ანადგურებენ ადამიანებს და მერე პირდაპირ ჯოჯოხეთში ისტუმრებენ.** ეს არის, ფაქტობრივად, საკუთარი ხალხის გამოცხადებული გენოციდი და, თუ რომელიმე კანონმდებელს ან ნებისმიერ სხვას, რომელიც რამე ფორმით მონაწილეობს ამ პროცესში, ჰგონია, რომ პასუხისმგებლობას აიცილებს, ცდება. მათი ხვედრი ბოლოს ძალიან მძიმე იქნება, პოლიტიკურადაც და არა მხოლოდ... კიდევ ვიმეორებ: **ყველანაირ ნარკოტიკს ადამიანი მიჰყავს როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სიკვდილისკენ, ამიტომ თითოეული პოლიტიკოსი, რომლებიც თითქოს ლიბერალიზმისა და ჰუმანურობის სახელით ემხრობიან ნარკოვაჭრობას, რეალურად ხელს უწყობენ საკუთარი ერის ფიზიკურ და სულიერ სიკვდილს.**

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ კანაფის კულტივირება მხოლოდ სამედიცინო-კოსმეტიკური საშუალებების დასამზადებლად მოხდება. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ეს ინიციატივა საფრთხეს შეიცავდეს?**

— გჯერათ, რომ აქ სამედიცინო თუ სხვა რაღაც კოსმეტიკურ საშუალებებს დაამზადებენ?! ცხადია, ეს არის ისეთივე იაფფასიანი ტყუილი, როგორც მათი წინასაარჩევნო დაპირებები. კიდევ ვიმეორებ: თავის დროზე ამბობდნენ, რომ ლეგალიზებაზე საერთოდ არ იქნებოდა საუბარი, თუმცა ერთი-ორს მაშინაც წამოსცდა, — დღეს ხომ არის ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკი ლეგალიზებული?! ზუსტად ასე იქნება ერთნაირსქესიანთა ქორწინებაცო. ახლა ესენი ხალხს ძალას მოუსინჯავენ, რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილებით მოთელვას გააკეთებენ და მერე პირდაპირ წავა ჰომოსექსუალთა ქორწინების დაკანონებაზე საუბარი. ამ ხელისუფლების პოლიტიკა სხვანაირი, უბრალოდ, ვერ იქნება, ესენი ამ პირობით არიან მოყვანილნი. არ შესრულდება ეს პირობა, წავლენ სახლებში. ჩამნაცვლებელი კიდევ რიგშია...

სხვათა შორის, **ის, რომ ხელისუფლება ამ საკითხში დათმობაზე წამსვლელი არ არის, კიდევ ერთი გარემოებით დასტურდება. ეს დღეებია, „ლიბერალური“ მედია და განსაკუთრებით ტელეკომპანია „იმედი“ გადაცემებს აწყობს იმაზე, რომ თურმე მარიხუანა სასარგებლოა.** მერე გამოჰყავთ ვითომ პროფესორები თუ მეცნიერები და მარიხუანის „სასარგებლო“ თვისებებზე ალაპარაკებენ. ამით ხდება საზოგადოების ფსიქოლოგიური დამუშავება, რათა ხალხს ნარკოტიკზე დადებითი წარმოდგენა შეუქმნან. არადა, **არ არსებობს ერც ერთი კვალიფიციური მეცნიერის ან მეცნიერთა ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც დაამტკიცებს, რომ ამ ნარკოტიკულ საშუალებას ადამიანის ჯანმრთელობისთვის სიკეთის მოტანა შეუძლია. პირიქით, ყველა ანალიზი საპირისპირო დასკვნას იძლევა...**

**— კანაფის ექსპორტისა და კულტივაციის ინიციატივაც გარედანაა ნაკარნახევი? ბევრი თვლის, რომ ამაში, უბრალოდ, გარკვეული სახელისუფლო ძალების ბიზნესინტერესებია.**

— რა თქმა უნდა, ეს არის გარედან ნაკარნახევი ინიციატივა, ისევე, როგორც თავის დროზე ანტიდისკრიმინაციული კანონი, კანონი რელიგიური კონფესიებისთვის იურიდიული სტატუსის მინიჭების შესახებ; ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ან აღდგენითი სამუშაოების დროს საპატრიარქოს გათავისუფლება დღგ-ისგან არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ახლა ვინმე იტყვის, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ საქართველოში გადაწყდა და დასავლეთის მიერ არ იყო ნაბრძანები?! ჯერ ერთი, მათ იმდენი აზრიც არ აქვთ და არც მოფიქრების უნარი, თუმცა მე, რა თქმა უნდა, ამით იმას არ ვამტკიცებ, რომ ისინი გულანთებული პატრიოტები არიან და, რომ არა გარედან ზეწოლა, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ცხადია, **ეს უბედურება და უზნეობა იმის კისერზეა, ვინც დასავლეთის ყურმოჭრილი მონაა და უსიტყვოდ ასრულებს ყველა მითითებას...**

**— უზნეობას რაც შეეხება, ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა განაცხადა, რომ მარიხუანის თემის მიბმა ზნეობასთან და მორალთან უზნეობაა. თქვენ, როგორც სასულიერო პირი, რას უპასუხებთ მას?**

— ჩემი აზრით, **უბედურებაა, როცა ქვეყნის სათავეში დგანან ადამიანები, რომლებსაც ზნეობა და უზნეობა ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ.** რა, დაბოლილი ადამიანია ზნეობრივი?! სახელმწიფო რომ ნარკოვაჭრობას აკანონებს, ნორმალურია?! მაშინ მე ასე ვიტყვი: თუ ნარკოტიკითა და სიკვდილით ვაჭრობა არ არის მორალთან კავშირში, თვითონ ბატონმა მინისტრმა აგვიხსნას, რა არის უზნეობა. საერთოდ, ჩვენ ამ ყველაფერს უნდა შევხედოთ, როგორც ერთ მთლიან პროპაგანდას, რომელიც ნელ-ნელა იპყრობს და შთანთქავს ყველაფერს, რაც კი ადამიანს სულიერებასთან აკავშირებს. ამ პროპაგანდის სათავე, ცხადია, არის დასავლეთი და, რაც დრო გავა, რა თქმა უნდა, მსგავს ქმედებებს კიდევ უფრო ხშირად ვიხილავთ...

**— სამღვდელოების მხრიდან დასავლეთის კრიტიკას დასავლეთი ისევ ეკლესიის წინააღმდეგ იყენებს. ამას წინათ თბილისში მიმდინარე ერთ-ერთ კონფერენციაზე ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე უეს მიტჩელმა განაცხადა, რომ საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელსაც სოციალურ მედიაზე არ მიუწვდება ხელი და ნაკლებადაა ინფორმირებული, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის რუსეთის ინტერესების გამტარებელი...**

— რა იგულისხმება რუსეთის ინტერესების გატარებაში, არ ვიცი. მართლმადიდებლობა და მართლმადიდებელი ეკლესია ყველგან და ყოველთვის ერთნაირია. ეს ერთი. და მეორე: **როგორც ქართველი, ისე რუსი და, გნებავთ, პოლონელი ან ამერიკელი ჭეშმარიტი მართლმადიდებელი არასოდეს შეეგუება დასავლურ უზნეობას. მიტჩელი თუ ამას გულისხმობს, რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას ერთნაირი მსოფლმხედველობა გვაქვს და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, რომელი ეროვნების მართლმადიდებელზეა საუბარი.** ვიღაც პროვოკატორი რომ აბსურდულ განცხადებას გააკეთებს, ეკლესიამ და სამღვდელოებამ რატომ უნდა აკეთოს განმარტებები?!

**— რაც შეეხება ნარკოტიკების კულტივაციისა და ექსპორტის თემას, თუ ხელისუფლება არ გაითვალისწინებს ხალხის აზრს და მაინც მიიღებს ამ კანონს, რა გზა რჩება სამღვდელოებას?**

— ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: ეს არის ბრძოლა და ჩვენ ამ ბრძოლაში უკან არ დავიხევთ, მაგრამ, კონკრეტულად რა ნაბიჯებს გადავდგამთ, ეს უკვე დამოკიდებულია ხელისუფლებაზე. თუ ისინი ჯიუტად განაგრძობენ დაწყებულ საქმეს, რა თქმა უნდა, ჩვენც გავაგრძელებთ იმ აქციებს, რომლებიც იყო მხოლოდ და მხოლოდ გამაფრთხილებელი. შეგახსენებთ, რომ იქ არ იყო მრევლი და ვიყავით მარტო სასულიერო პირები, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, ცხადია, გაცილებით უფრო მეტი ადამიანი გამოვა ქუჩაში...

**ნარკოპოლიტიკის მიმართულებით თუ მიდის ასე დაჩქარებული ტემპით «ლიბერალების» მოთხოვნების დაკმაყოფილება, როგორ ფიქრობთ, ლგბტ-ების მიმართულებით მოერიდებათ?! ჩვენ ამ ყველაფერს უნდა შევხედოთ, როგორც ერთ მთლიან პროპაგანდას, რომელიც ნელ-ნელა იპყრობს და შთანთქავს ყველაფერს, რაც კი ადამიანს სულიერებასთან აკავშირებს**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**ე.წ. მსოფლიო პატრიარქს სტამბოლში არსებული უსახური რეზიდენციიდან მღვდელმთავრის სამოსელით გამოსვლაც კი აკრძალული აქვს თურქეთის ხელისუფლების მიერ და ბართოლომეოსი ჯინსებით დაბორიალობს ქუჩაში. თუმცა ეგეც იქეთ იყოს — მსოფლიოს მართლმადიდებელი მრევლი სულ 300 მილიონია და ნახევარი, 150 მილიონი, მოსკოვის საპატრიარქოს მრევლია. აქედან გამომდინარე, ვის უფრო ეკუთვნის მსოფლიო პატრიარქობა, რუსეთის უდიდესსა და უმდიდრესი ეკლესიის პატრიარქ კირილეს თუ ბართოლომეოსს, რომლის მრევლი, სულ რაღაც, სამ მილიონს შეადგენს?**



ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სწორი არჩევანი — უკანასკნელი შანსი საქართველოსი!

**ამა წლის ივნისის ბოლოს „საქართველო და მსოფლიოს" 23-ე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში ვწერდი, რომ ე.წ. კონსტანტინეპოლის, აგრეთვე, ე.წ. მსოფლიო პატრიარქი (თუ რატომ ამდენი ე.წ. — ამაზე ქვემოთ) ბართოლომეოსი უკრაინის „რასკოლნიკების" ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას აპირებდა და აჰა! ბართოლომეოსმა შეასრულა დანაპირები, გნებავთ, მუქარა და ე.წ. კიევის საპატრიარქო, პრაქტიკულად, ავტოკეფალიური ეკლესიაა!**

ამ ყველაფერს რომ ღმერთთან კავშირი არ აქვს და პოლიტიკური აქტია, ეს მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებში მეტ-ნაკლებად გარკვეულთათვის საიდუმლო არ არის — **ბრათოლომეოსის** ამ ქმედებას მიტროპოლიტმა **ილარიონმა** (რუსეთის ეკლესიაში რიგით მეორე იერარქი) უკვე უწოდა ბინძური, ვერაგული პოლიტიკური პროექტი და კონსტანტინოპოლის პატრიარქი მართლმადიდებლობისთვის ომის გამოცხადებაში დაადანაშაულა. მას შემდეგ კი, რაც ე.წ. მსოფლიო პატრიარქმა კიევში ამერიკელი და კანადელი ეგზარქოსები მიავლინა ავტოკეფალიის რეალიზაციაში დახმარების მიზნით, მოსკოვის საპატრიარქომ შეწყვიტა ლოცვებში ბართოლომეოსის მოხსენიება, უფრო მეტიც — მოვლენათა განვითარების შეუქცევადობის შემთხვევაში, მოსკოვის საპატრიარქო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობების გაწყვეტით დაიმუქრა, რაც პრაქტიკულად ე.წ. დიდი სქიზმის ათასი წლის შემდეგ განმეორება იქნება...

**დიდი სქიზმა, ანუ განხეთქილება მართლმადიდებელ ეკლესიაში 1054 წელს მოხდა, რომლის შემდეგაც ქრისტიანობა მართლმადიდებლებად და კათოლიკეებად დაიყო.**

კათოლიკეებად, რომლებსაც პაპისტებსაც უწოდებენ, და რა მოუტანა მსოფლიოს კათოლიკობამ, ცნობილია: ცოდვათა შენდობისთვის ინდულგენციებით ვაჭრობა; ინკვიზიციის კოცონები, რომლებზეც ერეტიკოსობის ბრალდებით საუკუნეების განმავლობაში ევროპის პროგრესული აზრი იწვოდა (მხოლოდ **ჯორდანო ბრუნო** და **ჟანა დ'არკი** კმარა თქმულის დასტურად). კათოლიციზმმა, თავის მხრივ, შვა ათასი ჯურის პროტესტანტული ეკლესია, რომლებიც დღეს მსოფლიოს ლიბერასტიზაციის პროცესში, ნეოლიბერალების იდეური დასაყრდენია — ბევრ ასეთ „ქრისტიანულ ეკლესიაში" უკვე ერთი და იმავე სქესის წყვილების ჯვრისწერის საიდუმლოს აღასრულებენ და მეტიც — თვით ამ საიდუმლოს აღმსრულებელი „პადრები" ხშირ შემთხვევაში თვითონაც ჰომოსექსუალები არიან.

ბართოლომეოსმა კიევის საპატრიაქოს ავტოკეფალია ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მიანიჭა, რაც ყოვლად მიუღებელია მართლმადიდებელ მოძღვრებაში, რომლის მიხედვითაც მსგავსი საკითხების მოგვარება კონსენსუსის, ანუ მსოფლიოს 15-ვე მართლმადიდებელ კანონიკურ ეკლესიასთან შეთანხმებით ხდება და არა ისე, რომის პაპები რომ წყვეტდნენ ერთპიროვნულად, როგორც ქრისტეს მოადგილეები დედამიწაზე.

ეტყობა, **„მსოფლიო პატრიარქს" პაპიზმის ბაცილა შეეყარა და მას მართლმადიდებელი სამყაროს ერთპიროვნულად მართვა სურს, მაგრამ დაავიწყდა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქობა ქრისტეს მოადგილეობას არ ნიშნავს და არ ნიშნავდა მაშინაც კი, როდესაც, დღევანდელივით ფორმალურად კი არა, რეალურად ითვლებოდა წმინდა კონსტანტინეს ქალაქი და დიდებული აია-სოფია მსოფლიო მართლმადიდებლობის სიმბოლოდ და ბურჯად.** მსოფლიო პატრიარქობა მხოლოდ თანასწორთა შორის პირველობას ნიშნავდა, რაც საფუძველშივე გამორიცხავდა ჭეშმარიტი სარწმუნოების ეკლესიის ავტორიტარულ მმართველობას. ერთადერთი „უპირატესობა", რომლითაც მსოფლიო პატრიარქები სარგებლობდნენ, იყო ის, რომ წირვა-ლოცვისას პირველად მათ მოიხსენიებდნენ სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები — სულ ეგ არის. **პაპისტი ბართოლომეოსის უპირატესობა კი სხვა პატრიარქების მიმართ თხასავით მეჩხერი წვერია, მეტი არაფერი.**

წერილის დასაწყისში, ე.წ.-ის რამდენიმეჯერ ხსენების მიზეზს ავხსნი-მეთქი და დაპირება, მგონი, ნაწილობრივ შევასრულე წინა აბზაცში, მაგრამ, უკმარისობის განცდა რომ არ გაგვიჩნდეს, განვაგრძობ...

სამწუხაროდ, წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც მეორე რომად წოდებულ ქალაქს კონსტანტინოპოლი ერქვა და არა სტამბოლი, როდესაც აიასოფიას წმინდა ლავრიდან გალობის ჰანგები იღვრებოდა და არა მუეძინების გამყინავი ყივილი.

**თუნდაც ეს სამწუხარო რეალობა კმარა, რომ სტამბოლში ბინადარ თურქეთის მოქალაქე ბართოლომეოსის კონსტანტინოპოლის პატრიარქობაზე მწარედ გაგვეღიმოს — ე.წ. მსოფლიო პატრიარქს სტამბოლში არსებული უსახური რეზიდენციიდან მღვდელმთავრის სამოსელით გამოსვლაც კი აკრძალული აქვს თურქეთის ხელისუფლების მიერ და ბართოლომეოსი ჯინსებით დაბორიალობს ქუჩაში.** თუმცა ეგეც იქეთ იყოს — მსოფლიოს მართლმადიდებელი მრევლი სულ 300 მილიონია და ნახევარი, 150 მილიონი, მოსკოვის საპატრიარქოს მრევლია. აქედან გამომდინარე, **ვის უფრო ეკუთვნის მსოფლიო პატრიარქობა: რუსეთის უდიდესსა და უმდიდრესი ეკლესიის პატრიარქ კირილეს თუ ბართოლომეოსს, რომლის მრევლი, სულ რაღაც, სამ მილიონს შეადგენს?**

სიტყვამ მოიტანა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეგ „სულ რაღაც" არ ეყოლებოდა, რომ არა რუსეთის რევოლუცია — ტროცკისტი სიონისტები რუსეთში ანგრევდნენ ეკლესიებს და ამერიკაში უპატრონოდ დარჩენილი რუსული ეკლესისთვის (რომელიც რევოლუციამდე მოსკოვის საპატრიარქოში შედიოდა) გამოიდებდნენ თავს? ჰოდა, **ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო და აშშ-ის სპეცსამსახურების მეცადინეობით ამერიკაში რუსულ ეკლესიასაც დაეპატრონა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომელსაც აშშ ჯერ სსრკ-ის წინააღმდეგ იყენებდა და ახლა კი — რუსეთის წინააღმდეგ.**

ბართოლომეოსის მიერ უკრაინის რასკოლნიკებისთვის ავტოკეფალიის მიცემა შეიძლება რუსეთისთვის დაწესებულ მორიგ სანქციად განვიხილოთ; პოლიტიკურ სანქციად, რომლის მიზანიც, ადრინდელი ეკონომიკური სანქციებისგან განსხვავებით, რუსეთის ეკონომიკის ნგრევა კი არა (რაც არ გამოუვიდათ — წითელ მოედანზე მილიონობით მომიტინგე არ გამოვიდა იაფი ძეხვის მოთხოვნით), გაცილებით უარესი **უკრაინელი და რუსი ხალხების რელიგიური ნიშნით დაპირისპირებაა.** ა.წ. აპრილში პეტრე პოროშენკო სტამბოლში სტუმრობდა ბართოლომეოსს. როგორც რუსული ტელევიზიები იუწყებიან, ტომოსის (განკარგულების, გადაწყვეტილების) სანაცვლოდ, უკრაინელ ბიზნესმენთა მიერ შეგროვებული 25 მილიონიდან მხოლოდ 10 მილიონი დოლარი ჩაუტანა ბართოლომეოსს, ანუ პოროშენკომ ე.წ. ობშიაკიდან 15 ლიმონი მოუტეხა „მსოფლიო პატრიარქს", რომელმაც მოგვიანებით შეიტყო პოროშენკოს „კრისობა" და უკრაინის ლოთი პრეზიდენტი იძულებული შეიქნა, ბართლომეოსისთვის დანაკლისი აენაზღაურებინა. გამოდის, რომ პოროშენკომ ავტოკეფალია იყიდა.



## მისი უწმინდურესობა ბართოლომეოსი: ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას გაგებით უნდა მოვეკიდოთ

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკრაინელი „რასკოლნიკებისთვის" ავტოკეფალიის მინიჭება აპრილშივე ყოფილა გადაწყვეტილი. მიუხედავად ამისა, ა.წ. 31 აგვისტოს სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილე სტამბოლში ეწვია „მსოფლიო პატრიარქს". მასთან პირისპირ საუბრის შემდეგ კირილემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს იყო საუბარი ძმებს შორის. თუ როგორ ძმობას უმზადებდა ფარისეველი ბართოლომეოსი რუსეთის პატრიარქს, ეს „ძმური საუბრიდან" რამდენიმე დღეში გახდა ცნობილი უკრაინისთვის ავტოკეფალიის მიცემით. სად არის ამ პოლიტიკურ-რელიგიურ პასიანსში საქართველოს ადგილი, რა საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ?

**უკრაინის მსგავსი სიტუაციაა აფხაზეთშიც.**

ე.წ. „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის" წინამძღვრის, **ბესარიონ აპლიას,** მომხრეებს შორის მოხდა განხეთქილება, რომლის შემდეგაც პატრიარქ კირილესგან რუსეთის ეკლესიას ჩამოშორებული **დოროთე დბარის** ჯგუფმა ე.წ. „აფხაზეთის მიტროპოლია" დააარსა (კათედრით ახალ ათონში) და ავტოკეფალიის აღიარების თხოვნით კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსს მიმართა. ბართოლომეოსი თვითმარქვია მიტროპოლიტს სტამბულში შეხვდა. გავრცელდა ხმა, რომ მსოფლიო პატრიარქი ე.წ. „აფხაზეთის მიტროპოლიის" დამოუკიდებლობას უჭერს მხარს.

„ბართოლომეოსი აფხაზეთის ეკლესიას ქართული ეკლესიის კანონიკურ ნაწილად უწინდებურად აღიარებს სიტყვიერად. არ არის გამორიცხული, ორმაგ თამაშს თამაშობდეს და თავადვე აქეზებდეს აფხაზ „რასკოლნიკებს", — განაცხადა აფხაზეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა **ანრი ჯერგენიამ** გამოცემა „არგუმენტი ი ფაქტისთან" საუბრისას. ამ ფონზე დბარის ჯგუფი ე.წ. „აფხაზური მიტროპოლიის" აღიარებას ითხოვს კონსტანტინოპოლისგან, ბესარიონ აპლია კი ე.წ. „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის" ტიტულის დასტურს მოსკოვიდან ელის. მიუხედავად გაყინული ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და მცოცავი ოკუპაციისა, რუსული ეკლესია არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეკლესიების დამოუკიდებლობას.

სანამ ეს ასეა, აპლია-დბარის ოცნებებს ასრულება არ უწერია. მეტიც — ზემოხსენებულ უმწვავეს პრობლემათა გადასაჭრელად ერთობლივი რუსულ-ქართული სამუშაო ჯგუფის შექმნის მზადყოფნის შესახებ მიტროპოლიტმა **ილარიონმა (ალფეევი)** განაცხადა ამას წინათ თბილისში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან აუდიენციის დროს. ამ სიკეთეს დანახვა უნდა და არა რუსეთისთვის „ოკუპანტო-ოკუპანტოს" ძახილი.

**„მსოფლიო პატრიარქის" მიერ საქართველოს საპატრიარქოს აფხაზეთის ეკლესიაში ხელის ფათური მას შემდეგ დაიწყო, როცა წმინდა სინოდის განჩინებით კუნძულ კრეტაზე გამართულ ე.წ. მსოფლიო საეკლესიო კრებაზე საქართველოს დელეგაცია არ წავიდა, ისევე, როგორც არ წავიდნენ ბულგარეთის, ანტიოქიის, რუსეთისა და სერბეთის ეკლესიები.**

დიახ, ამჯერადაც „ე.წ." გამოვიყენე, რადგან „მსოფლიო პატრიარქის" მიერ მოწვეული საეკლესიო კრება საბოლოოდ მსოფლიო ეკუმენისტთა მწვალებლური თავყრილობა აღმოჩნდა და, აქედან გამომდინარე, ბართოლომეოსის მიერ გაცხადებული მიზანი ეკლესიების რეფორმირებისა, სინამდვილეში, გასაგებ ენაზე თუ ვიტყვით, მართლმადიდებლური ეკლესიების ლიბერალიზაცია იყო „თანამედროვე მოთხოვნების" გათვალისწინებით. მაგალითად, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას გაგებით უნდა მოვეკიდოთ, რაზეც ღიად საუბრობს მისი უწმინდურობა „მსოფლიო პატრიარქი".

სიკეთეს დანახვა უნდა-მეთქი და, აჰა, დადგა მომენტი, როდესაც რუსეთთან თანაცხოვრებისა თუ მეზობლობის 200 წლის განმავლობაში პირველად სჭირდება დიდ რუსეთს პატარა საქართველოს დახმარება, დახმარება რეალური და არა სიმბოლური...

**როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი სქიზმა, ანუ მართლმადიდებელი ეკლესიის კიდევ ერთხელ გახლეჩვა გარდაუვალია. აქედან გამომდინარე, დღეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიოს ავტოკეფალიურ ეკლესიებს შორის თანამოაზრეებს ეძებს და, ჩემი აზრით, საქართველო საბედისწერო გზაგასაყართან იმყოფება** — სტამბოლისა თუ მოსკოვის საპატრიარქო? თუ სწორ არჩევანს გავაკეთებთ და რუსეთის ეკლესიის გვერდით დავდგებით, გადავრჩებით ფიზიკურად, მენტალურადაც და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რეალური პერსპექტივაც გაჩნდება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ საქართველოს ეკლესიაში მეუფე ყანდურთა ფრთა გაიმარჯვებს და ერეტიკოსი ლიბერასტი ბართოლომეოსის ბანაკში აღმოვჩნდებით, რუსეთი აღარ გვაპატიებს მორიგ ისტორიულ უმადურობას და, აფხაზეთ-ცხინვალი კი არა, დანარჩენი საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხიც დადგება...

**დავით მხეიძე**

**P.S. უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება უეჭველად გამოიწვევს რელიგიურ დაპირისპირებას, გნებავთ, ომს. ისიც ცხადია, რომ უკრაინელი ბანდერელ ფაშისტები მოსკოვის პატრიარქატის კუთვნილი ეკლესიების დაპატრონებას შეეცდებიან და, თუ ისინი სლავების უდიდეს სიწმინდეს, კიევ-პეჩორის ლავრას, წაეპოტინებიან (რომლის მიწისქვეშ ასამდე წმინდანის ნეშტია, მათ შორის, რუსების ეროვნული და ლეგენდარული გმირის — ილია მურომეცისა), პოროშენკო, ბართოლომეოსი და მათი ოკეანის გაღმა-გამოღმელი პატრონები მიხვდებიან, რომ მაგრად შეეშალათ — რუსეთი ამ სიწმინდის დაკარგვა-წაბილწვას არ შეეგუება და, ყირიმის მსგავსად, კიევის ჩათვლით, დანარჩენ უკრაინასაც მიიერთებს და ბანდერელებს საზღვარს ლვოვთან გაუვლებს!**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამ მანიაკებისგან რა უნდა გაგიკვირდეს, როდესაც მათმა თავდაცვის მინისტრმა დავით კეზერაშვილმა წარმოუდგენელი სისულელე დააბრეხვა შუა ომის დროს: „ჩვენ იმიტომ დავძარით ჯარი ცხინვალისკენ, რომ არ გვეგონა, თუ რუსეთი სამხედრო ავიაციას გამოიყენებდა ჩვენ წინააღმდეგ!“ ალბათ, არასოდეს გველირსება ამ საიდუმლოს გაგება. აბა, რა ეგონათ?!**

# კრემლის ტაქტიკა გაშიფრულია!

## ქართველი და ამერიკელი ექსპერტების მიღწევა

**ქვეყნის იმჟამინდელი მმართველებისგან ცხინვალის რეგიონის სრულიად უტვინოდ დაკარგვიდან და ახალგორ-სოხუმ-კოდორის ზედ მიყოლებიდან უკვე 10 წელიწადი გავიდა და ჯერ კიდევ აქტუალურია ნოდარ დუმბაძის ერთ-ერთი რომანის გმირის, კოწია ფოსტალიონის, კითხვა: „ვინ დაიწყო ომი?“**





**გეგონება, თუ ამ კითხვას ზუსტი და სწორი პასუხი გავეცით, არიქა, ცხინვალსაც დაგვიბრუნებენ, სოხუმსაც და ზედ კიდევ კრასნოდარს ან ასტრახანს დაგვიმატებენ საჩუქრად. პასუხი კი, სოფლის კლუბში შეკრებილი კოლმეურნეების არ იყოს, ყველას თავისი აქვს: ზოგი რას პასუხობს „კოწია ფოსტალიონს“ და ზოგი — რას. კოწიას კი თავისი ორიგინალური პასუხი აქვს: მე დავიწყე ომი!**

როგორც ჩანს, მავანი ჩვენგანაც რაღაც ასეთ პასუხს ელოდება, რომ რომელიმე ჩვენგანმა საკუთარ თავზე ავიღოთ ომის დაწყება, რადგან სხვა არც ერთი პასუხი ან არ აკმაყოფილებს, ან, უბრალოდ, ლოგიკაში არ ჯდება...

კონკრეტულად ტერმინ „ომს“ რაც შეეხება: ეს ერთი სახელმწიფოს სამხედრო ძალის მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრას ნიშნავს, ხოლო საქართველოს არც ერთი ჯარისკაცი რუსეთის ტერიტორიაზე არ შესულა. აქედან გამომდინარე, „ომი“ თუ ვინმემ დაიწყო, ეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთია და „ომის დაწყებად“ შეიძლება ჩაითვალოს ის მომენტი, როდესაც პირველი რუსული ტანკი გამოვიდა როკის გვირაბის აქეთა მხარეს უკანონოდ (მანამდე კანონიერად მხოლოდ რუსი სამშვიდობოები იდგნენ ქართულ მიწაზე).

**სულ სხვაა ლოკალური სამხედრო კონფლიქტის დაწყება და იმის გარკვევა, ვინ დაიწყო, ანუ ვინ განაახლა „დაკონსერვებული“ სამხედრო კონფლიქტი, რომელიც საბოლოოდ ჩვენი სახელმწიფოსთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდა.**

„ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს **მიხეილ სააკაშვილს** არ დაბრალდეს და ხან ვის აცხადებენ ამის გულისთვის „მოღალატედ“, ხან — ვის.

ამჯერად მათი რუდუნება „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ პრეზიდენტობის კანდიდატ **სალომე ზურაბიშვილისკენ** არის მიმართული. გინდა თუ არა, სალომე ზურაბიშვილმა თქვა, — ომი საქართველომ დაიწყოო, და ეს სამშობლოს ღალატიაო. სალომე ზურაბიშვილის „ანტიპიარი“ მთლიანად ამაზეა აწყობილი. არადა, ისევ კოწია ფოსტალიონისა არ იყოს, მიხეილ სააკაშვილს თვითონ აქვს ნათქვამი: მე დავიწყე ომიო და ეს მან 2008 წლის 8 აგვისტოსვე თქვა.

**„მე გავეცი ბრძანება და ჩემი ბრძანებით ქართული საჯარისო შენარეთები დაიძრნენ ცხინვალისკენ!“** — მისი ეს განცხადება ყველამ მოვისმინეთ ტელევიზიით და თუ ვინმეს ეს არ ახსოვს, ახლაც შეუძლია „იუთუბიზე“ ნახოს. ამ მომენტისთვის რუსული ჯარი ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე არ იყო, ესე იგი, რა გამოდის? ვინ დაიწყო ის კონკრეტული ქმედება, რომელიც შემდგომ რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ომში, ანუ ოფიციალური რუსული სამხედრო ნაწილების ჩვენს ტერიტორიაზე შემოსვლაში გადაიზარდა?

**„მე გავეცი ბრძანება, რომ ქართული საჯარისო შენაერთები დაიძრნენ ცხინვალისკენ“ და „მე დავიწყე ომი“ — ამ ორ ფრაზას შორის რამე განსხვავება არის? გამოდის, სააკაშვილმა აღიარა სამხედრო კონფლიქტის საქართველოს მხრიდან დაწყება და მოდი, ვიდრე სხვას დავადანაშაულებდეთ „მოღალატეობაში“, იქნებ მას მოვთხოვოთ ამაზე პასუხი?**

აუცილებლად სათქმელია ისიც, რომ ფრაზა „ომი საქართველომ კი არა, სააკაშვილმა დაიწყო“ სრული უაზრობა და უვიცობაა იმის მხრიდან, ვინც ამას ამბობს. ომებს სახელმწიფოები სწორედ მათი ლეგიტიმური მმართველების ხელით და პირით აცხადებენ, თორემ, აბა, ისე, თავისთავად ქვეყანამ ომი რანაირად უნდა დაიწყოს? სააკაშვილი 2008 წელს იყო საქართველოს სახელმწიფოს ლეგიტიმურად არჩეული პრეზიდენტი, უმაღლესი მთავარსარდალი და ხალხისგან უფლებამოსილი პირი და მის მიერ ომის დაწყება საქართველოს მიერ ომის დაწყებას ნიშნავს. მოდი, ერთხელ და სამუდამოდ შევთანხმდეთ და სისულელეები აღარ ვილაპარაკოთ, თორემ, აბა, რა გამოდის — ომი დაიწყო **ჰიტლერმა** და არა გერმანიამ? ომი დაიწყო **ნაპოლეონმა** და არა საფრანგეთმა? თუნდაც ჩვენ თავის დროზე გვეომებოდა **შაჰ-აბასი** და არა ირანი? ხომ სრული აბსურდია? ამიტომ, თუკი ვინმე იტყვის, რომ „ომი სააკაშვილმა დაიწყო“, ეს იგივეა, რომ „ომი საქართველომ დაიწყო“ და ამ ორ ფრაზას შორის რაიმე განსხვავების ძებნა უაზრობაა.

თუმცა ჩვენ ისეთი ექსპერტები და ანალიტიკოსები გვყავს, გაცილებით უარესი ფრაზების დაბრეხვებას ახერხებენ.

გეხსომებათ, „შერიგების ყოფილი მინისტრის“ — **პაატა ზაქარეიშვილის** ფრაზა: „ჩვენ რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ, სავარაუდოდ, **ვლადიმერ პუტინი** რუსეთის ინტერესებით მოქმედებს!“ ამ ბრძნული დასკვნის შედეგად რა მოიგო და რა ახალი სიმაღლეები დაიპყრო ქართულმა დიპლომატიამ, ვერ გეტყვით, მაგრამ, „ექსპერტთა“ სიბრძნეები რომ უფრო დაიხვეწა და გაცილებით ბრძნული გახდა, უდავოა.

**ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ — ამერიკამ და თურქეთმა ჩვენს ქვეყანაში ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ ნორმალური ხალხი ვერ ხდება წარმატებული და ლუკმაპურს ეძებს. ხოლო ქვეყნის მმართველობაში, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებად და ა.შ. გზა ეხსნებათ ისეთ ჩერჩეტებს, რომლებიც რეალურად ფიქრობენ, რომ „ვანია“ სპონტანურად მოქმედებს და მხოლოდ 30 წლის შემდეგ, დიდი ფიქრის, განსჯისა და ქვეყნის ტერიტორიების გაწირვის ფასად, ხვდებიან, რომ თურმე რუსეთის ნაბიჯები წინასწარ კარგად მომზადებული და დაგეგმილია!**

**„ჩვენ უკვე დარწმუნებული ვართ, რომ კრემლი ჯერ კარგად გეგმავს თავის ნაბიჯებს და მხოლოდ შემდეგ ახორციელებს მათ“,** — ასეთი „მოულოდნელი“ დასკვნა გააკეთა ერთ-ერთმა ქართველმა ექსპერტმა, რომელიც სწორედ **სალომე ზურაბიშვილის** მიერ სააკაშვილისთვის კონფლიქტის დაწყების „დაბრალებაზე“ საუბრობდა. დამეთანხმებით, სრული შოკია! თურმე კრემლი, ანუ რუსეთი ჯერ კარგად გეგმავს იმ ნაბიჯებს და იმ ქმედებებს, რომელთა განხორციელებას აპირებს. აღმოჩენაა. ახალი სიტყვაა მსოფლიო ისტორიაში. ევრიკა!

არა, სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი რომ არ ვარ, ყველა ჩემმა ახლობელმა და შორებელმაც კი იცის, მაგრამ მართლა საინტერესოა, აი, ეს ადამიანები, რომლებსაც აბარიათ ჩემი სამშობლოს ბედი, ბოლო 30 წელიწადია, აქამდე რას ფიქრობდნენ?! კრემლი ასე, ჰაიჰარად, დაუგეგმავად ახორციელებდა თავის ქმედებებს?!

ფაქტია, **დღეს ჩვენ იმ სრულიად გამოშტერებული თაობის ხელში ვართ, რომელსაც ბავშვობიდან უტარებდნენ აგიტაციას, რომ რუსები უტვინო, ლოთი, არაფრის მაქნისი ხალხია; რომ, რუსებმა თუ რამეს მიაღწიეს, მხოლოდ რუსეთის სათავეში მოხვედრილი სხვა ეროვნების წარმომადგენელთა დამსახურებით, თორემ რუს ერს ჭკუა და გონება საერთოდ არ აქვს; რომ რუსეთი მხოლოდ მაშინ ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს, როცა „ვანია“ კრემლში დალევს და უცებ მოუნდება, ტანკით სადმე შევარდეს და ა.შ.**

დარწმუნებული ვარ, ამ დონის ჩერჩეტობები ყველა თქვენგანს მოუსმენია, მაგრამ ნორმალურ ადამიანებს გვაქვს განსჯის, აზროვნების უნარი და მოსმენილის რეალურად შეფასება შეგვიძლია, ამიტომ ასეთ შტერობებს რუს ერზე არ ვიჯერებთ. სამწუხაროდ, **ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორებმა“ — ამერიკამ და თურქეთმა ჩვენს ქვეყანაში ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ ნორმალური ხალხი ვერ ხდება წარმატებული და ლუკმაპურს ეძებს, ხოლო ქვეყნის მმართველობაში, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებად და ა.შ. გზა ეხსნებათ ისეთ ჩერჩეტებს, რომლებიც რეალურად ფიქრობენ, რომ „ვანია“ სპონტანურად მოქმედებს და მხოლოდ 30 წლის შემდეგ, დიდი ფიქრის, განსჯისა და ქვეყნის ტერიტორიების გაწირვის ფასად, ხვდებიან, რომ თურმე რუსეთის ნაბიჯები წინასწარ კარგად მომზადებული და დაგეგმილია!**

ყველაზე სასაცილო კი ის არის, რომ მსგავს „არგუმენტებს“ იყენებს იმის დასამტკიცებლად: აი, თუ არ გჯერათ, რუსეთმა დაიწყო ცხინვალში ომიო. კიდევ ვიმეორებ: საქართველოს ტერიტორიაზე რომ რუსული სამხედრო შენაერთები შემოვიდნენ და ქართული ჯარი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე არ შესულა, ეს ფაქტია და შესაბამისად, ომიც ცხინვალშიც, ახალგორშიც, სოხუმშიც და კოდორშიც რუსეთმა დაიწყო. ეს უდავო ფაქტია, მაგრამ **ვინ განაახლა სამხედრო მოქმედებები, ანუ ვინ დაიწყო საკუთარ ტერიტორიაზე ლოკალური სამხედრო კონფლიქტი, რომელმაც რუსეთის მხრიდან ომის წარმოება გამოიწვია? აი, ეს სხვა თემაა და საამისოდ იმ არგუმენტების მოტანა, რომ „რუსეთი მომზადებული იყო“, სრული უვიცობა, შტერობა და კომედიაა.**

ჯერ ერთი, რუსეთს ჰყავს სამხედრო დაზვერვაც და სხვადასხვა სპეციალური უწყებაც და თავისთავად ცხადია, მათ ექნებოდათ ინფორმაცია, რის გაკეთებასაც აპირებდა დაცენტრილი სააკაშვილი, ანუ ქართული მხარე, ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ რუსეთი მომზადებული შეხვდა ამ ამბავს. თუ გახსოვთ, აგვისტომდე რამდენიმე თვით ადრე რუსეთმა ინტენსიურად დაიწყო მოთხოვნა, რომ საქართველოს ხელი მოეწერა შეთანხმებაზე სოხუმისა და ცხინვალის კონფლიქტებში სამხედრო ძალის გამოუყენებლობის თაობაზე. **განა ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რას აპირებდა სააკაშვილი? ან რა დიდი ცოდნა მაგას უნდოდა?! განა „ნაცების“ ტელევიზიები ყოველ ნახევარ საათში არ გვაცქერინებდნენ სარეკლამო რგოლებს, რომლებშიც პირდაპირ მოგვიწოდებდნენ მზადყოფნას საომარი მოქმედებებისკენ? განა ქართველი მინისტრები ყოველ საინფორმაციოში არ იმეორებდნენ, რომ მომდევნო ახალ წელს ცხინვალსა და სოხუმში შევხვდებოდით?** ყოველივე ამის შემდეგ არგუმენტი: „რუსეთი მომზადებული იყო და ეს უკვე არის დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ომი რუსეთმა დაიწყო“ განა ძალიან სასაცილო არ არის?

დასასრულ, კიდევ უფრო კომიკური და, პირდაპირ ვიტყვი, **იდიოტიზმია ის, რომ ქართველი „ექსპერტები“ ვერც კი ხვდებიან, რამხელა სისულელეს ამბობენ ამ „არგუმენტით“. ბატონებო, თუკი თქვენ მიგაჩნიათ, რომ, ვინც „მომზადებული“ იყო, მან დაიწყო ეს სამხედრო კონფლიქტი, მაშინ რა გამოდის? ქართული მხარე მოუმზადებელი იყო? ქვეყნის მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა მოუმზადებელ ჯარს მისცა ბრძანება, ცხინვალში შესულიყო? არა? აჰ, ესე იგი, საქართველოც მომზადებული ყოფილა ამისთვის, ხომ? და რა გამოდის აქედან, თქვენივე ლოგიკით?**

კიდევ ვიმეორებ: სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი არასოდეს ვყოფილვარ და არც ვაპირებ, მას მივცე ხმა, მაგრამ, სანამ ამ ქალბატონს წაუყენებდეთ ბრალდებად იმის თქმას — „სამხედრო კონფლიქტი ცხინვალში ქართულმა მხარემ დაიწყო“ — მანამდე კარგად გაიხსენეთ თქვენივე მთავარსარდლის სიტყვები: **„მე გავეცი ბრძანება, რომ ქართული საჯარისო შენაერთები დაიძრნენ ცხინვალის მიმართულებით!“**

საზოგადოდ, ხელის დაფარება იმ ადამიანისთვის, რომელმაც თავისი ფსიქოპატიური ქმედებებით ქვეყანა დაღუპა, დანაშაულის არაღიარება და იმის მცდელობა, რომ ყველაფერი „სხვას“ გადავაბრალოთ, ერისა და სამშობლოს გაცილებით დიდი ღალატი მგონია, ვიდრე სიმართლისთვის თვალის გასწორება და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნის მცდელობა.

თუმცა ამ მანიაკებისგან რა უნდა გაგიკვირდეს, როდესაც მათმა თავდაცვის მინისტრმა **დავით კეზერაშვილმა** წარმოუდგენელი სისულელე დააბრეხვა შუა ომის დროს: „ჩვენ იმიტომ დავძარით ჯარი ცხინვალისკენ, რომ არ გვეგონა, თუკი რუსეთი სამხედრო ავიაციას გამოიყენებდა ჩვენ წინააღმდეგ!“

ალბათ, არასოდეს გველირსება ამ საიდუმლოს გაგება. აბა, რა ეგონათ?!

**ბატონებო, ცხოველებზე რომ ფიქრობთ და აკანონებთ, არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მშობელს დავსჯითო, რატომ არ ამბობთ, რადგან განსაკუთრებით დედაქალაქში სწორედ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები მომრავლდა?! არასრულწლოვანებმა ძალიან კარგად იციან, რომ კანონით ვერ დასჯიან, ამიტომ ხან ტექნიკის მაღაზიას ძარცვავენ, ხან კომპანიების ოფისებს. ვიდეოთვალი მათ ქმედებას აღბეჭდავს და მათი იდენტიფიცირება ხდება, მაგრამ მერე რა? პოლიცია ვერაფერს ახერხებს და იძულებულია, მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლოს.**

ჩაკურსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბატონო კახა და ხელისუფალნო, არ ფიქრობთ, რომ ცხოველებზე მეტად მისახედი ბავშვები არიან?!

**ყველა დაგვეთანხმება, ალბათ, რომ, თუ დღეს რომელიმე ქვეყანა თანამედროვე ტექნოლოგიებით დაიკვეხნის, ეს, პირველ რიგში, იაპონიაა. აზიისა და, საზოგადოდ, მსოფლიო ლიდერი იაპონია წინ დიდი ნაბიჯებით მიიწევს და ამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას ვერც მიწისძვრები აჩერებს და ვერც ცუნამი. ეგ კი არა, ორმა ატომურმა ბომბმაც ვერაფერი დააკლო ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს და იაპონელთა ფრაზა — „ვცოცხლობთ იმისთვის, რომ ვიმუშაოთ“, პრაქტიკაშიც ამართლებს.**

ბოლო აღწერით, იაპონიაში 130 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს და, სხვა რაღაცებთან ერთად, ეს ადამიანები ტოკიოს ზოოპარკითაც ამაყობენ. გარდა იმისა, რომ ზოოპარკი ტურისტებისთვის ერთ-ერთი საინტერესო ადგილია, მისი შენახვა ბიუჯეტს წელიწადში სამი მილიარდი დოლარი უჯდება, ანუ დაახლოებით იმდენი, რამდენიც ჩვენ ქვეყნის წლიური ბიუჯეტი გვაქვს. რა თქმა უნდა, არ დავიწყებ დემაგოგიას, რომ იაპონელები ცხოველებზე იმაზე მეტს ხარჯავენ, ვიდრე ჩვენი მთავრობა ადამიანებზე, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ წელიწადში ორ თვეს ზოოპარკი, უბრალოდ, დახურულია, რადგან... ცხოველებმა დამთვალიერებლებისგან უნდა დაისვენონ.

ეს ყველაფერი იმიტომ მოგიყევით, რომ დედაქალაქის მერის, **კახა კალაძის,** ინიციატივით, ცხოველების მიმართ სასტიკ მოპყრობაზე სასჯელი გამკაცრდება. მეტიც, თუ დანაშაულს არასრულწლოვანი ჩაიდენს, პასუხს მშობელი აგებს.

**„ბოლო პერიოდში ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის რამდენიმე ფაქტი აღირიცხა, მათ შორის იყო როგორც ცივი იარაღით, ასევე კისტის თოფითა და ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები. სწორედ ასეთი შემთხვევების გამო, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ინიცირებითა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. მინდა, მადლობა გადავუხადო შსს-ს. ეს საკანონმდებლო ცვლილება მნიშვნელოვანია, რათა თავი დავიზღვიოთ ასეთი შემთხვევებისგან და კანონი იქნას გამკაცრებული. ცვლილებათა პაკეტის მიხედვით, ცხოველის წამებისა და სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება სასჯელის შემდეგი სახეები – საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა, ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა, ვადით ერთ წლამდე. ამასთან, არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში, განისაზღვრა მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა. მგონია, რომ რეგულაციებით შესაძლებელი იქნება, პირველ რიგში, ცხოველების გადარჩენა და მეორეც — ადამიანების ქცევის შეცვლა. ჩვენ არ ვართ და არ უნდა ვიყოთ უმწეო ცხოველების მკვლელი საზოგადოება“**, — განაცხადა კალაძემ.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგია და ცხოველებზე მკაცრად მოპყრობა უნდა დაისაჯოს, მაგრამ რამდენიმე კითხვა გვაქვს როგორც კალაძესთან (ამ შემთხვევაში, როგორც მმართველი პარტიის გენერალურ მდივანთან), ისე ხელისუფლებასთან:

**ბატონებო, ცხოველებზე რომ ფიქრობთ და აკანონებთ, არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მშობელს დავსჯითო, რატომ არ ამბობთ, რომ განსაკუთრებით დედაქალაქში სწორედ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები მომრავლდა?! არასრულწლოვანებმა ძალიან კარგად იციან, რომ კანონით მათ ვერ სჯიან და ხან ტექნიკის მაღაზიას ძარცვავენ, ხან კომპანიების ოფისებს და ვიდეოთვალი მათ ქმედებას აღბეჭდავს და მათი იდენტიფიცირება ხდება, მაგრამ მერე რა? პოლიცია ვერაფერს ახერხებს და იძულებულია, მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლოს.** ხომ არ აჯობებდა, ცხოველებამდე ადამიანებზე გვეფიქრა და გვეფიქრა იმაზე, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ქურდობაზე, სხვისი ქონების დაზიანებაზე, ქუჩაში ძარცვაზე პასუხი მშობელმა აგოს?! დაზარალებულები ხმამაღლა ყვირიან, აზრი არ აქვს დაცვის დაყენებას, დაცვა დამნაშავეს აკავებს, მაგრამ პოლიცია გვაშვებინებსო და, ზუსტად ორი წელია, გვპირდებიან, რომ ამ მიმართულებით კანონს გაამკაცრებენ, მაგრამ შედეგი არ არის. სამაგიეროდ, მაღაზიის მეპატრონეებს არასრულწლოვანები აფრთხილებენ: სალაროში ას ლარზე ნაკლები თუ დაგვხვდება, ძვირად ღირებულ ინვენტარს დაგიმტვრევთო, ანუ ატერორებენ და ისინიც ხარკს ოფიციალურად იხდიან. მშობლები კი მხრებს იჩეჩავენ: სულ კუდში ხომ არ ვდევთ ბავშვებსო. ჯერ ერთი: ბავშვი თუ არის, ღამის სამ საათზე შინ უნდა იყოს; და მეორეც — დააკისრეთ მშობლებს ზარალის ანაზღაურება და ნახავთ, როგორ მოგვარდება პრობლემა ერთ დღეში, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება



**ერთი თვის წინათ თბილისის საქალაქო სასამართლომ 44 წლის კაცს 8 წლითა და 9 თვით აღუკვეთა თავისუფლება. არადა, პროკურატურა ამ კაცს პედოფილიის 44(!) შემთხვევას ედავებოდა. პრინციპში, რაღას ედავებოდა, დაკავებულმა 44-ე ეპიზოდი აღიარა, ისიც თქვა, რომ ბავშვებს (რომელთაგან ყველაზე უმცროსი 10 წლის იყო, უფროსი — 14 წლის) ლიფტში იტყუებდა (მელიფტედ მუშაობდა) და აუპატიურებდა. თანაც პედოფილიის 44-ე შემთხვევა ბიჭებზე მოდის**

რჩება, რომ ეს ქაოსი ვიღაცას ხელს აძლევს.

უფრო საინტერესოს გეტყვით. სულ რაღაც, **ერთი თვის წინათ თბილისის საქალაქო სასამართლომ 44 წლის კაცს 8 წლითა და 9 თვით აღუკვეთა თავისუფლება. არადა, პროკურატურა ამ კაცს პედოფილიის 44(!) შემთხვევას ედავებოდა. პრინციპში, რაღას ედავებოდა, დაკავებულმა 44-ე ეპიზოდი აღიარა, ისიც თქვა, რომ ბავშვებს (რომელთაგან ყველაზე უმცროსი 10 წლის იყო, უფროსი —14 წლის) ლიფტში იტყუებდა (მელიფტედ მუშაობდა) და აუპატიურებდა. ისიც სათქმელია, რომ პედოფილიის 44-ე შემთხვევა ბიჭებზე მოდის.** რა თქმა უნდა, მოსამართლის გადაწყვეტილებას ხმაური მოჰყვა და დაზარალებულების მშობლებმა ეს მცირევადიანი სასჯელი გააპროტესტეს, მაგრამ მოსამართლემ სისხლის სამართლის კოდექსი მოიშველია და განაცხადა, რომ ეს იყო მაქსიმალური სასჯელი, რისი დაკისრებაც მას შეეძლო და ამაზე მეტს კანონით ვერ მისცემდა, ანუ თითო ეპიზოდზე, პედოფილიის თითო შემთხვევაზე, იმ კაცს რეალურად 2 თვეზე ოდნავ მეტი მისცეს.

**ბატონო კახა და ხელისუფალნო, არ ფიქრობთ, რომ ცხოველებზე მეტად მისახედი ბავშვები არიან? კონკრეტულად იმ 44 ბავშვზე გესაუბრებით, რომლებიც დადასტურებულად გააუპატიურეს და სიცოცხლის ბოლომდე დაუმახინჯეს ფსიქიკა,** ასევე დადასტურებულად კაცი დეტალებში მოჰყვა, როგორ აძლევდა შემდეგ ბავშვებს სიჩუმის სანაცვლოდ ტკბილეულს და მცირე თანხას, 10-20 ლარის ფარგლებში... **იქნებ სჯობს, იმავე კალაძემ იმავე ოპერატიულობით მიმართოს პარლამენტს და სთხოვოს, რომ ამ მიმართულებით იმუშაონ და კანონი გაამკაცრონ, ისე გაამკაცრონ, რომ, დიდ სასჯელთან ერთად, დამნაშავის იძულებითი კასტრაციაც მოახდინონ. ცხოველებზე ხომ აკეთებთ ამას, რომ არ გამრავლდნენ და გააკეთეთ ასეთ არსებებზეც, ადამიანებად რომ იწოდებიან.**

რადგან ჯერ პრიორიტეტად ოთხფეხა მეგობრები გავიხადეთ, ისევ მათზე ვთქვათ. საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში, არაერთი ჩინური რესტორანია, სადაც შეკვეთის შემთხვევაში, ძაღლის ხორცს მოგართმევენ. გნებავთ — შემწვარს, გნებავთ — მოხარშულს ან წვნიანს. რეგიონებში არაერთხელ გვინახავს, როგორ დასდევენ ჩინელები მაწანწალა ძაღლებს ან როგორ სთავაზობენ გარკვეულ თანხას ჯიშიანი ძაღლების მეპატრონეებს. ახლა, ვინმე თუ იტყვის, რომ რესტორნების მეპატრონე ჩინელებს ძაღლები სამშობლოდან ჩამოჰყავთ ან გაყინული ხორცი შემოაქვთო, არ და ვერ დავიჯერებთ. თუ ასეა, ამაზრზენია, გამართლება არა აქვს და სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს. ჰოდა, გვაინტერესებს (თან ძალიან), აღნიშნული კანონის მიღება-გამკაცრების შემდეგ, ჩინურ რესტორნებში ძაღლის ხორცი აიკრძალება თუ სპეციალურ ძაღლსაშენს მოვაწყობთ, სადაც კერძისთვის განწირულ ოთხფეხა მეგობრებს მოვათავსებთ?! ამის შესახებ არც დედაქალაქის მერს უთქვამს რამე და არც იმ ადამიანებს, რომლებიც აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობენ. ანალოგიურის თქმა შეიძლება კატებზეც, რომლებსაც ის არასრულწლოვანები, ქუჩაში უპატრონოდ რომ არიან და სექტები აქვთ ჩამოყალიბებული, მსხვერპლად სწირავენ თავიანთ ღმერთებს და ამას ძირითადად სასაფლაოს ტერიტორიაზე სჩადიან. **თუ არ გჯერათ, დაიბარეთ სასაფლაოების დარაჯები და მოაყოლეთ, ყოველკვირეულად რამდენი კატა გამოჰყავთ სასაფლაოდან ხან ჩამომხრჩვალი, ხან გატყავებული და ხანაც დამწვარი.**

საინტერესო ის არის, რომ კანონის გამკაცრების შემთხვევაშიც კი, იმ არასრულწლოვნებს ხელისუფლება ვერაფერს უზამს, რადგან ისინი უპატრონო, მიუსაფარი ბავშვები არიან, რომელთა უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს, სად არის მისი მშობელი და, შესაბამისად, სამართალდამცავები ვერავის დასჯიან. ასე ლოგიკურად მივედით დასკვნამდე, რომ **ჯერ ადამიანებზე უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ და მერე — ცხოველებზე,** თორემ აწყობილ ქვეყანაში წლიურად სამი მილიარდი იხარჯება ზოოპარკის შესანახავად, იმდენი, რამდენსაც ხელისუფლება სრულიად საქართველოს მოსახლეობის შესანახავად ხარჯავს.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. რადგან კანონების გამკაცრებასა და უცნაურობაზე ვსაუბრობთ, იმავე სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ ჩანაწერზე გეტყვით. წელს ზემოთ სხეულის დაზიანება მკვლელობის მცდელობად ითვლება, წელს ქვემოთ კი — სხეულის დაზიანებად. მარტივად რომ აგიხსნათ, წელს ზემოთ კაცს ნემსი რომ შეარჭოთ, პროკურორს შეუძლია, მკვლელობის მცდელობაში დაგდოთ ბრალი, მაშინ, როცა წელს ქვემოთ, მაგალითად, ვინმეს ფეხში იარაღი რომ ესროლოთ, პროკურორი ვერაფრით იტყვის, მისი მოკვლა გინდოდათო და სხეულის დაზიანების მუხლით გაგასამართლებთ. ამ ორ მუხლს შორის სხვაობა კი დაახლოებით ხუთი წელია და ახლა თავად განსაჯეთ, რამდენად სამართლიანი კანონები გვაქვს.**

**ხომ არ აჯობებდა, ცხოველებამდე ადამიანებზე გვეფიქრა და გვეფიქრა იმაზე, რომ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ქურდობაზე, სხვისი ქონების დაზიანებაზე, ქუჩაში ძარცვაზე პასუხი მშობელმა აგოს?!**

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არაერთი ქართველი ექსპერტი ირწმუნება, რომ თურქეთისა და აშშ-ის ან აზერბაიჯანისა და რუსეთის ურთიერთობაში არაფერი იცვლება, რადგან ადგილი არ აქვს რაღაც მკვეთრ, ხმაურიან ნაბიჯებს, არამედ მხოლოდ ჩუმ, გეგმაზომიერ მუშაობას, რომელიც მოსაწყენია მათთვის, ვინც აღიქვამს პოლიტიკას, როგორც კარნავალს, თუმცა ფაქტი ჯიუტია: აშშ-თურქეთის ურთიერთობა აღარაა ისეთი, როგორიც თუნდაც ხუთი წლის წინათ იყო, ხოლო აზერბაიჯანი სულ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს რუსეთთან. ეს ორი გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონულ პოლიტიკაზე, მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ამის გათვალისწინებას აპირებს.**

# აზერბაიჯანი რუსეთისკენ იხედება

**რუსეთისა და აზერბაიჯანის ბოლოდროინდელმა დაახლოებამ შეიძლება არსებითად შეცვალოს სიტუაცია რეგიონში, თუმცა ოფიციალური თბილისი, როგორც ჩანს, თადარიგის დაჭერას არ აპირებს, გეოპოლიტიკურ ცვლილებებს ყურადღებას არ აქცევს და მთელი საგარეო პოლიტიკა დაჰყავს დაჟინებულ და უშედეგო მოთხოვნებამდე დასავლეთის მიმართ — სასწრაფოდ გააწევრიანოს საქართველო ნატოში.**



**აშკარაა, რომ ბოლო პერიოდში აზერბაიჯანის ძველი და სომხეთის ახალი ხელისუფლებები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ რუსეთთან ურთიერთობები გააუმჯობესონ, მაშინ, როდესაც ოფიციალური თბილისი საპირისპირო მიმართულებით მიდის — ურთიერთობები რუსეთთან უარესდება და მთავარ როლს ამაში ნატოში ინტეგრაციის თემა ასრულებს**

1 სექტემბერს სოჭში ვლადიმერ პუტინისა და ილჰამ ალიევის მოლაპარაკებები შედგა. შეხვედრის შემდეგ ხელი მოეწერა 16 დოკუმენტს, რომლებიც დაარეგულირებს თანამშრომლობას ენერგომატარებლების მოპოვების, მრეწველობის, ტურიზმის, სპორტის, საბაჟო კონტროლისა და სხვა სფეროებში. ალიევმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანმა 5 მილიარდი დოლარის რუსული შეიარაღება შეიძინა და არმიის მოდერნიზაციის პროცესში შესყიდვების გაზრდას აპირებს.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ 2017 წელს სავაჭრო ბრუნვა ორ ქვეყანას შორის თითქმის 35%-ით გაიზარდა და 2,5 მილიარდი დოლარი შეადგინა. პირდაპირი რუსული კაპიტალდაბანდებები აზერბაიჯანში 1,5 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა. ეკონომიკური თანამშრომლობის კონტექსტში ის შეეხო „გაზპრომისა“ და სანავთობო კომპანიების მუშაობას, აგრეთვე, განჯის საავტომობილო ქარხანაში ლიცენზირებული „კამაზ“-ების გამოშვებასა და რუსული „რ-ფარმის“ 74-მილიონიან ინვესტიციას, რომელიც აზერბაიჯანში ფარმაცევტული ქარხნის შექმნას ითვალისწინებს.

**ილჰამ ალიევმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ სატრანსპორტო დერეფნით „ჩრდილოეთი- სამხრეთი“, რომელიც რუსეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის, წელს დაახლოებით ასჯერ მეტმა ტვირთმა გაიარა, ვიდრე შარშან. ამასთანავე, მან ხაზი გაუსვა განსაკუთრებულ დამოკიდებულებას რუსული ენისა და კულტურის მიმართ.** მისი თქმით, „აზერბაიჯანში მოქმედებს ორი წამყვანი რუსული უნივერსიტეტის ფილიალი 340-ზე მეტი სკოლა, რომლებშიც სწავლების ენა რუსულია“. მან, აგრეთვე, ისაუბრა რუსეთის დიდ როლზე ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში.

ამ შეხვედრის წინ მედიასა და სოციალურ ქსელებში დაიწყო საუბარი აზერბაიჯანის შესაძლო გაწევრებაზე ოდკბ-ში. ერთ-ერთი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ალი გუსეინლიმ, განაცხადა, რომ „მიზანშეწონილია აზერბაიჯანის ოდკბ-ში მონაწილეობის საკითხის განხილვა“. აზერბაიჯანის მმართველი პარტიის წევრები მსგავს განცხადებებს ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, როგორც წესი, არ აკეთებენ, ამიტომ მისმა სიტყვებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია, როგორც რუსეთსა და აზერბაიჯანში, ისე მეზობელ სომხეთში.

**ერევანში „ხავერდოვანი რევოლუციის“ გამარჯვების შემდეგ, სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებში არსებითად არაფერი შეცვლილა — ნიკოლ ფაშინიანსა და მის გუნდს ევრაზიულ ეკონომიკურ და სამხედრო სტრუქტურებში სომხეთის წევრობის საკითხი ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ, თუმცა გაჩნდა ორი ახალი ფაქტორი, რომლებმაც მოსკოვს უბიძგა, ყურადღებით დააკვირდეს ახალი პარტნიორის მოქმედებას.** ერთ-ერთი ფაქტორი იმ მაღალჩინოსნების, მათ შორის ყოფილი პრეზიდენტის — რობერტ ქოჩარიანის, სისხლისსამართლებრივი დევნა გახდა, რომელთანაც კრემლი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა. ამასთანავე, 2017 წლის სექტემბერში ოპოზიციური ფრაქცია „ელკი“, რომლის წევრები ახლახან სომხური პოლიტიკის მთავარი მოქმედი პირები გახდნენ, გამოვიდა წინადადებით დროებითი საპარლამენტო კომისიის შექმნის შესახებ, რომელსაც ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციიდან გასვლის საკითხი უნდა შეესწავლა. ამგვარად, მოსკოვის სომხურ პოლიტიკაში „დაკვირვების“ პერიოდი დაიწყო და, როგორც ჩანს, ბაქოში ჩათვალეს, რომ ეს ურთიერთობის გაღრმავებისთვის ყველაზე ხელსაყრელი მომენტია. საგულისხმოა, რომ 2018 წლის ივლისში აზერბაიჯანში ჩატარდა კონფერენცია „ღერძი ბაქო-მოსკოვი: აზერბაიჯანი — რუსეთის ერთადერთი მოკავშირე კავკასიაში“, მონაწილეობა მასში ორი ქვეყნის დეპუტატებმა, ექსპერტებმა და ჟურნალისტებმა მიიღეს.

ერთ კვირაში სოჭის შეხვედრიდან მოსკოვში სომხეთის ახალი პრემიერმინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ჩავიდა. მან აღნიშნა, რომ „ორმხრივ ურთიერთობაში არ არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ შეიძლება... ჩვენ გვსურს ამ ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და განმტკიცება. ვგულისხმობ არა მხოლოდ ორმხრივ ურთიერთობებს, არამედ ჩვენს ურთიერთობას ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ფარგლებში“.

ალიევისა და პუტინის შეხვედრის წინ მოხდა ერთი მცირე, თუმცა საგულისხმო, ინციდენტი: აშშ-ის დროებითი რწმუნებული აზერბაიჯანში საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს და გადასცეს ნოტა, რომ აშშ-ის მოქალაქე, ვინმე დენ ბილზარიანი ყარაბაღში ჩავიდა და, აზერბაიჯანის საგარეო უწყების პრესსპიკერ ჰიკმეტ გაჯიევის თქმით, „ქალაქ ჰანკენდიში და სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყოფნისას, უკანონო რეჟიმის პროპაგანდას ეწეოდა, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი და, პროვოკაციული მიზნით, საჩვენებლად გაუხსნა ცეცხლი აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალების პოზიციებს“. აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია არა საკუთრივ ინციდენტი, არამედ რეაგირების ფორმა — **იმის ნაცვლად, რომ უკმაყოფილება დიპლომატიური არხებით სამუშაო რეჟიმში გამოეხატა, ოფიციალურმა ბაქომ სრულფასოვანი დიპლომატიური დემარში განახორციელა**.

ამ ეპიზოდის შედარება იმასთან, რაც გასულ კვირას აშშ-საქართველოს ურთიერთობებში მოხდა, ალბათ, არ შეიძლება, თუმცა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა რეაქცია ამერიკელი კონგრესმენის, სტივ რასელის, მოწოდებებზე იმდენად მოკრძალებული იყო, რომ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მათთვის მთავარია, თუნდაც შემთხვევით არ აწყენინონ ამერიკელ პარტნიორებს. აი ციტატა რასელის სკანდალური გამოსვლიდან, რომელიც ზოგმა შეიძლება ჩათვალოს მოწოდებად საქართველოს ხელისუფლების დამხობისკენ: „მოვუწოდებთ აშშ-ის პრეზიდენტს, დავეხმაროთ საქართველოს შემოდგომის არჩევნებში პროცესებზე მეთვალყურეობაში, როგორც ეს ერთხელ უკვე გავაკეთეთ 2003 წლის არჩევნებზე. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს საარჩევნო კომისიას, აღიდგინოს თავი წარმომადგენლობით ორგანოდ და ნუ იმყოფებს თავს მოსკოვისა და მისი ნდობით აღჭურვილი პირის, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის, კერძო მფლობელობაში. ჩვენ მოვუწოდებთ აშშ-ის ფინანსთა სამინისტროსა და დასავლეთის ბანკებს, გაყინონ ივანიშვილის აქტივები, რადგან ის არღვევდა კანონს, როგორც იარაღით უკანონოდ მოვაჭრე. ჩვენ მოვუწოდებთ სახელმწიფო დეპარტამენტს, მივცეთ ნიშანი იმ ქართველ ოფიციალურ პირებსა და ბიზნესლიდერებს, რომლებიც აღმოჩნდებიან თავისუფალი არჩევნების მოსყიდვის თანამონაწილეები, რომ გაუქმდეს მათი ვიზები და გაიყინოს მათი აქტივები. ჩვენ ასევე მოვუწოდებთ დასავლეთის თავისუფალი პრესის ჟურნალისტებს, არჩევნებამდე დარჩენილ რამდენიმე თვეში, რომელიც შესაძლოა საქართველოს რესპუბლიკისთვის თავისუფლების ბოლო რამდენიმე თვე იყოს, მისცენ ქართველ ხალხს შანსი, ხმა მიაწვდინონ მსოფლიოს. ბოლოს, ჩვენ მოვუწოდებთ თვითგამორკვეულ თავისუფალ და უდრეკ ქართველ ხალხს, იდგეს წმინდა გიორგის სულიერების გზაზე. იყავით თავაწეულნი, მტკიცედ ჩასჭიდეთ ხელი შუბს და განგმირეთ თავდამსხმელი დრაკონი“.

**ამ ეტაპზე აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობა მეგობრულად ითვლება, თუმცა მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თურქულ-ამერიკული დაპირისპირების გამწვავება, რომელმაც მეზობელ სახელმწიფოს საკმაოდ მტკივნეული ეკონომიკური პრობლემები მოუტანა. თურქეთი აზერბაიჯანის მთავარი პარტნიორია, მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებს. 15 სექტემბერს ალიევმა და ერდოღანმა ერთად მიიღეს სამხედრო აღლუმი, რომელიც ბაქოს აღების მე-100 წლისთავს მიეძღვნა.** მაშინ, 1918-ში თურქებმა და აზერბაიჯანელებმა, ქალაქის სხვა დამცველებთან ერთად, ბრიტანული საექსპედიციო კორპუსი, ანუ დასავლეთის წარმომადგენლები დაამარცხეს. საქართველოს ხელისუფლება მსგავს სიტუაციაში, სავარაუდოდ, შეეცდებოდა ამ გარემოებისთვის ხაზი არ გაესვა, მისი წარმომადგენლები თითქმის არასოდეს იხსენებენ 1920 წლის ივლისს, როდესაც, ჟორდანიას ხელისუფლების მწვავე განცხადებების ფონზე, ინგლისელებმა ბათუმი დატოვეს და ის საქართველოს ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა. ალიევი კი არათუ პოლემიკასთან, არამედ ომთან დაკავშირებით არანაირ უხერხულობას, როგორც ჩანს, არ გრძნობს, ისევე, როგორც ერდოღანი.

აზერბაიჯანი ესაზღვრება კიდევ ორ სახელმწიფოს, რომელსაც ვაშინგტონმა სანქციები დაუწესა — რუსეთსა და ირანს. აზერბაიჯანის ხელისუფლება ორივეს საკვანძო ეკონომიკურ პარტნიორად განიხილავს. ამასთანავე, რუსეთს ყარაბაღის კონტექსტში განსაკუთრებული როლი აქვს, რაც ბაქოს უბიძგებს, მასთან კარგი ურთიერთობა იქონიოს.

**აშკარაა, რომ ბოლო პერიოდში აზერბაიჯანის ძველი და სომხეთის ახალი ხელისუფლებები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ რუსეთთან ურთიერთობები გააუმჯობესონ, მაშინ, როდესაც ოფიციალური თბილისი საპირისპირო მიმართულებით მიდის — ურთიერთობები რუსეთთან უარესდება და მთავარ როლს ამაში ნატოში ინტეგრაციის თემა ასრულებს.**

**სექტემბრის პირველ დეკადაში საქართველოს პრემიერმინისტრი სომხეთისა და აზერბაიჯანის პირველ პირებს შეხვდა. ამ შეხვედრებზე ძირითადი აქცენტი ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებაზე გაკეთდა. ერთი მხრივ, ახალი პრემიერის ასეთი მონდომება მისასალმებელია, მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ დასავლეთს და მითუმეტეს საქართველოს ხელისუფლებას ამ ეტაპზე არ აქვს ალტერნატიული წინადადება ერევნისა და ბაქოსთვის, რომელიც უბიძგებს მათ, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას თავი დაანებოს.**

სააკაშვილის მმართველობის პერიოდიდან საქართველოში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართ უცნაური დამოკიდებულება დამკვიდრდა. პოლიტიკოსები და ექსპერტები სწრაფ ცვლილებებს, მოულოდნელ გადაწყვეტილებებს ელოდებიან. ამ მიდგომამ სააკაშვილს შესაძლებლობა მისცა, 2006-ში დაეანონსებინა საქართველოს გაწევრება ნატოში 2008 წლისთვის, ხოლო 2012-ში — 2014 წლისთვის და საკმაოდ ბევრმა ადამიანმა, განსაკუთრებით პირველ შემთხვევაში, ეს სრული სერიოზულობით მიიღო. ამ მიდგომის ფარგლებში ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ემსგავსება ველოსიპედის მართვას და სწორედ ასე უდგებოდა მას მოყვარული ველოსიპედისტი სააკაშვილი, მაშინ, როდესაც პასუხისმგებლობის მქონე მთავრობები კურსის შეცვლასა და კორექტირებას გარკვეულ დროს ანდომებენ — ამ დროს ისინი არა ველოსიპედისტებს, არამედ დიდი გემების კაპიტნებს ემგვანებიან.

**არაერთი ქართველი ექსპერტი ირწმუნება, რომ თურქეთისა და აშშ-ის ან აზერბაიჯანისა და რუსეთის ურთიერთობაში არაფერი იცვლება, რადგან ადგილი არ აქვს რაღაც მკვეთრ, ხმაურიან ნაბიჯებს, არამედ მხოლოდ ჩუმ, გეგმაზომიერ მუშაობას, რომელიც მოსაწყენია მათთვის, ვინც აღიქვამს პოლიტიკას, როგორც კარნავალს, თუმცა ფაქტი ჯიუტია: აშშ-თურქეთის ურთიერთობა აღარაა ისეთი, როგორიც თუნდაც ხუთი წლის წინათ იყო, ხოლო აზერბაიჯანი სულ უფრო მჭიდროდ თანამშრომლობს რუსეთთან. ეს ორი გარემოება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონულ პოლიტიკაზე, მაგრამ არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება ამის გათვალისწინებას აპირებს.**

**ლუკა ნემსაძე**

**სანამ აშშ-ის ფლოტი დომინირებდა წყნარი ოკეანის სივრცეებში, ტოკიო იძულებული იყო, ორიენტირი ვაშინგტონზე აეღო. ახლა, როდესაც დომინირება ნელ-ნელა ქრება, იაპონიას სურს, თავი დააღწიოს აშშ-ის დიქტატს და შეხვდეს მისთვის სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას.**

პროცესი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევრაზიაში ჩამოყალიბდა ძალის ახალი ცენტრი — ჩრდილო-აღმოსავლეთი აზია

**რუსეთის ქალაქ ვლადივოსტოკში გამართულ აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე ჩინეთის ხელმძღვანელმა სი ძინპინმა გამოაცხადა ძალების ახალი მსოფლიო გლობალური ცენტრის შექმნის შესახებ, რომელსაც მან „ჩრდილო-აღმოსავლეთი აზია" უწოდა და ამ ცენტრში, ჩინეთის გარდა, იგულისხმა რუსეთი, იაპონია, ორივე კორეა და მონღოლეთი — 6 სახელმწიფო, რომლებშიც ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 23% და მათი წილი მსოფლიოს მთლიან შიგა პროდუქტში 19%-ს შეადგენს.**



მიზეზი ასეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებისა, რომლის შექმნასაც პეკინი თავისი პარტნიორებისა და მოკავშირეების მხარდამხარ აპირებს, **სი ძინპინს** არ დაუმალავს, „ეს არის ღრმა და რთული გარდაქმნები თანამედროვე მსოფლიოში, რომლებსაც ახლავს ძალისა და პროტექციონიზმის პოლიტიკის აღორძინება", — ჩინეთის ლიდერი აშკარად გულისხმობდა აშშ-ს. სი ძინპინის განცხადებით, **„ჩრდილო-აღმოსავლეთი აზიის დიდი ეკონომიკური წრე შეიქმნება სამართლიანობის პრინციპებზე და მისი მონაწილეების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით".** ეს იქნება „კოორდინირებული განვითარების ახალი მოდელი, სავარაუდოდ, **„უდოლარო მოდელი"**, რომლისთვისაც „წითელი დრაკონი" (ასე უწოდებენ ჩინეთს) მზად არის, შეაპიროს განვითარების თავისი პროექტები ყველა სახელმწიფოსთან, რომლებიც მოისურვებენ მასთან თანამშრომლობას.

## დიდი ევრაზია – ამერიკის ჰეგემონიის დასასრული

ევრაზია უზარმაზარი კონტინენტია, რომელზეც ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, და აწარმოებენ მთლიანი შიგა პროდუქტის დიდ ნაწილს. თუ ევრაზიას მისგან გეოგრაფიულად არც ისე შორს მყოფ აფრიკასთან ერთად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ეს არის ტერიტორია, რომელსაც შეუძლია არა მხოლოდ უზრუნველყოს თავი საჭირო რესურსებით, არამედ დაიცვას კიდეც ნებისმიერი საგარეო საფრთხისგან.

**აქამდე ამერიკელები ევრაზიის დიდ ნაწილზე ვითარებას მხოლოდ დასავლეთ ევროპისა და წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში თავიანთი მოკავშირეების (იაპონიისა და სამხრეთ კორეის), აგრეთვე, ისრაელის, საუდის არაბეთისა და ბოლო პერიოდამდე თურქეთის მეშვეობით აკონტროლებდნენ.** მაგრამ დღეს ამ ქვეყნებმა გადააფასეს ვითარება მსოფლიოში და ცდილობენ, უსაფრთხოების საერთო სისტემა რუსეთთან და ჩინეთთან ერთად შექმნან.

სწორედ ამიტომ კრემლი ძალისხმევას არ იშურებდა და არ იშურებს დასავლეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად; და სწორედ ამიტომ ვაშინგტონი ჯიუტად ცდილობს უთანხმოების ჩამოგდებას ევრაზიის ამ ორი ძალის ცენტრს შორის. **საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონისა და გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის ცოტა ხნის წინანდელი განცხადებები, ახლა კი ევროკომისიის თავმჯდომარის — ჟან-კლოდ იუნკერის განცხადება ევროპელთა სურვილზე, დაკავდნენ თავიანთი უსაფრთხოების საკითხებითა და აუცილებლად მოაგვარონ ურთიერთობა რუსეთსა და მის მოკავშირეებთან, მიუთითებს იმაზე, რომ ახალი რეალიები უკვე გამოიკვეთა და მათ დანახვას ვერ შეძლებს მხოლოდ ბრმა, მაგალითად, საქართველოს ხელისუფლება.**

## ინტერესების თანხვედრა

მოსკოვისა და პეკინის ლოგიკის გაგება რთული საქმე არ არის, თუმცა არც ამერიკის „სტრატეგიული პარტნიორების" ლოგიკის გათვითცნობიერებაა რთული. ჩანს, რომ ტრამპის ადმინისტრაციამ თვითიზოლაციისკენ აიღო კურსი. ამასთანავე, **მკაფიოდ არის გაცხადებული, რომ აშშ არ აპირებს თავისი მოკავშირეების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თანხების დახარჯვას.**

ეს ყველაფერი ხდება ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონის სტრატეგიული მარცხისა და რუსეთ-ჩინეთის ახალი, უკვე ჩამოყალიბებული ძალის ცენტრის სულ უფრო მზარდი სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების ფონზე. ამიტომ ამერიკის ევროპელი თუ აზიელი სატელიტებისთვის ძველ პოზიციებზე დარჩენა ძალიან სახიფათო ხდება. მაგრამ ევროპელებს, იაპონელებსა და კორეელებს მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ აქვთ, თვით ვაშინგტონის პოლიტიკა უბიძგებს მათ მოსკოვისა და პეკინისკენ.

ამასთანავე, შეუძლებელია, არ აღინიშნოს ევრაზიელთა გათვლების სიზუსტეც. სი ძინპინის შეთავაზება დროულად გაისმა. შარშან ადრე იქნებოდა, ერთი წლის შემდეგ — გვიან, დღეს კი **იაპონიაც და სამხრეთ კორეაც დილემის წინაშე დგანან: ან ისევ ამერიკელების ჭკუაზე უნდა იარონ და მათ ინტერესებს ემსახურონ, ან კიდევ მოილაპარაკონ რუსეთსა და ჩინეთთან და საკუთარ საქმეებს მიხედონ.**

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძე**

# იაპონიას უნდა, რუსეთ-ჩინეთის «უდოლარო» ცენტრს შეუერთდეს

**ვლადივოსტოკში გამართული აღმოსავლეთის ეკონომიკური ფორუმის პლენარულ სხდომაზე „შორეული აღმოსავლეთი: საზღვრებისა და შესაძლებლობების გაფართოება", სადაც მოხსენებით გამოვიდნენ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინპინი, მონღოლეთის პრეზიდენტი ჰალტმააგიინა ბატულგი, იაპონიის პრემიერმინისტრი სინძო აბე და კორეის რესპუბლიკის პრემიერმინისტრი ლი ნაკ იონა, ბევრი ე.წ. წყნარი სვლა, კომბინაცია გაკეთდა, რომლებიც სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას ქმნის.**



ამ ახალ რეალობას, უწინარესად, ჩინეთისა და იაპონიის ლიდერები ქმნიან, ვლადიმერ პუტინმა კი წინასწარგანზრახვით დაუთმო ინიციატივა და „მთავარი როლი" პარტნიორებს. მან მხოლოდ მიმართა სინძო აბეს, რომ წლის ბოლომდე გააფორმონ სამშვიდობო შეთანხმება მოსკოვსა და ტოკიოს შორის, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

**ეს იყო შეთავაზება ამომავალი მზის ქვეყნის პრემიერმინისტრის მოულოდნელ გამოსვლაზე, როდესაც მან განაცხადა, რომ მსოფლიო შევიდა ძველის ნგრევისა და ახლის შენების, ადრე არარსებული და შეუძლებლად მიჩნეული კავშირების შექმნის სტადიაში, აგრეთვე, იაპონიის მზადყოფნაზე — იყოს „გიგანტური კონექტორი" ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცისა ბერინგის სრუტიდან სამხრეთ წყნარი ოკეანის რეგიონამდე.**

„ჩვენ ვართ ჩვენი ისტორიის საკვანძო მომენტში", — განაცხადა სინძო აბემ. **დღეს კურილიის კუნძულებზე ლოჯისტიკური ჰაბის შექმნით წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის წყლების ტრანზიტის ზონად გადაქცევის პერსპექტივა რეალური პოლიტიკური გეგმაა სახელმწიფოსთვის, რომელსაც მეოთხე ადგილი უკავია მსოფლიო ეკონომიკაში.**

**სანამ აშშ-ის ფლოტი დომინირებდა წყნარი ოკეანის სივრცეებში, ტოკიო იძულებული იყო, ორიენტირი ვაშინგტონზე აეღო. ახლა, როდესაც დომინირება ნელ-ნელა ქრება, იაპონიას სურს, თავი დააღწიოს აშშ-ის დიქტატს და შეხვდეს მისთვის სრულიად ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას.**

ამიტომ რუსეთის პრეზიდენტის საპასუხო შეთავაზება შეიძლება განვიხილოთ, როგორც იაპონიის ისტებლიშმენტის განწყობების შემოწმება. პუტინმა, უბრალოდ, შესთავაზა მათ, დრო არ გააჭიანურონ და დაიწყონ მოლაპარაკებები „აქვე და ახლავე".

ადრე ჯერ სსრკ-ის, შემდეგ რუსეთის მხრიდან მსგავს შეთავაზებას ამომავალი მზის ქვეყანა ყოველთვის უარყოფდა. „ჩრდილოეთის ტერიტორიების", ანუ კურილიის კუნძულების დაბრუნების პრობლემა ერთ-ერთი ჯაჭვია, რომლითაც მიბმულია ტოკიო ვაშინგტონთან. იაპონიამ კრემლის წინადადება ამჯერადაც უარყო, მაგრამ **სინძო აბემ** თავის გამოსვლაში მიანიშნა, რომ ვითარება შეიძლება შეიცვალოს 2019 წელს, იაპონიის იმპერატორის შეცვლის შემდეგ.

ახალი გეოპოლიტიკური სამკუთხედის — რუსეთი-ჩინეთი-იაპონიის — ჩამოყალიბება ასეთი გადაწყვეტილების შესაძლებლობას ქმნის. თუ ტოკიო გადაწყვეტს მოსკოვთან სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებას კურილიის კუნძულებზე ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ ამომავალი მზის ქვეყანა აშშ-ის დაქვემდებარებიდან გამოვიდა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ახალი გეოპოლიტიკური სამკუთხედის — რუსეთი-ჩინეთი-იაპონიის — ჩამოყალიბება ასეთი გადაწყვეტილების შესაძლებლობას ქმნის. თუ ტოკიო გადაწყვეტს მოსკოვთან სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებას კურილიის კუნძულებზე ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, ეს იქნება ნიშანი იმისა, რომ ამომავალი მზის ქვეყანა აშშ-ის დაქვემდებარებიდან გამოვიდა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„უამრავი სპეციალისტის მიერ დაგმობილმა „სტალინურმა სისტემამ“ უდიდესი ეფექტიანობა და სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა. მისი წყალობით 1950-იან წლებში საბჭოთა კავშირი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით მსოფლიოში ყველაზე დინამიკური ქვეყანა იყო. მაგალითისთვის საკმარისია, გავიხსენოთ ჩვენი კოსმოსური მიღწევები, მშვიდობიანი ბირთვული ენერგიის ათვისება და ფუნდამენტური მეცნიერების წარმატებები“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №26-32 (450-456)

# სტალინის პორტრეტისთვის

## 1931-1941 წლები. იდუმალების სამყარო

**ვასრულებ რა საბჭოთა კავშირის ისტორიაში გამარჯვებებითა და წარუმატებლობებით აღსავსე 1931-1941 ათწლეულზე წერას, ამ პერიოდის შესაფასებლად მივმართავ სტალინის უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, ივანე ბენედიქტოვს, რომელიც სტალინის ხელმძღვანელობით ათეული წლების განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული სოციალიზმის მშენებლობაში.**

**ივანე ბენედიქტოვისა** და **სტალინის** ურთიერთობაზე ვრცლად ამ სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ვისაუბრებ, მაგრამ ახლა მინდა, მკითხველს მივაწოდო ბენედიქტოვის თვალსაზრისი, რომლისთვისაც გამოვიყენე მისი უკანასკნელი ინტერვიუ, რომელზეც ჟურნალისტებმა მრავალგზის თხოვნის შემდეგ დაითანხმეს. მისი თვალსაზრისის გარკვეული ნაწილი სტალინისა და ხრუშჩოვის მოღვაწეობაზე 1981 წელს, ბენედიქტოვის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, გამოქვეყნდა.

ინტერვიუს უცვლელად გთავაზობთ. მასალის გაცნობის შემდეგ კი დარწმუნდებით, რომ სტალინი ბრძენი იყო, **ხრუშჩოვი** კი — არანორმალური.

**კითხვა: — სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეკონომიკის განვითარებაში შესამჩნევი ჩამორჩენა შეინიშნება. ოფიციალურ დოკუმენტებში ყოველივე ამას როგორც ობიექტური სირთულეებით, ისე სუბიექტური შეცდომებით ხსნიან. მეცნიერებისა და სპეციალისტების უმრავლესობა სოფლის მეურნეობის განვითარების შეფერხებას ნამდვილი ეკონომიკური მექანიზმის არარსებობაში ხედავენ. ამ საკითხზე საინტერესოა იმ ადამიანის აზრი, რომელსაც ეკონომიკის განხრით მნიშვნელოვანი თანამდებობა სწორედ იმ პერიოდში ეკავა, როდესაც ჩვენი ეკონომიკა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ტემპით ვითარდებოდა.**

**პასუხი:** — ვშიშობ, ჩემი „კონსერვატიულობითა“ და „დოგმატურობით“ იმედს გაგიცრუებთ. ვთვლი, რომ 50-იანი წლებში მოქმედი ეკონომიკური სისტემა დღევანდელი ეკონომიკის ზრდისა და სტაბილური განვითარების უზრუნველყოფასაც შეძლებდა. რა თქმა უნდა, ცხოვრება ცხოვრებაა და რაღაცის შეცვლა და განახლება საჭიროა. საერთო ჯამში, **უამრავი სპეციალისტის მიერ დაგმობილმა „სტალინურმა სისტემამ“, როგორც სწორად შენიშნეთ, უდიდესი ეფექტიანობა და სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა. მისი წყალობით 1950-იან წლებში საბჭოთა კავშირი ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით მსოფლიოში ყველაზე დინამიკური ქვეყანა იყო.** მაგალითისთვის საკმარისია, გავიხსენოთ ჩვენი კოსმოსური მიღწევები, მშვიდობიანი ბირთვული ენერგიის ათვისება და ფუნდამენტური მეცნიერების წარმატებები.

XX საუკუნის 30-იან, 40-იან და 50-იან წლებშიც კი როგორც სამეწარმეო საქმიანობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, ყურადღება, რაოდენობას კი არა, ხარისხს ექცეოდა. ახალი ტექნიკის დანერგვით პროდუქციის თვითღირებულების შემცირება შრომის წარმოების ზრდისთვის გადამწყვეტი მაჩვენებელი იყო. ანალოგიური რამის თქმა შეიძლება სოციალურ სფეროზეც, საზოგადოებაში იდეურ-პოლიტიკური კლიმატის შემქმნელ მთავარ ნაწილზე. საბჭოთა ხალხის ძირითადი მასა ცხოვრებით კმაყოფილი იყო და მომავალს ოპტიმისტურად უყურებდა; რაც მთავარია, მთავრობის სჯეროდა, მაგრამ ხრუშჩოვი სტალინი ვერ იქნებოდა. ცუდ კაპიტანს შეუძლია გემი დაღუპოს. ასეც მოხდა. სხვა წინამძღოლებს ჯერ გზა აერიათ, შემდეგ ერთი უკიდურესობიდან მეორეს მიაწყდნენ, ბოლოს კი საჭეს ხელი გაუშვეს და ქვეყნის ეკონომიკა ჩიხში შევიდა. იმისათვის, რომ უსუსურობა საჯარო არ გამხდარიყო, „სისტემაზე“ დაიწყეს თავდასხმა. **ცნობილი ლოზუნგი: „კადრები და კონტროლი ყველაფერს წყვეტს“ თანამიმდევრობით და განუხრელად ხორციელდებოდა სტალინის პერიოდში. მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა და უყურადღებობისა, გადაიჭრა ქვეყნის წინაშე მდგარი ისეთი ისტორიული ამოცანები, როგორიც იყო სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა, ფაშიზმის დამარცხება და სოფლის მეურნეობის აღდგენა.** რეფორმებისა და რეორგანიზაციის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მათთვის სახელწოდება „ძირითადი საყრდენის“ მინიჭებას ვეწინააღმდეგები. მათ ისე არ უნდა ვუყურებდეთ, თითქოს სასწაულის მოხდენას შეძლებენ. ასეთი დადგენილებებისა და რეორგანიზაციის რიცხვი ათჯერ მაინც უნდა შევამციროთ. კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად კი ძალები ოფლისმღვრელი და დაუღალავი შრომისკენ უნდა მივმართოთ. სასწაულმოქმედ შედეგებს სწორედ მაშინ მივიღებთ, გაიზრდება პარტიის მიმართ ხალხის ნდობა, რომელიც ყოველწლიურად მცირდება. მე ახალს არაფერს ვამბობ, სწორედ ამ შემართებით მუშაობდა პარტიული სახელმწიფო აპარატი ე.წ. კულტის რეჟიმის წლებში. ამ პერიოდში ქვეყნის წარმატებით განვითარების მთავარ პირობას ხელმძღვანელობის — დირექტორებისა და თავმჯდომარეების — პროფესიული დონე წარმოადგენდა. ჭკვიანი და კომპეტენტური უფროსი სწრაფად ავითარებს წარმოებას, სუსტი კი განვითარებას აფერხებს. აქედან დასკვნა: ხელმძღვანელი კადრების მიმართ პროფესიული, ზნეობრივ-იდეური და პოლიტიკური ზრდისთვის მკაცრი მოთხოვნები და მუდმივი და ყოველმხრივი კონტროლი აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალიზმი თავის ისტორიულ მნიშვნელობას კარგავს.

**კითხვა: — გამოჩენილი ისტორიკოსების, ოფიციალური დოკუმენტებისა და მტკიცებულებების მიხედვით, მაღალ ეშელონებში ნიჭიერი ადამიანების გათავისუფლების პოლიტიკა სტალინმა დაიწყო?**

**პასუხი:** — ხელისუფლებაში **ხრუშჩოვის** მოსვლისთანავე საბუთებში აუარებელი ფალსიფიკაცია გაჩნდა. რაც შეხება სტალინის პერიოდში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს, ისინი მხოლოდ ერთ წესს ემორჩილებოდა — ეს იყო პროფესიონალიზმი და უმოკლეს ვადაში ვითარების უკეთესობისკენ წარმართვა. სრული საფუძვლველი გამაჩნია იმის სათქმელად, რომ ახალგაზრდობის წინ წამოწევა გაცნობიერებულად მოხდა, როგორც სტალინის, ისე ცკ-ის პოლიტბიუროს სხვა წევრების მხრიდან. ამ ხაზმა სრულიად გაამართლა, თუნდაც იმიტომ, რომ **ომის საშინელ და დაძაბულ წლებში არსებული სიძნელეების გადაჭრა მხოლოდ შემოქმედებითად, არაშაბლონურად მოაზროვნე და მოქმედ ახალგაზრდობას შეეძლო,** მაგრამ საქმე მხოლოდ ჩვენი ხალხის ნიჭიერებაში, პატრიოტიზმსა და ენთუაზიაზმში არ ყოფილა. ეს შესანიშნავი თვისებები, როგორც ამას ათეულობით წლების გამოცდილება გვიჩვენებს, უწესრიგობისა და არაორგანიზებულობისას იკარგება, როდესაც ნიჭიერი ადამიანების სტიმულირების შესაძლებლობა არ არსებობს. **სტალინზე რაც უნდა ილაპარაკონ, მისი მმართველობის პერიოდში ხელმძღვანელ თანამდებობებზე შეუდარებლად ბევრი ნიჭიერი ადამიანი იმყოფებოდა. კარგია, რომ ბოლო წლებში უარყოფითად განწყობილი ან რეპრესიებისგან დაზარალებული პირების მხრიდან სტალინზე თავდასხმა თითქმის შეწყდა. შედარებით ობიექტურად წარმოგვიჩენენ სტალინის სახელმწიფო თუ სამხედრო მოღვაწეობას,** მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მართვის მეთოდებისა და ხელმძღვანელობის სტილის აღდგენას არავინ ფიქრობს ან მათთვის ეს შეუძლებელია...

**კითხვა:** — საკმაოდ ხშირად მქონია შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავე საწარმოებში, რომელთა ხელმძღვანელებიც 30-იანი და 40-იანი წლების ეკონომიკური სისტემის არასრულფასოვნებაზე ჩიოდნენ.

**პასუხი:** — ადამიანები ყოველთვის მიილტვიან უკეთესობისკენ, ხელმძღვანელები კი, მათ შორის, ყველაზე მოწინავეებიც, თავიანთი მძიმე ხვედრის შესამსუბუქებლად არიან მიმართულნი. ადამიანურად მათი გაგება შეიძლება: „ზემდგომთა“ არაკომპეტენტურობა ყოველთვის ახდენს ზეწოლას მოწინავე კოლექტივზე, მაგრამ სახელმწიფო საკითხებს სახელმწიფოს სიმაღლიდან უნდა მიუდგე და არა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რომლისკენაც, სამწუხაროდ, ბევრი პატივცემული პიროვნებაა მიდრეკილი. ასე რომ, მე მომხრე ვარ ჩვენი ეკონომიკური სისტემის იმ მეთოდებით ჩანაცვლების, რომლებმაც 30-იან, 40-იან და 50-იან წლებში გამოცდა წარმატებით ჩააბარა.

ვაფასებდი **კოსიგინის** რეფორმებს და არაერთგზის დავაფასებ. მის წინადადებებში საკმაოდ ფასეული და სასარგებლო ელემენტებია, რომლებიც ეკონომიკური მექანიზმის გასაუმჯობესებლად საჭიროა და დღესაც უნდა დაინერგოს .

**კითხვა: — როგორც ვიცით, 60-იან წლებში რეფორმები არ განხორციელებულა. გამოდის, რომ ათი წლის განმავლობაში ჯერ კიდევ 30-იანი წლების რეფორმებით აღებული კურსი გვქონდა შენარჩუნებული. რომელი მოსაზრება უფრო მართებული იქნება: ჩვენი უუნარობა წარსულის სისტემამ გვაიძულა თუ განვითარებული ცვლილებებიდან გამომდინარეობს?**

**პასუხი:** — მე უკვე ვახსენე ცუდი წინამძღოლი. მართალი ხართ, კოსიგინის რეფორმა სრულად ვერ განვითარდა, თუმცა გეგმების გაწერისა და სახელმწიფო დისციპლინის დანერგვა მაინც შეძლო. **ნებისმიერ დირექტორს რომ ჰკითხოთ, რა სჭირდება ხარისხიანი პროდუქციის გამოსაშვებად და გეგმის შესასრულებლად, გიპასუხებთ, რომ კარგია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და მასალების ყველა მომწოდებლის მხრიდან მოვალეობის პირნათლად შესრულება. დღეს კი სწორედ ამ საკითხმა გადაინაცვლა უკანა პლანზე და ადგილი დაუთმო ღირებულების მაჩვენებლებსა და მოგებაზე ფიქრს.**

კოსიგინის რეფორმების ბოლომდე განხორციელება რომ ყოფილიყო შესაძლებელი, რიგი ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა.

**კითხვა: — დასავლეთში ხომ მართვის უფრო ორგანიზებული სტრუქტურა მოქმედებს, ვიდრე ჩვენთან... რატომ არ შეიძლება მათ ამ გამოცდილებას დავესესხოთ?**

**პასუხი:** — სხვისი გამოცდილება გონივრულად უნდა გამოიყენო და არა მექანიკურად გადმოიღო. ყოველთის შენი გზით უნდა იარო და ის გამოცდილება გადმოიღო, რომელიც ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას წაადგება და ორგანულად შეერწყმება. მახსენდება შემდეგი ეპიზოდი: 30-იანი წლების ბოლოს, ჩემი სოფლის მეურნეობის მინისტრობის პერიოდში, სტალინი და პოლიტბიუროს სხვა წევრები სოფლის მეურნეობის გამოფენას დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ერთხელ, ექსპონატების დათვალიერებისას, სტალინის ყურადღება იმ ბოსტნეულმა და ხილმა მიიქცია, რომლებიც სამხრეთის მეურნეობიდან იყო ჩამოტანილი და არც ისე სახარბიელოდ გამოიყურებოდა.

**— რა ხდება, ამხანაგო ბენედიქტოვ? — მკითხა მან, — ეს მიღწევების გამოფენაა თუ ჩაწოლილი საქონლის?**

— საქონელი გამოფენაზე რკინიგზით ჩამოდის, რასაც რამდენიმე დღე სჭირდება. დიდი ხარჯების გამო სახკონტროლო თვითმფრი- ▶



სტალინი, ივანე ბენედიქტოვი და კლიმენტ ვოროშილოვი

**«სტალინი დამოუკიდებლად მოაზროვნე და საკუთარი აზრის დაცვის უნარის მქონე ადამიანებს დიდად აფასებდა. ამისთვის ა. იაკოვლევის წიგნის «ცხოვრების მიზნის» გადაფურცვლაც კი საკმარისია, სტალინის მუშაობის მეთოდები რომ შევაფასოთ, დავინახოთ მისი ღირსებები, როგორც სამართლიანი რუსი ინტელიგენტისა, რომელიც არც ერთი იდეოლოგიური ბანაკისკენ არ იხრებოდა»**

**„მართალია, სტალინი ზოგჯერ სიმკაცრესაც იჩენდა, მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში ჩადენილი შეცდომების შედეგად ჩამოქვეითებულ ადამიანებს დაწინაურება მაინც შეეძლოთ, როგორც ეს ჟუკოვმა და ტიმოშენკომ მოახერხეს. ხრუშჩოვის პერიოდში მხოლოდ ქვეითდებოდნენ და ზევით ვეღარ მიიწევდნენ. რატომ? — იმიტომ, რომ სტალინს ადამიანების გატეხვა არ უნდოდა, მათ შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას აძლევდა; ესმოდა, რომ ჭკვიანი ხელმძღვანელების პოვნა არც ისე ადვილი იყო. ხრუშჩოვი კი მხოლოდ ძალაუფლების განმტკიცებისკენ ისწრაფოდა და, მისი აზრით, უკან დაბრუნებული ადამიანები ხელისუფლებისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდნენ“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნავებით ჩამოზიდვაზე უარს გვეუბნება.

— საკონტროლო საქმეს თავისი სიმაღლიდან უდგება, თქვენ კი ამ საკითხს სახელმწიფო პოზიციიდან უნდა მიუდგეთ და საქმე ფორმალობებით არ გააფუჭოთ. **სახალხო კომისარი და გამოფენის თავმჯდომარე იმიტომ ხართ, რომ ეს პოზიციები დაიცვათ და მსგავს ფორმალობებს ებრძოლოთ. ხალხმა საკუთარი თვალით უნდა ნახოს, როგორი ხილისა და ბოსტნეულის მოყვანაა შესაძლებელი. ადამიანებში მოწინავე გამოცდილების გავრცელების სურვილი უნდა აღვძრათ. თქვენი დამჭკნარი პროდუქცია კი მათ ასეთ განწყობას ვერ შეუქმნის. ათასების ეკონომიას ცდილობთ და მილიონებს კარგავთ.**

სულ მალე გამოფენებზე პროდუქტების ჩამოტანა თვითმფრინავებით დაიწყეს. სტალინი მართალი იყო: არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, როდესაც გამოფენაზე მყოფი დელეგაციები წარმოდგენილი პროდუქციის მოყვანის იდეით ინთებოდნენ.

სხვათა შორის, **სტახანოვურმა** მოძრაობამ ქვეყანაში შრომის წარმოება ერთ-ნახევარჯერ გაზარდა. ეს ყველაფერი კი უმოკლეს ვადაში არც ისე დიდი დანახარჯით მოხდა.

სტალინი ხელმძღვანელებს გვასწავლიდა, განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია „აუტსაიდერთა“ პროექტებისა და წინადადებებისთვის, მასების ტექნიკური შემოქმედება ყოველმხრივ განგვეხილა...

**კითხვა: — თქვენ სტალინისა და ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში სოფლის მეურნეობის მინისტრი იყავით. შეგიძლიათ, შეადაროთ ორივე მათგანის მიდგომა ეკონომიკის მნიშვნელოვანი ინდუსტრიების მიმართ?**

**პასუხი:** — ხრუშჩოვმა პოლიტბიურო სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებით გაავსო. ნიკიტა სერგეევიჩი სოფლის მეურნეობაში არც ისე ცუდად ერკვეოდა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლისას სოფლის მეურნეობის სფეროში საკმაოდ დიდი შეცდომები დაუშვა. მისი ზოგიერთი ქმედება დამღუპველი და კატასტროფული იყო, რასაც სტალინი არასოდეს დაუშვებდა.

ვფიქრობ, ამის მიზეზი ხრუშჩოვის მიერ სოფლის მეურნეობის სფეროში დანიშნულ სპეციალისტებში უნდა ვეძებოთ. **სტალინი, როგორც წესი, სპეციალისტების აზრის მოსმენის შემდეგ საკუთარ მოსაზრებასაც ჩაურთავდა ხოლმე. იგი თავის პოზიციას ან ცვლიდა, ან მასში მნიშვნელოვანი შესწორებები შეჰქონდა. ხრუშჩოვის მოქმედებები კი დროთა განმავლობაში პირადი ამბიციების გამოხატვაში გადაიზარდა. მისი მეშვეობით სოფლის მეურნეობაში მოაზროვნე სპეციალისტები „უდარდელმა“ კადრებმა შეცვალეს.**

ხრუშჩოვს კარგად ვიცნობდი და გეტყვით, რომ ის ძლიერი და შრომისუნარიანი ხელმძღვანელი იყო, თუმცა მთავრობაში პოზიციების გამაგრების შემდეგ ყველას თვალწინ შეიცვალა და სოფლის მეურნეობის სწორად მართვას ხელს უშლიდა. თანაც, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ **სწორედ ხრუშოვმა დაიწყო კომპეტენტური ადამიანების თავიდან მოშორება, მათი, ვისაც საკუთარი თვალსაზრისის დაცვა შეეძლო. სტალინისდროინდელი ბევრი სახალხო კომისარი, რომლებიც მწარე სიმართლის თქმას იყვნენ მიჩვეულები, თანამდებობას თანდათან ტოვებდნენ.** წაიკითხეთ კომპეტენტური ადამიანების მოგონებები, მათი, ვინც სტალინს ახლოს იცნობდა. ყველა მათგანი ერთხმად აღიარებს, რომ **სტალინი დამოუკიდებლად მოაზროვნე და საკუთარი აზრის დაცვის უნარის მქონე ადამიანებს დიდად აფასებდა. ამისთვის ა. იაკოვლევის წიგნის „ცხოვრების მიზნის“ გადაფურცვლაც კი საკმარისია, სტალინის მუშაობის მეთოდები რომ შევაფასოთ, დავინახოთ ღირსებები მისი, როგორც სამართლიანი რუსი ინტელიგენტისა, რომელიც არც ერთი იდეოლოგიური ბანაკისკენ არ იხრებოდა.**

მართალია, სტალინი ზოგჯერ სიმკაცრესაც იჩენდა, მაგრამ მისი მმართველობის პერიოდში ჩადენილი შეცდომების შედეგად ჩამოქვეითებულ ადამიანებს დაწინაურება მაინც შეეძლოთ, როგორც ეს **ჟუკოვმა** და **ტიმოშენკომ** მოახერხეს.. **ხრუშჩოვის პერიოდში მხოლოდ ქვეითდებოდნენ და ზევით ვეღარ მიიწევდნენ. რატომ? იმიტომ, რომ სტალინს ადამიანების გატეხვა არ უნდოდა, მათ შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობას აძლევდა, ესმოდა, რომ ჭკვიანი ხელმძღვანელების პოვნა არც ისე ადვილი იყო. ხრუშჩოვი კი მხოლოდ ძალაუფლების განმტკიცებისკენ ისწრაფოდა**, და, მისი აზრით, უკან დაბრუნებული ადამიანები ხელისუფლებისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდნენ.

**კითხვა: — პიროვნების კულტის მსხვრევაზე რას გვეტყვით? გამოიჩინა თუ არა ამით ხრუშჩოვმა პოლიტიკური სითამამე?**

**პასუხი:** — გარდაცვლილებთან ბრძოლას პოლიტიკურ სითამამეს ვერ დავარქმევ. ალბათ, არ გეცოდინებათ, რომ ხრუშჩოვი ჯერ კიდევ 30-იან და 40-იან წლებში **კაგანოვიჩთან** მეგობრობდა და მასთან ერთად პარტიულ ორგანიზაციებს „არასაჭირო“ ხალხისგან ათავისუფლებდა. მახსოვს, მას კიევში დავურეკე და ვთხოვე, სოფლის მეურნეობაზე პასუხისმგებელი გუნდის საქმიანობა დაწვრილებით შეესწავლა. ყურადღებით მომისმინა და დამპირდა, რომ კაგანოვიჩს შეუთანხმდებოდა. ოღონდ მთხოვა, სიტუაციის ცენტრში ხმაური არ ამეტეხა. არ ვიცი, კაგანოვიჩს ელაპარაკა თუ არა, მაგრამ ჩემ მიერ დავალებული საქმე არ შეუსრულებია.

**კითხვა: — რას გულისხმობთ?**

**პასუხი:** — იმას, რომ ხრუშჩოვის მოქმედების არსი ძალაუფლებისათვის ბრძოლა და პარტიის აპარატებში მონოპოლიური სისტემის დამყარება იყო.

## «ცნობილი ლოზუნგი: «კადრები და კონტროლი ყველაფერს წყვეტს» თანამიმდევრობით და განუხრელად ხორციელდებოდა სტალინის პერიოდში. მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა და უყურადღებობისა, გადაიჭრა ქვეყნის წინაშე მდგარი ისეთი ისტორიული ამოცანები, როგორიც იყო სოციალიზმის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა, ფაშიზმის დამარცხება და სოფლის მეურნეობის აღდგენა»



**კითხვა: — კონკრეტულ საკითხს დავუბრუნდეთ. შეგიძლიათ სოფლის მეურნეობის პრობლემებისადმი სტალინისა და ხრუშოვის მიდგომების თავისებურებების შესახებ მოგვიყვეთ?**

**პასუხი:** — ეს განსხვავებები სტალინის შემდგ გამოჩნდა, როცა ნიკიტა სერგეევიჩმა თავისი ნოვატორული მიდგომით მსოფლიოს გაოცება გადაწყვიტა. პირველ რიგში, საკითხი მეურნეობების, კოლმეურნეობების, კუსტარული და კოოპერატიული საწარმოების საქმიანობას ეხებოდა. **სოფლებში კოლექტივიზაციის დასრულების შემდგაც კი ინდივიდუალური სექტორი დიდ როლს თამაშობდა. ომამდელ წლებში 60-დან 90 პროცენტამდე ხილს, ხორცს, კვერცხს და კვების სხვა პროდუქტებს (მარცვლეულის გამოკლებით) სწორედ კერძო მეურნეობები იძლეოდნენ. ხილისა და ბოსტნეულის დიდ ნაწილსაც სწორედ ისინი აწარმოებდნენ. სხვათა შორის, როგორც ომამდე, ისე მის შემდგომ წლებში კოლმეურნეები მოგებას, არა საზოგადოებრივი, არამედ კერძო მეურნეობიდან იღებდნენ.** სტალინს ესმოდა, რომ ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივი ვადით ობიექტურად გარდაუვალი იყო და „კოლექტივიზაციის“ ფორსირების მცდელობებს დაუნდობლად ებრძოდა. რაც შეეხება ხელფასის საკითხს, სტალინის პერიოდში კვალიფიციური შრომისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად ის საკმაოდ აქტიურად გამოიყენებოდა.

მაგალითად, სოფლის მეურნეობაში აგრონომების, მექანიზატორების, მძღოლებისა და სხვების ხელფასები შედარებით მაღალი იყო, ვიდრე კოლმეურნეებისა და სახელმწიფო მეურნეობების მუშების.

ასეთივე სურათი იყო ინდუსტრიაში, სადაც ინჟინრები და განსაკუთრებით უახლესი ტექნიკის კონსტრუქტორები მოღვაწეობდნენ.

**კითხვა: — მემუარულ ლიტერატურაში ხრუშჩოვსა და სტალინს შორის აგროქალაქების უხერხული პროექტის გამო უთანხმოებაა ნახსენები...**

**პასუხი:** — მე ამ პროექტს უხერხულს არ დავარქმევდი. მასში სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიული წარმოების შესახებ საკმაოდ რაციონალური იდეა იყო ჩადებული, რომლის მიხედვით ქალაქისა და სოფლის სოციალურ-ყოფითი და კულტურული სფეროების დონეზე გათანაბრება უნდა მომხდარიყო. თუმცა სტალინი, რამდენადაც ხრუშჩოვის ორგანიზატორული ნიჭში იყო დარწმუნებული, იმდენად ნაკლებად ენდობოდა მის პოლიტიკურ და თეორიულ შესაძლებლობებს. მახსოვს ერთ-ერთი თათბირი, რომელზეც სტალინმა ხრუშჩოვი ყველასგან მოურიდებლად გაკიცხა.

— ბევრი იცის, — მოულოდნელად და გაბრაზებით მითხრა ხრუშჩოვმა (სადგომზე მანქანას ერთად ველოდებოდით).
— ხელმძღვანელობა ადვილია, აბა, მიდი და კონკრეტულად სცადე...

— ვინ იცის? — მექანიკურად ვკითხე ფიქრებში გართულმა. თათბირზე მეც ბევრი „მომხვდა“ და უკვე ვფიქრობდი, სტალინის შენიშვნების რეალიზება როგორ მომეხერხებინა.

— არაფერი, ისე, ჩემთვის ვთქვი, — მითხრა ნიკიტა სერგეევიჩმა. — კარგად მოგვხვდეს, დასკვნები უნდა გამოიტანოთ. მას თავი უკვე ხელში ჰყავდა აყვანილი და მეგობრულად მიღიმოდა.

მხოლოდ მანქანაში მივხვდი, რომ ხრუშჩოვის სიტყვები სტალინს ეკუთვნოდა.

როგორც იტყვიან, ჭაობში ეშმაკები ბუდობენ... აგროქალაქების ამბავი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ხრუშჩოვისა და სტალინის სხვადასხვა მიდგომას სოფლის მეურნეობის საკითხის მიმართ. სტალინი თხემით ტერფამდე რეალისტი იყო — დაფიქრებით, საფუძვლიანად, აუჩქარებლად მოქმედებდა. ხრუშჩოვი კი პირიქით — სწრაფად მიღებულ ეფექტს ამჯობინებდა.

**კითხვა: — თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, დღევანდელ სოფლის მეურნეობაში არსებული საშინელი მდგომარეობის მიზეზად ხრუშჩოვი და სტალინის კურსიდან გადასული ყველა პირი უნდა ჩავთვალოთ?**

**პასუხი:** — სოფლის მეურნეობის ჩამორჩენაში მთელი დანაშაულის ხრუშჩოვზე ან სტალინზე გადაბრალება არასწორი იქნება. აქ მთავარია ობიექტური ფაქტორები და ქვეყნის ისტორიის სპეციფიკური განვითარება. რაზე უნდა ვისაუბროთ, როცა 20-იანი წლების დასაწყისში ჩვენს სოფლებში გვალვა სჭარბობდა, ამ დროს აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია დასრულდა.

რუსეთში კი თანამედროვე ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკის აღდგენა შუა საუკუნეების სოფლებიდან ხდებოდა. სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობდა.

**სოფლის მეურნეობის აღსადგენად და გლეხების ცხოვრების გასაუმჯობესებლად სტალინის მთავრობა ყველაფერს აკეთებდა. ამას ვადასტურებ ადამიანი, რომელმაც ამ სფეროში თითქმის ოცი წელი ვიღვაწე.** სოფელმაც თანამედროვე შრომისა და წარმოების ორგანიზებისკენ და ცივილიზებული კულტურისკენ მკვეთრი ნახტომი გააკეთა, თუმცა წარსულის ჩამორჩენის შედეგებისგან მისი სწრაფი გათავისუფლება არარეალური იყო. სახელმწიფოს მხოლოდ 50-იან წლებში მიეცა საშუალება, სოფლის მეურნეობაში დიდი ძალები და საშუალებები გამოეყენებინა.

მართალია, **იმხანად გლეხების ცხოვრება არც ისე იოლი იყო, მაგრამ ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მეფისდროინდელი რუსეთის სოფელი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სოფლებს ასი და მეტი წლითაც ჩამორჩებოდა.** ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები უკეთესობისკენ შეტრიალდა. კოლმეურნეები და სახელმწიფო მეურნეები ცხოვრებით კმაყოფილი იყვნენ და მომავალს ოპტიმისტურად უყურებდნენ. 30-იან წლებში სოფელში მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობდა. ერთადერთი, რაშიც სტალინი წაგებული დარჩა, იყო ის, რომ ღირსეული მემკვიდრის მომზადება ვერ მოასწრო.

***კითხვა:* — დასასრულ, რას უსურვებთ ცხოვრების ასპარეზზე ახალგამოსულ ახალგაზრდობას?**

**პასუხი:** — ტოლსტოიმ შესანიშნავი სიტყვები თქვა: „სწორი გზა ასეთია: გაითავისე, შენამდე სხვებმა რა გააკეთეს და გზა განაგრძე“. ჩვენი თაობა პრობლემებს ასე გაუმკლავდა: ავაშენეთ სოციალიზმი, დავიცავით ის ფაშისტური აგრესიისგან და ქვეყანა უძლიერეს სახელმწიფოდ ვაქციეთ. დღევანდელი თაობაც გაუმკლავდება მის წინაშე მდგარ პრობლემებს; თუ მაგალითებს წარსულიდან აიღებს, დროში გამოცდილს აითვისებს და გზას განაგრძობს შრომის, კულტურისა და ყოფის გაუმჯობესებისკენ.

**პატრიოტიზმი და სამშობლოსადმი სიყვარული არა მხოლოდ ფსიქოლოგიური, არამედ უდიდესი ეკონომიკური ძალაა. ჩვენში კი საკუთარი ქვეყნის, ხალხისა და კულტურის მიმართ სიამაყის განცდას შოვინიზმად ნათლავენ.**

დაე, ჩვენმა ახალგაზრდობამ მრავალრიცხოვან სირთულეებს გაუძლოს და სოციალიზმის იდეალებისთვის ბრძოლა ისეთივე ენერგიით განაგრძოს, როგორი ენერგიაც 30-იანი წლების თაობისთვის იყო დამახასიათებელი.

ამერიკული სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის შეერთებული შტატები, პირველ რიგში, იცავს თავის იმ მოქალაქეებს, რომლებიც შეიძლება იქცნენ ჰააგის სასამართლოს დევნის ობიექტებად ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისთვის ქვეყნებში, სადაც ამერიკელები ატარებენ სამხედრო ოპერაციებს. ეს, უწინარესად, ეხება ავღანეთს, რომლის გამოც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისმა რამდენიმე წლის წინათ განაცხადა, რომ „არსებობს გონივრული საფუძველი“ ამერიკელი სამხედროებისა და მზვერავების დადანაშაულებისა ადამიანების წამებაში.**

# ამერიკელები საკუთარ თავს კანონსა და საერთაშორისო სამართალზე მაღლა აყენებენ

## ისინი არაფრად აგდებენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს

**აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში — ჯონ ბოლტონმა განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლება ყველა ზომას მიმართავს თავისი მოქალაქეების დასაცავად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსგან, თვით სანქციების შემოღებამდე მოსამართლეების მიმართ.**

ეს არ არის რიგითი ამერიკელი „ქორის“ ფრაზა, პირიქით — ბოლტონის განცხადება ამერიკის მრავალწლიანი პოლიტიკის კალაპოტში ჯდება და მისი განვითარების ლოგიკური მიმართულებაა.

**აშშ-ს დაძაბული ურთიერთობა აქვს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან 2000-იანი წლების დასაწყისში ჰააგაში მისი დაფუძნების დღიდანვე. აშშ-მა ხელი მოაწერა ე.წ. რომის სტატუსს, რომლითაც დაფუძნებულია ეს სასამართლო, მაგრამ კონგრესში მის რატიფიკაციამდე საქმე არ მისულა, ორიოდე წლის შემდეგ კი ვაშინგტონმა საერთოდ გაიწვია თავისი ხელმოწერა დოკუმენტიდან. ამას გარდა, აშშ-მა კანონმდებლობით უფლება მისცა თავის სტრუქტურებს, ძალის გამოყენებით გაათავისუფლოს ამერიკის მოქალაქეები, რომლებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. ორდერით არიან დაპატიმრებული და ზოგიერთ ქვეყანასთან გააფორმეს შეთანხმება, რომლის მიხედვით ამერიკის მოქალაქეს არ გადასცემენ ამ სასამართლოს.**

ასეთი პოზიციის მიზეზი საიდუმლო არავისთვისაა და ძალიან მარტივია: **ამერიკის შეერთებული შტატები, პირველ რიგში, იცავს თავის იმ მოქალაქეებს, რომლებიც შეიძლება იქცნენ ჰააგის სასამართლოს დევნის ობიექტებად ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისთვის ქვეყნებში, სადაც ამერიკელები ატარებენ სამხედრო ოპერაციებს. ეს, უწინარესად, ეხება ავღანეთს, რომლის გამოც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისმა რამდენიმე წლის წინათ განაცხადა, რომ „არსებობს გონივრული საფუძველი“ ამერიკელი სამხედროებისა და მზვერავების დადანაშაულებისა წამებაში.** ამ კონტექსტშიც კი ბოლტონის განცხადება ამერიკის პოლიტიკის უპრეცედენტო ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ამ საკითხში. **ერთია, როცა საკუთარ მოქალაქეებს იცავ სასამართლოს დევნისგან და თავს არიდებ ჰააგის სასამართლოსთან პირდაპირ კონფრონტაციას; და მეორეა, როცა არაორაზროვნად ემუქრები ამ ორგანიზაციის კონკრეტულ წარმომადგენლებს.**

ეს ყველაფერი სრულიად თავსდება ბოლო წლებში ამერიკის ხელისუფლების მოქმედების ლოგიკაში (ამასთანავე, ლაპარაკია არა მხოლოდ ამჟამინდელ ადმინისტრაციაზე, არამედ **ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის პერიოდზეც). **ამერიკელებმა თითქოს მიზნად დაისახეს, დაანგრიონ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემა, მათ შორის, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის საბაზისო სისტემაც.**

ამ ფონზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესების დაპირება გასაკვირი სულაც არ არის.

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, მაგალითად, გაეროსგან, სადაც გარკვეულ დონემდე აშშ-ის დომინაცია გაწონასწორებულია სხვა ძალების მიერ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წმინდა დასავლური პროდუქტია. მან უკვე მოიხვეჭა, და არცთუ უსაფუძვლოდ, რეპუტაცია ინსტრუმენტისა, რომლებსაც იყენებენ დასავლეთის მოწინააღმდეგეების ან, უბრალოდ, არასასურველი პოლიტიკური ფიგურების წინააღმდეგ.

**სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო შეიქმნა ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე საერთაშორისო**



**ამერიკელებმა თითქოს მიზნად დაისახეს, დაანგრიონ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების სისტემა, მათ შორის, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის საბაზისო სისტემაც**

**ტრიბუნალის „წარმატების“ შემდეგ, რომელმაც ხაზგასმული უსამართლობითა და არაობიექტურობით გამოიჩინა თავი სერბების მიმართ. მან ხელი შეუწყო დასავლეთს, 1990-იან წლებში გაენეიტრალებინა სერბეთის ძალისხმევა საკუთარი მიწის დასაცავად და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე საზღვრები გაევლო იქ, სადაც მოესურვებოდა.**

სამხედრო დანაშაულებისა და გენოციდის გამო სისხლისსამართლებრივი დევნა მოსახერხებელი ინსტრუმენტი იყო, როგორც პროპაგანდისთვის, ისე არასასურველი პოლიტიკური ფიგურების მოსაშორებლად. ამ მხრივ ყველაზე ნათელი მაგალითია სერბეთისა და იუგოსლავიის პრეზიდენტი **სლობოდან მილოშევიჩი,** რომელმაც სიცოცხლის ბოლო 5 წელიწადი ჰააგის ციხეში გაატარა, მისი სიკვდილის შემდეგ კი ყოფილი იუგოსლავიის შესახებ საერთაშორისო ტრიბუნალმა გამოსცა დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მილოშევიჩის წინააღმდეგ ბრალდებები საკმარისად დასაბუთებული არ იყო(?).

თავის მხრივ, **ამ ტრიბუნალის მემკვიდრეს დასავლეთი იყენებდა ანტილიბიური კამპანიისთვის, რომლის შედეგადაც დაამხეს მუამარ კადაფი, ხოლო ლიბია ნგრევასა და ქაოსში ჩაძირეს და ეს ერთ დროს აყვავებული ქვეყანა დღესაც ამ მდგომარეობაშია.**

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი იუგოსლავიის საკითხების საერთაშორისო ტრიბუნალი და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ფორმალურად სხვადასხვა სტრუქტურაა, ხოლო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოღვაწეობის ძირითადი ნაწილი კონცეტრირებულია აფრიკაში მიმდინარე კონფლიქტებისკენ — ორივე ორგანიზაციამ საკმარისზე მეტი გააკეთა, ქცეულიყო სიმბოლოდ იმისა, როგორ იყენებდა დასავლეთი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი სამხედრო დანაშაულების პრობლემატიკასა და რიტორიკას არასასურველი პოლიტიკური ფიგურების თავიდან მოსაშორებლად და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად საერთაშორისო არენაზე.

# ევროპა და აშშ სულ უფრო შორდება ერთმანეთს

## ჟან-კლოდ იუნკერი: ევრო აქტიურ ინსტრუმენტად უნდა იქცეს ახალ, უფრო სუვერენულ ევროპაში



**ევროპას ამჟერად სურს, ბოლო მოუღოს აშშ-ის მონოპოლიას ენერგომატარებლების მსოფლიო ბაზარზე და თვითონ გახდეს დამოუკიდებელი ცენტრი.**

„გეოპოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით ევროკავშირისთვის დადგა დრო, იქცეს სუვერენულ, დამოუკიდებელ გლობალურ მოთამაშედ საერთაშორისო ურთიერთობაში“, — ნათქვამია ევროკომისიის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. მომავალ წელს ევროპის მთავრობამ უნდა გადადგას ნაბიჯები ევროს მნიშვნელობის დონის ასაწევად მსოფლიოს ფინანსურ სცენაზე. ეს მოწოდებები გაისმა ევროკავშირის თავმჯდომარის, ჟან-კლოდ იუნკერის, მიმართვაში ევროპარლამენტისადმი.

**იუნკერმა აბსურდული უწოდა ფაქტს, რომ ევროპა ენერგომატარებლების იმპორტისთვის განკუთვნილი თანხის 80 პროცენტს (ეს 300 მლრდ ევროა წელიწადში) დოლარებში იხდის. არადა, იმპორტის მხოლოდ 2 პროცენტია აშშ-ის წილი. იუნკერმა, აგრეთვე, აბსურდული უწოდა იმ ფაქტს, რომ ევროპის ავიაკომპანიები დოლარებით ყიდულობენ ევროპულ თვითმფრინავებს, როცა შეუძლიათ ამისთვის ევრო გამოიყენონ.**

იუნკერის თქმით, 2018 წლის ბოლომდე ევროკომისია წარმოადგენს ინიციატივებს საერთაშორისო არენაზე ევროს როლის განმტკიცების შესახებ. „ევრო აუცილებლად უნდა იქცეს ახალი, უფრო სუვერენული ევროპის სახედ და ინსტრუმენტად“, — განაცხადა იუნკერმა. იუნკერის განცხადებაში ყურადღებას იპყრობს სიტყვები **„უფრო სუვერენული ევროპა“.** უფრო სუვერენული, ანუ დამოუკიდებელი? ე.ი. აქამდე დამოკიდებულები იყვნენ? მაგრამ ვისზე ან რაზე? თუმცა, აქ აშშ და მისი პოლიტიკა რომ იგულისხმება, ეჭვი არავის ეპარება.

# ევროპა ძირეული ცვლილებების მოლოდინში



**„გაისად, ბოლოს და ბოლოს, გვექნება შესაძლებლობა, შევცვალოთ ძალთა ბალანსი ევროპაში“, — განაცხადა იტალიის ვიცეპრემიერმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მატეო სალვინიმ 2019 წლის მაისში გასამართი ევროპარლამენტის არჩევნებისა და ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობის პერსპექტივის შეფასებისას.**

სალვინის განცხადებით, „რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს არ აქვს არანაირი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული აზრი. მე გამუდმებით მივუთითებ მთავრობას, თვალყური ადევნოს სანქციებით გამოწვეულ ზარალს და ამას მომავალშიც გავაკეთებ“.

უფრო ადრე სალვინიმ განაცხადა, რომ იტალია ავანგარდში ჩაუდგება ანტირუსული სანქციების გაუქმების ინიციატივას და იმ შემთხვევაში, თუ ამ სანქციების გაგრძელების საკითხი დადგება დღის წესრიგში, ვეტოს უფლებას გამოიყენებს. იტალიის მთავრობის ამჟამინდელი ხელმძღვანელების აზრით, რუსეთის მიერ ყირიმის მიერთებაზე უნდა იმსჯელონ და თავი უნდა დაანებონ სხვის ფორვატერში დრაიფს ევროპის, კერძოდ, იტალიის ინტერესების გაუთვალისწინებლად.

გვერდი მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**დემონსტრირებამ რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაახლოებისა, რომელზეც ჯერ კიდევ 2 წლის წინათ საუბარიც არ იყო, ახლა კი რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი სამხედრო შტაბები იქმნება, ვლადიმერ პუტინსა და სი ძინპინს საშუალება მისცა, განეცხადებინათ ორი ქვეყნის ერთობლივ პასუხისმგებლობაზე მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვის საქმეში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთი და ჩინეთი მსოფლიოს ცვლიან

## ვლადივოსტოკში პუტინმა და სი ძინპინმა ერთობლივი პასუხისმგებლობა აიღეს ევრაზიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვაზე

**ვლადივოსტოკში აღმოსავლეთის მე-4 ეკონომიკური ფორუმის მიმდინარეობისას რუსეთისა და ჩინეთის ლიდერების — ვლადიმერ პუტინისა და სი ძინპინის — შეხვედრა გაიმართა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ამ ლიდერების ეს უკვე მესამე შეხვედრაა. პირველი გაიმართა ივნისში ჩინეთის დედაქალაქ პეკინში, რომლის შემდეგაც სახელმწიფოების მეთაურები მონაწილეობდნენ ცინდაოში მიმდინარე თანამეგობრობის შანხაის ორგანიზაციის სამიტში. პუტინი და სი ძინპინი მეორედ შეხვდნენ ივლისის ბოლოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ იოჰანესბურგში გამართულ ბრიქსის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) სამიტზე. და ახლა — მესამე სამიტი.**



ის, რომ ჩინეთისა და რუსეთის ხელმძღვანელები წელს უკვე მესამედ შეხვდნენ ერთმანეთს, მიუთითებს უპრეცედენტო დონეზე, რომელსაც მიაღწია ორმხრივმა ურთიერთობებმა. მოლაპარაკებების მიმდინარეობისას მხარეები შეთანხმდნენ საკითხების ფართო სპექტრზე. მათ შორის მთავარია ორმხრივი ურთიერთობების განვითარება და რუსული პროექტის — ევრაზიის ეკონომიკური კავშირის — სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანა ჩინეთის ინიციატივასთან „სარტყელი და გზა“. აღსანიშნავია ორივე მხარის მზადყოფნა ამ გეგმებში მონაწილეობის შესახებ. **ევრაზიული ეკონომიკური კავშირის პროექტი პერსპექტივაში დიდი ევრაზიული პარტნიორობის ღერძად იქცევა, რომელიც გააერთიანებს თანამეგობრობის შანხაის ორგანიზაციის სამ წამყვან სახელმწიფოს — რუსეთს, ჩინეთსა და ინდოეთს; ხოლო „სარტყელი და გზა“, თავის მხრივ, გაივლის თანამეგობრობის შანხაის ორგანიზაციის წევრების ტერიტორიაზე,** და ასე გამოკვეთს ორმხრივ ინტერესებს რუსეთ-ჩინეთისა. ის ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად გადაიქცევა ღერძად, რომლის გარშემოც განლაგდება დიდი ევრაზიის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინფრასტრუქტურა.

არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ ამ საკითხის სამხედრო ასპექტსაც. ევრაზიული ეკონომიკური კავშირი მჭიდროდ არის დაკავშირებული კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ შეთანხმებას ორგანიზაციასთან („ტაშკენტის შეთანხმება“), რომლის მონაწილეთა უმრავლესობა თანამეგობრობის შანხაის ორგანიზაციის წევრიც არის. ამას გარდა, ჩინეთის აღმოსავლეთით, კერძოდ, კორეის ნახევარკუნძულზე, ხოლო რუსეთის დასავლეთით და სამხრეთით, ბელარუსსა და ამიერკავკასიაში მიემართება ორივე ორგანიზაციის კავშირები, რომლებიც ქმნის, თუ ასე შეიძლება ითქვას, „სტაბილურობის სარტყელს“, რომელზეც უკვე დაიმსხვრა რეგიონის დესტაბილიზაციის ბევრი მცდელობა.

სიმბოლურ და არცთუ შემთხვევით დამთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ვლადივოსტოკის ფორუმის პარალელურად პოსტსაბჭოთა ეპოქაში ყველაზე მასშტაბური სამხედრო სწავლების — „აღმოსავლეთი-2018“-ის დაწყება, ამ სწავლებაში 300 ათასზე მეტი სამხედრო მონაწილეობს, მათ შორის, რუსეთის, ჩინეთისა და მონღოლეთის სამხედრო მოსამსახურეები.

დემონსტრირებამ რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაახლოებისა, რომელზეც ჯერ კიდევ 2 წლის წინათ საუბარიც არ იყო, ახლა კი რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი სამხედრო შტაბები იქმნება, **ვლადიმერ პუტინსა** და **სი ძინპინს** საშუალება მისცა, განეცხადებინათ ორი ქვეყნის ერთობლივ პასუხისმგებლობაზე მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვის საქმეში. რუსეთისა და ჩინეთის ეკონომიკური დიალოგი გაგრძელდა აღმოსავლეთის ეკონომიკური ფორუმის დასრულების შემდეგაც. 17 სექტემბერს მონღოლეთის დედაქალაქ ულანბატორში დაიწყო და 21 სექტემბრამდე გასტანს მნიშვნელოვანი ფორუმი, რომელშიც მონაწილეობენ რუსეთი, ჩინეთი და მონღოლეთი. თემა: „ჩინეთ-მონღოლეთ-რუსეთის ეკონომიკური დერეფანი: ღიაობა, ინოვაციები, ერთობლივი განვითარება“.

ამ ფორუმს მონღოლეთის დედაქალაქი მეორედ მასპინძლობს, პირველი 2015 წელს გაიმართა, 2016 და 2017 წლებში კი ამ სამი ქვეყნის მასპინძელი იყო ჩინეთის ქალაქი ხუხ ხოტო და რუსეთის — ულან-უდე. ფორუმის ფარგლებში მოეწყობა მეწარმეთა მრგვალი მაგიდა, რომელზეც ბიზნესმენები იმსჯელებენ თანამშრომლობის გზებსა და ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე. რუსეთ-ჩინეთის ურთიერთქმედების ინტენსიურობა მნიშვნელოვანია ნიუ-იორკში გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის გახსნის წინ, რომელზეც ამერიკელების მხრიდან მოსალოდნელია სირიასა და უკრაინაში ვითარების შესახებ პროვოკაციული საკითხების წინა პლანზე წამოწევა. საიდუმლო არავისთვის არის, რომ პოლიტიკური დისკუსიის მონაწილე „აგრესიულ-მორჩილი“ უმრავლესობა აშშ-ის გავლენის ქვეშაა მოქცეული და, ფინანსური ნაკადების სანაცვლოდ, კენჭისყრისას მხარს უჭერდა ვაშინგტონის პოლიტიკას.

მაგრამ ვითარება აქაც იცვლება, **სექტემბრის დასაწყისში პეკინში გამართულ ჩინეთისა და აფრიკის ფორუმებზე გამოცხადდა ჩინეთის მხრიდან „შავი კონტინენტის“ ქვეყნების დახმარების პროგრამა. ეს ქვეყნები კი გაეროში ქმნიან გავლენიან ჯგუფს, რომელსაც შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას.**

**მოვლენების ინტენსივობა იზრდება მათი ურთიერთწინააღმდეგობის პროპორციულად, თუმცა დღეს უკვე ნათელია — ამ რთულ ვითარებაში სტაბილიზაციის ფაქტორი არის რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა და ამ ორი ქვეყნის პარტნიორობა, რომელიც ნელ-ნელა მტკიცდება. და ეს ღერძი თანდათან იზიდავს სხვა სახელმწიფოებს, რაც მთავარია, ხალხებს.**

**დღეს უკვე ნათელია — ამ რთულ ვითარებაში სტაბილიზაციის ფაქტორი არის რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობა და ამ ორი ქვეყნის პარტნიორობა, რომელიც ნელ-ნელა მტკიცდება. და ეს ღერძი თანდათან იზიდავს სხვა სახელმწიფოებს, რაც მთავარია, ხალხებს**

# ამერიკელთა ორპირობას საზღვარი არ აქვს: თუ ჩვენთვის სასარგებლოა, ყველაფერი შეიძლება

## ამერიკული ბიზნესი აქტიურად დებს ინვესტიციებს რუსეთის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონებში



**„ამერიკული ბიზნესი აქტიურად დებს ინვესტიციებს რუსეთის შორეული აღმოსავლეთის სხვადასხვა სექტორში, რომელთა მიმართაც სანქციები დაწესებული არ არის“, — განაცხადა აშშ-ის გენერალურმა კონსულმა ვლადივოსტოკში მაიკლ კიისმა.**

„არსებობს უამრავი შესაძლებლობა, რომლებიც არის სანქციების მოქმედების გარეთ. აშშ-ც არის აქ — შორეულ აღმოსავლეთში, და აქ არის ინვესტიციების ჩადების უამრავი შესაძლებლობა“, — განაცხადა კიისმა „აღმოსავლეთის ეკონომიკური ფორუმი-2008“-ის ფარგლებში გამართულ სესიაზე „რუსეთი-დასავლეთი“.

„ისინი (ამერიკელი ბიზნესმენები) აქ, კარგა ხანია, არიან. დიახ, ჩვენ გვაქვს სანქციით დაწესებული შეზღუდვები სხვადასხვა სექტორთან, მაგრამ არის სხვა სფეროები, რომლებსაც ეს შეზღუდვები არ ეხება“, — აღნიშნა ამერიკელმა დიპლომატმა.

# გაზსადენი «კორეული ნაკადი»

**ვლადივოსტოკში გამართულ აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე ოფიციალურმა მოსკოვმა და სეულმა განაახლეს მსჯელობა რუსეთიდან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გავლით სამხრეთ კორეაში გაზსადენის გაყვანის თაობაზე. „გაზპრომის“ მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე მედვედევის, განცხადებით, რუსული ბუნებრივი აირის ჰოლდინგი და სამხრეთკორეული კორპორაცია Cogas-ი ემზადებიან ინვესტიციების დასაბუთების ეტაპისთვის. ამისთვის ამჟამად „იწერება“ აუცილებელი ტექნიკური, ეკონომიკური და კომერციული ამოცანები.**



კორეის რესპუბლიკა ბუნებრივი აირის პერსპექტიული ბაზარია, ქვეყანა აპირებს, უარი თქვას ქვანახშირსა და ატომურ ენერგეტიკაზე, ამიტომ იქ ბუნებრივი აირის მოხმარება მნიშვნელოვნად მოიმატებს. დღეს კორეის რესპუბლიკა თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტიორ ქვეყნებს შორის მეორე ადგილზეა, იაპონიის შემდეგ. ზემოაღნიშნული პროექტის ინიციატორია სამხრეთი კორეა. სწორედ ის დააფინანსებს ინფრასტრუქტურული ინვესტიციების აზიური ბანკის ხელშეწყობით პროექტს.

კორეის საგაზსადენო დერეფანი კორეის ნახევარკუნძულზე სტრატეგიულად მშფოთვარე გეოპოლიტიკური კვანძისთვის, სხვა დერეფნებთან (სარკინიგზო და ენერგეტიკულ) ერთად, უმნიშვნელოვანესი იქნება ყველა სტრატეგიული მოთამაშისთვის რეგიონში.

გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არც „საომარი გაბედულებით“ გამორჩეულ, ღიმილგადაჭიმულ, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს, არც ჩვენს ისტორიაში „საუკეთესო“ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს უფლება არ აქვთ, იყარონ კენჭი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის განსამტკიცებლად“.**

# არარაობები ხალხის დამოძღვრის პრეტენზიით

**ამ ინტერვიუს თემატიკაზე მედიაკავშირ „ობიექტივის“ მთავარ რედაქტორ ბონდო მძინარაშვილთან არ შევთანხმებულვართ: რაც იმ მომენტში გაგვახსენდებოდა, იმ საკითხებით შემოვიფარგლებოდით, დავთქვით.**

**— აქეთ რომ მოვდიოდი, ქუჩის ერთ მხარეს შენობების ფასადები დაუშნოებული იყო პენსიაზე გასული ფოსტალიონის მოწყენილულვაშიანი კაცის პორტრეტებით, მეორე მხარეს მიწებებულ ფოტოებზე სხვა კაცი უაზროდ იღიმებოდა. მათგან ერთი ბატონი გრიგოლ ვაშაძე იყო, მეორე — დავით ბაქრაძე, საქართველოს პრეზიდენტობაზე პრეტენზიის მქონე კანდიდატები.**

**საქართველოს პოლიტიკურ ნიადაგში ნაცების ჩათესლილი თალგამები.**

**ეს ორი და კიდევ 43 პრეზიდენტობის კანდიდატობის მსურველი კანდიდატი.**

**ძალიან ბევრი მესია ხომ არ მოევლინა საქართველოს, ბატონო ბონდო?**

— საქართველო არ უჩივის მესიების ნაკლებობას. სამწუხაროდ, პრეზიდენტის არჩევნების წლევანდელი კამპანია გამორჩეულია იმით, რომ ძალიან ბევრმა საინიციატივო ჯგუფმა წარმოადგინა ადამიანები, რომელთა შესახებაც არავინ არაფერი იცის, თუმცა არიან ისეთებიც, ვისზეც ყველამ ყველაფერი ვიცით; მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი რომ არ ჰქონდეთ, არ უნდა გასჩენოდათ პრეზიდენტობის სურვილი. **არც „საომარი გაბედულებით“ გამორჩეულ, ღიმილგადაჭიმულ, პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს, არც ჩვენს ისტორიაში „საუკეთესო“ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს უფლება არ აქვთ, იყარონ კენჭი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის განსამტკიცებლად.**

სიცრუისა და სიყალბის ეს აგიტატორები ამჯერადაც ცდილობენ, მოატყუონ ამომრჩევლები, ჰპირდებიან ისეთი პრობლემების მოგვარებას, რომლებიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების კომპეტენციაა და არანაირად არ შედის პრეზიდენტის უფლებამოსილებაში.

**— ერთი ცინიკური რჩევისა არ იყოს, პლასტიკური ოპერაციისთვის ფულს ნუ დახარჯავ, კუდი გამოიბი, იაფი დაგიჯდებაო, ამათზეა ზედგამოჭრილი.**

— ძალიან მახინჯმა ქალბატონმა მაინც გაიკეთა ოპერაცია და გალამაზდა, მაგრამ შვილები მისი ბუნებრივი ნაკლის შესაფერისი გაუჩნდა. მათ კუდის გამობმაც არ დასჭირდებათ, შიგნიდან ყარან (ბოდიში ამ გამოთქმისთვის) თავიანთი წარსულით, იმ უბედურებით, რომელიც ამ ქვეყანას თავიანთი მმართველობის 9 წლის განმავლობაში მიაყენეს, სისხლში აბანავეს. **მათი მიზანი იმ ცხრაწლიანი რეჟიმის დაბრუნებაა, და, სხვა ჩანაფიქრთან ერთად, იმ სახელმწიფო დამნაშავეების შეწყალება, რომლებიც დღეს სასჯელს იხდიან.** არადა, პასუხისგებაში უნდა მიეცენ იდეოლოგებიც, რომლებიც ამ პროცესს ხელს უწყობდნენ და წარმართავდნენ, მათ შორის არიან **ბაქრაძეც, ვაშაძეც, ბოკერიაც** და კიდევ სხვებიც, რომლებიც ცდილობდნენ, ადამიანებში ჩაეკლათ ყველაფერი ადამიანური, რადგან თვითონ იყვნენ დაცლილი ადამიანური თვისებებისგან — ამპუტირებული სულიერების ეგზემპლარები, ნაცსექტის წარმომადგენლები.

**— ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს მათ შორის განიხილავთ?**

— არა. მაგრამ რასაც იგი აცხადებს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, მიუღებელია ელექტორატისთვის. ისეთი ვითარება შეიქმნა, როცა იძულებული ვართ, ავირჩიოთ ცუდსა და უარესს შორის. ჩვენ გვჭირდება პრეზიდენტი, რომელიც გამორჩეული იქნება სიბრძნით, სიმამაცით, წესიერებით და სამართლიანობით. სამწუხაროდ, კანდიდატებს შორის არავინაა, ვინც ამ ოთხი თვისებით გამოირჩევა, თუმცა ქალბატონი სალომე ანგელოზია მათთან შედარებით, ვინც უკვე ვახსენე. მაგრამ, თუ იგი ამბობს, რომ დამოუკიდებელი კანდიდატია, ნამდვილად უნდა იყოს დამოუკიდებელი, თუ „ქართული ოცნების“ კანდიდატია, ესეც უნდა გვითხრას. **შეურაცხმყოფელია საქართველოს სახელმწიფოებრიობისთვის, როცა მმართველი ძალის წარმომადგენლები გვიმტკიცებენ, რომ პრეზიდენტობაზე არ წარადგინეს თავიანთი კანდიდატი, რადგან ეს თანამდებობა არაფერს ნიშნავსო.** თუ ასეა, მაშინ კონსტიტუციურად გააუქმონ. მაგრამ, თუ მაინც არის მნიშვნელოვანი, მაშინ დაასახელონ თავიანთი კანდიდატი და პასუხისმგებლობაც დაიკისრონ. არა მხოლოდ კონსტიტუციურ ცვლილებებზე, რომლებიც უკვე განხორციელდა, არამედ ყველა იმ პროცესზე, რომლებიც 2020 წლამდე განვითარდება. **იმის მტკიცება, რომ ზურაბიშვილი დამოუკიდებელი კანდიდატია, არის სიყალბე. არ ეკადრება ეს სერიოზულ ხელისუფლებას.**

**— პრეზიდენტობის კანდიდატების ერთი ნაწილი პოლიტიკურმა პარტიებმა წარადგინეს. ამ პარტიათა შორის თუ გეგულებათ ისეთი, რომელიც სოციალური სამართლიანობის იდეას ერთგულებს?**



ბონდო მძინარაშვილი

**«არ ვიცი, ვის ავადმყოფ ტვინში დაიბადა საწარმოო მიზნით კანაფის მოყვანის იდეა საქართველოში, მაგრამ, ვისიც შემოგდებული გინდა იყოს, ერის ამოძირკვისკენ არის მიმართული. ეს საკანონმდებლო ინიციატივა სასწრაფოდ უნდა გაიტანონ პარლამენტიდან»**

— არა, არ მეგულება. პოლიტიკური პარტიებიდან, რომლებიც ამ არჩევნებში მონაწილეობენ, არც ერთი არ იმსახურებს არა მხოლოდ ჩემ, არამედ ძალიან ბევრი ადამიანის ნდობას. ისინი (პარტიები) ქვეყანასა და ხალხზე ორიენტირებულები არ არიან. მათთვის მთავარია, გადალახონ საარჩევნო ბარიერი, მოიპოვონ სახელმწიფო დაფინანსება, მუდმივად იყელყელაონ და არაფერი აკეთონ. თუ ადამიანების პოლიტიკურ გაერთიანებას არ აქვს ეროვნული და სახელმწიფოებრივი შეგნება, წარმოუდგენელია, ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე გააკეთოს.

**— გამოდის, რომ ჩვენ ამ არჩევნებს ტყუილად ვატარებთ.**

— დიახ, ტყუილად ვატარებთ. პრეზიდენტს კი ავირჩევთ, მაგრამ აღმოვჩნდებით იმავე მდგომარეობაში, როგორშიც გასული ხუთი წლის განმავლობაში ვიყავით, როცა პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** და მმართველმა გუნდმა, ჯერ კოალიცია „ქართული ოცნების“ სახით, შემდგომ პარტია „ქართული ოცნების“ სახით, ამ ინსტიტუტის სრული დისკრედიტაცია მოახდინა, ხოლო ხელისუფლების სამივე შტოს წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლანძღვა-გინებაში და, საბოლოო ჯამში, ყველა დისკრედიტებული დარჩა.

სააკაშვილმა სისხლში ამოსვარა პრეზიდენტის სავარძელი, მარგველაშვილმა კი... თავს უფლებას არ მივცემ, ვთქვა ის სიტყვა, რომლითაც წაბილწა ეს სავარძელი.

**— მაშასადამე, გაუქმება სჯობდა?**

— მეგონა, რომ გააუქმებდნენ ინსტიტუტს, რომლისადმი არავითარი ნდობა არ აქვს არც პოლიტიკურ სპექტრს, არც ხალხს.

**— თქვენ არაერთ სატელევიზიო პოლიტიკურ შოუში მიგიღიათ მონაწილეობა. ჩვენ, ტელემაყურებლები, ეკრანზე ვხედავთ, რაც ხდება. ეს საშინელებაა, შიგნიდან როგორ ჩანს?**

— ის რაც პოლიტშოუებში ხდება, მონაწილეთა მიერ საკუთარი კომპლექსების წინა პლანზე წამოწევა უფროა, ვიდრე პრობლემაზე საუბარი და კამათი. საქართველოში საუბრისა და კამათის კულტურა რომ არ არის, ამას განაპირობებს შემდეგი: პირველი ის, რომ არ გვიყვარს, სიღრმეებში ჩავწვდეთ პრობლემას; და, მეორე — საკუთარი თავი ყოველთვის მართალი გვგონია. გამოვრიცხავთ, რომ ოპონენტის მსჯელობაში შეიძლება იყოს მეტი რაციონალური მარცვალი, ვიდრე ჩვენს ახირებაში. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს არგუმენტებით კი არ ებრძვიან, არამედ ცდილობენ, უყვირონ, უყეფონ, შეურაცხყოფა მიაყენონ ერთმანეთს და... შეურაცხყოფილი რჩება მაყურებელი.

**— და მაყურებელსაც ეკარგება ინტერესი, გადაცემების რეიტინგი კი კატასტროფულად ეცემა.**

— ასეა, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: ისინი, ეს სიცარიელეები, რომლებიც ხალხის დამოძღვრის პრეტენზიით გამოჩნდებიან ხოლმე ეკრანზე, ყველაზე მეტად საკუთარ თავს შეურაცხოფენ. სასაცილონი ხდებიან. დასაცინი.

**— ის ვითარება, რომელიც დღეს ე.წ. ნარკოპოლიტიკის რეფორმირების მიმდინარე პროცესში წარმოიქმნა, თქვენი აზრით, ადამიანის უფლებების დასაცავად გადადგმული პროგრესული ნაბიჯია თუ მორიგი „ფერადი რევოლუცია“, რომელიც „გირჩმა“ წამოიწყო?**

— „გირჩს“ ძალიან დიდ მნიშვნელობას ნუ მივანიჭებთ. იგი აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მოწინავე დანაყოფი, რომელმაც მმართველი უმრავლესობის დავალება შეასრულა. გასული კვირის სამშაბათამდე ჩვენ არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა იმის თაობაზე, რომ მთავრობაში მზადდებოდა კანონპროექტი კანაბისის (მარიხუანის) კულტივაციის შესახებ. ფაქტის წინაშე დაგვაყენეს მინისტრებმა. ნაშუადღევიდან წამოვიდა დიდი ტალღა, ცუნამი და აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდებოდა, რაც აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენი საზოგადოებისთვის, რადგან არც დეკრიმინალიზაციაა, არც ლიბერალიზაცია. **საქართველო გადაიქცა აზარტული თამაშების, კაზინოების ბიზნესის ქვეყნად; კავკასიის ბორდელად არის აღიარებული ჩვენს სამეზობლოში, სექსტურიზმისთვის ჩამოდიან თბილისში.**

**ნარკომოვაჭრე, ნარკობარიგის პერსპექტივა უზრუნველყოფილი გვაქვს.**

კატასტროფაა ეს ჩვენი ქვეყნის იმიჯისთვის.

საქართველოში არასოდეს მოჰყავდათ კანაფი სამრეწველო მიზნებისთვის. ხოლო კანაფის თესლის გამოყენებამ კერძებში, რაც ერთ დროს სვანეთში იყო მიღებული, ადამიანების ჯანმრთელობის ისეთი შერყევა გამოიწვია, რომ 50-იან წლებში ეს კულტურა ხელისუფლებამ სრულად ამოძირკვა.

**არ ვიცი, ვის ავადმყოფ ტვინში დაიბადა საწარმოო მიზნით კანაფის წარმოება საქართველოში, მაგრამ, ვისიც შემოგდებული გინდა იყოს, ერის ამოძირკვისკენ არის მიმართული. ეს საკანონმდებლო ინიციატივა სასწრაფოდ უნდა გაიტანონ პარლამენტიდან.**

სააკაშვილი, ბოკერია, თავისუფლების ინსტიტუტი და მათი რეჟიმი ცდილობდა, ადამიანებში ჩაეკლა ქართული სული, ახლა ესენი ცდილობენ მარიხუანის ბოლით გააბრუონ და მოწამლონ ჩვენი ახალგაზრდობა. გამოათაყვანონ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«საქართველო გადაიქცა აზარტული თამაშების, კაზინოების ბიზნესის ქვეყნად; კავკასიის ბორდელად არის აღიარებული ჩვენს სამეზობლოში, სექსტურიზმისთვის ჩამოდიან თბილისში»**

**P.S. ინტერვიუ კარგა ხანს გაგრძელდა, ბევრი შეკითხვაც დაისვა, ოღონდ არა რეპორტიორის, არამედ ქუჩაში, „ბაღის კიდეზე“, ჩვენს გარშემო შეკრებილ იქაურ მოსახლეთა და იმ უბანში დასაქმებული ადამიანების მიერ, რომლებიც ყურადღებით უსმენდნენ საჯაროდ წარმართულ ამ დიალოგს.**

**ქუჩაში და საჯაროდ იმიტომ, რომ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო რიგგარეშე უქმე დღის მიზეზით რედაქციის კარი დაკეტილი იყო და ბაღის სკამზე უფრო მოსახერხებელი ადგილი სხვაგან ვერ ვიპოვეთ.**

**მოსახლეობას სურს აზრის გამოთქმა და უსმინეთ, ბატონებო, ვინც მთავრობაში მისი ხელდასმულები ბრძანდებით.**

**ა.ს.**

**ტელესივრცეში გაჩნდნენ ექსპერტები, რომლებიც მოუწოდებენ საზოგადოებას, პრაგმატულად აღიქვას მარიხუანის მოყვანა-გაყიდვის საკითხი; ხელისუფლებისა და „გირჩის“ წარმომადგენლები ერთმანეთს ასწრებენ მარიხუანის ქებაში. 30 წლის წინათ დამოუკიდებელი არსებობისთვის საჭირო რესურსებსაც ერთობ პრიმიტიულად ვეძებდით. ნათქვამი — „ჩვენ, თავის სარჩენად „ბორჯომი და ჩაიც გვეყოფა“, ისეთივე უსაფუძვლო გამოდგა, როგორც ბევრი სხვა. ვგონებ, ახლაც იმ წარსულის გამოძახილი ჩაგვესმის — მარიხუანა ქვეყანას გაამდიდრებს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გამოფხიზლდით! ვაი, ჩვენს თავს!



ომარ მარგველაშვილი

**მკითხველს ბოდიშს ვუხდი სტატიის ამ სიტყვებით დაწყებისთვის, მაგრამ ვიმედოვნებ, გაიზიარებს ჩემ და ჩემისთანების გულისწყრომას ქვემოთ მოყვანილი ორი საკითხის გამო. პირველი მარიხუანის მოყვანა-გაყიდვაა, მეორე კი აშშ-ის სენატორის — ლუგარის სახელობის ყბადაღებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.**



ლუგარის ლაბორატორია

**ვის სჭირდება ნარკოტიკით გამდიდრებული ქვეყანა?! რა შეიძლება დავარქვათ ნარკოტიკის მწარმოებელ-გამსაღებელ ქვეყანას — იქნებ «ბარიგლენდი»?! რა რეპუტაცია ექნება მას საერთაშორისო არენაზე? ეს და სხვა კითხვები უკვე ისმის, მაგრამ ხელისუფალთა მხრიდან რეაქცია ნულია**

**პირველის თაობაზე ლაპარაკი, არცთუ დიდი ხანია, მიმდინარეობს; მეორე უფრო ხანდაზმულია და საზოგადოებაც მეტ-ნაკლებად არის ინფორმირებული, თუნდაც იმიტომ, რომ გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ არაერთი წერილი მიუძღვნა ქვეყნისთვის ამ ერთობ სახიფათო პრობლემას.**

**უწინ იყო ხელისუფალთა ახსნა-განმარტებები, თავის მართლების მსგავსი. იყო უცხოეთის გამოხმაურებაც, განსაკუთრებით, ამერიკელი და ბულგარელი ჟურნალისტების მხრიდან.**

**შედეგი? — პრიმიტიული, ანუ „მობრძანდით და თვითონ ნახეთ“ დონეზე. ამით „დაკმაყოფილდა“ კიდეც მეზობელი რუსეთის მედიის წარმომადგენლის სურვილი, დაეთვალიერებინა თბილისის აეროპორტის სიახლოვეს აშენებული ე.წ. უწყინარი კვლევითი ცენტრი.**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ოცნების“ გამარჯვებას გარკვეული ლიბერალური ნაბიჯებიც მოჰყვა, მათ შორის, რუსი ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაც.

ლუგარის ლაბორატორიის ორი სართულის დათვალიერებამ ფრიად ზედაპირულად თუ გაარკვია ზოგიერთი ჟურნალისტი, რადგან მინით გამიჯნული დერეფნიდან ლაბორატორიის ოთახების ხილვა არაფრის მომცემი იყო. მოითხოვეს ლაბორატორიის დათვალიერება, დაათვალიერებინეს და „კრება დარჩა მხიარული“.

საქმეში ჩახედული ჟურნალისტები კი განგაშს ტეხენ. მაგალითად დავასახელებ ამერიკელ **ჯეფრი სილვერმანს**, რომელიც ისეთ ამბებს ყვება, მკითხველ-მსმენელს რომ შეაღონებს.

სილვერმანის ინფორმაციით, აშშ-მა პოსტსაბჭოთა სივრცეში 20-ზე მეტი ასეთი ლაბორატორია გახსნა. ეს ლაბორატორიები პენტაგონს ეკუთვნის და დაფინანსებაც იქიდან მოდის. ამასთანავე, ემსახურება აშშ-ის ინტერესებს და არა იმ ქვეყნებისას, რომლებშიც ფუნქციონირებს.

თბილისის ლაბორატორია, რომელიც პენტაგონს 350 მილიონი დოლარი დაუჯდა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აშენდა და ამუშავდა. გახსნის ცერემონიალს აშშ-ის სენატორი ლუგარი ესწრებოდა. სწორედ მისი სახელობისაა საქართველოს მოსახლეობისთვის ამერიკელების მიერ მირთმეული ეს „საჩუქარი“. ასეთი ბიოლოგიური კვლევის ცენტრები აშშ-ის სამხედრო უწყების ინტერესებს ემსახურება და მის მიერ კონტროლდება.

თბილისის ლაბორატორიის ამოქმედების შემდეგ იქვე მცხოვრები მოსახლეობა ჩივის ლაბორატორიაში მიმდინარე კვლევების ნეგატიური ზემოქმედების გამო. ალბათ, ეს იყო „ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან სწრაფი რეაგირებისა და ჟურნალისტების იქ შეშვების მთავარი მიზეზი.

მოსახლეობის ჩივილი კი არ შეწყვეტილა.

ცნობილია, რომ აშშ-მა ხელი მოაწერა ბაქტეოროლოგიური იარაღის აკრძალვის კონვენციას, ამიტომაა, რომ თავს იზღვევს და ასეთი იარაღის დასამზადებლად აუცილებელ კვლევებს ატარებს საკუთარი ტერიტორიიდან ფრიად დაშორებულ ქვეყნებში. კვლევის შედეგები პრაქტიკული ცდებით უნდა შემოწმდეს. ამიტომ იყო, რომ საქართველოში დროდადრო ვრცელდებოდა ისეთი ეგზოტიკური დაავადებები, როგორიც იყო „ღორის გრიპი“, „ზიკას“ ვირუსი და სხვა ამგვარი.

მაგრამ ლუგარის ცენტრის უდიდესი ფიასკო იყო 2016 წლის აპრილში ამ ლაბორატორიის 30 თანამშრომლის ერთსა და იმავე დღეს გარდაცვალება, მაისში კი — 13 ადამიანის დაღუპვა. ამ ტრაგედიამ გაჟონა, მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ამერიკელებმაც, ხელი რომ დაებანათ, აიკრეს გუდა-ნაბადი, აკრიფეს ყველაფერი, რაც სჭირდებოდათ, და წავიდნენ; ცენტრი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს გადასცეს. ახლა აცხადებენ: თუ რამ შეკითხვა გაქვთ, საქართველოს მთავრობას მიაკითხეთო.

ლუგარის ლაბორატორიის კვლევების თემაზე სულ ახლახან რუსეთის ტელესივრცეში ილაპარაკა მოსკოვში მცხოვრებმა საქართველოს უშიშროების ყოფილმა მინისტრმა **იგორ გიორგაძემ**.

მისმა სენსაციურმა განცხადებამ უმალ მიიპყრო რამდენიმე ტელეარხის, მათ შორის — HTB-ს, OPT-სა და პრყყმჭ-ს პოლიტიკური თოქშოუების ყურადღება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ნოტით მიმართა აშშ-ის საელჩოს ახსნა-განმარტებისთვის.

გიორგაძე რამდენიმე დღის განმავლობაში დომინირებდა საინფორმაციო გადაცემებშიც. კრიტიკის ობიექტი — საქართველო კი ისე არის გატრუნული, თითქოს არაფერი ესმის. და ეს მაშინ, როცა რუსეთის ტელესივრცეში ოდნავი აუგი საქართველოს მიმართ უმალ აქაური პოლიტიკოს-პოლიტოლოგებისა და ჟურნალისტების მწვავე განხილვის საგანი ხდება.

**გავა დრო და სხვა პრობლემები წამოიწევს წინა პლანზე, ლუგარის ლაბორატორიის კვლევების თემა მინელდება ახალ დაავადებებამდე და სიკვდილიანობამდე, ნიადაგის, შინაური ცხოველების მასობრივ განადგურებამდე, მცენარეების გავერანებამდე, საქართველოში მასობრივად რომ ხმება და ნადგურდება.**

ლუგარის ლაბორატორიის მომაკვდინებელ კვლევებს არაფრით ჩამოუვარდება საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით წამოწყებული ახალი პროექტი მარიხუანის მოყვანა-გასაღების თაობაზე. ეს ინიციატივა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მმართველი პარტიის შეკრებიდან, რომელსაც პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა.

**კრებამ დადებითად შეაფასა შს მინისტრ გახარიას კანონპროექტი და მწვანე შუქი აუნთო პარლამენტისკენ — განსახილველად, ანუ დასაკანონებლად. მარიხუანასთან დაკავშირებულმა ასეთმა სისწრაფემ — ცივი წყლის თავზე დასხმის ეფექტი გამოიწვია საზოგადოებაში.**

მარიხუანის დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზაციასთან დაკავშირებული პერიპეტიები „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი.

გავიხსენოთ პარტია „გირჩის“ დამოკიდებულება ნარკოტიკების, მათ შორის, მარიხუანის მოხმარების მიმართ და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. სატელევიზიო ეთერში გამოსულმა კობა დავითაშვილმა ბრძანა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოზე ზეწოლა ხელისუფლებამ განახორციელა, მაგრამ ხელისუფლება ამას ვერ გაბედავდა, თუ არა მასზე განხორციელებული ზემოქმედება — თუ ვისი მხრიდან, მკითხველისთვის ცნობილია.

**საქართველოში 200-ზე მეტი პარტიაა და მათ შორის — „გირჩი“, რომლის ინიციატივებზე საკონსტიტუციო სასამართლოს დაუყოვნებელი რეაგირება გამორიცხავს შემთხვევითობას და წინა პლანზე წამოსწევს მიზანმიმართულ გეგმას, რომელიც წლების განმავლობაში მზადდებოდა მაღალ ეშელონებში. აღმოჩნდა, რომ მარიხუანა კარგია, მისი მოხმარება არ ვნებს ადამიანს, რომ ის გამოიყენება მედიცინასა და პარფიუმერიაში, ხოლო მისი საექსპორტოდ გატანა მილიარდობით შემოსავალს მოუტანს ქვეყანას.**

ტელესივრცეში გაჩნდნენ ექსპერტები, რომლებიც მოუწოდებენ საზოგადოებას, პრაგმატულად აღიქვას მარიხუანის მოყვანა-გაყიდვის საკითხი; ხელისუფლებისა და „გირჩის“ წარმომადგენლები ერთმანეთს ასწრებენ მარიხუანის ქებაში.

30 წლის წინათ დამოუკიდებელი არსებობისთვის საჭირო რესურსებსაც ერთობ პრიმიტიულად ვეძებდით. ნათქვამი — „ჩვენ, თავის სარჩენად „ბორჯომი და ჩაიც გვეყოფა“, ისეთივე უსაფუძვლო გამოდგა, როგორც ბევრი სხვა. ვგონებ, ახლაც იმ წარსულის გამოძახილი ჩაგვესმის — მარიხუანა ქვეყანას გაამდიდრებს.

**ვის სჭირდება ნარკოტიკით გამდიდრებული ქვეყანა?!**

**რა შეიძლება დავარქვათ ნარკოტიკის მწარმოებელ-გამსაღებელ ქვეყანას — იქნებ „ბარიგლენდი“?!**

**რა რეპუტაცია ექნება მას საერთაშორისო არენაზე?**

**ეს და სხვა კითხვები უკვე ისმის, მაგრამ ხელისუფალთა მხრიდან რეაქცია ნულია.** ტელეკომპანიები, მედია საერთოდ „უხილავმა“ ზეძალამ ისე დაჭედა, რომ ეთერში მხოლოდ დადებითი ისმის, და თითო-ოროლა, ისიც კანტაკუნტად — უარყოფითი.

და ეს ხდება საქართველოში — ტრადიციული სოფლის მეურნეობის ქვეყანაში, რომელიც მის მიერ წარმოებული ჩაით ვეება საბჭოთა კავშირის მოთხოვნას 97%-ით აკმაყოფილებდა. აღარაფერს ვამბობ ციტრუსებზე, ხილზე, ბოსტნეულზე, ალკოჰოლურ სასმელებზე და სხვა პროდუქციაზე.

ერთ-ერთ გაზეთში ამოვიკითხე ორგანიზაცია „ჰერბიას“ პრეზიდენტ ზურაბ ჯანელიძის განცხადება მწვანილის მოყვანა-გატანის თაობაზე. ეს ორგანიზაცია მწვანილით ბულგარეთს ამარაგებს, სამომავლოდ ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყნებშიც აპირებს მის გატანას. ჩამონათვალში თვალი ვერ მოვკარი რუსეთს, დსთ ქვეყნებს, რომლებშიც პროდუქციის გატანა გაცილებით იოლი და მომგებიანია, ბაზარიც ისეთია, საქართველო რომ ვერასოდეს ამოავსებს. რატომ არ ვფიქრობთ ამაზე?

რატომ არაფერს ვაკეთებთ ჩაის გავერანებული პლანტაციების რეაბილიტაციისა და „მწვანე ოქროს“ წარმოების მხრივ? რატომ არ ვფიქრობთ ხორბლის და საერთოდ, მარცვლეულის წარმოების გაზრდაზე, ხილის ბაღების გაშენებაზე, ანუ ტრადიციული დარგების აღორძინებაზე?

მარიხუანის მოყვანა-ექსპორტი უდავოდ მოახდენს უკვე დაბოლილი ახალგაზრდების კიდევ უფრო დაბოლებას, გამოთაყვანებას, განადგურებას, რაც უარყოფითად აისახება საქართველოს ისედაც გაუარესებულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. გამორიცხული არ არის, „მარიხუანულმა“ გენოციდმა, ლუგარის ლაბორატორიისა არ იყოს, წერტილი დაუსვას ქართველი ერის არსებობას.

ვაი, ჩვენს თავს! გამოფხიზლდით! ნუ დააგვიანებთ, თორემ შემდეგ მარიხუანით ტვინგადაბრუნებულებს რაღა გამოაფხიზლებს?!

**ომარ მარგველაშვილი**
**საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი**

მოკლედ

## კვლევა: საქართველოს დამატებით 100-ზე მეტი მოსამართლე სჭირდება



**საქართველოში მართლმსაჯულების პროცესი შეუფერხებლად რომ მიმდინარეობდეს, კვლევის თანახმად, სასამართლო სისტემაში დამატებით დაახლოებით 100 მოსამართლეა საჭირო, — განაცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ კვლევის „მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა საქართველოში“ შეფასებისას.**

დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში საქმეების გადატვირთულობის აღმოფხვრის მიზნით მოსამართლეთა რაოდენობა 310-დან 450-მდე უნდა გაიზარდოს.

„ძალიან მნიშვნელოვანია ეს კვლევა საერთო სასამართლოების სისტემისთვის და ამ შედეგების მიხედვით ჩვენ უნდა დავგეგმოთ მომავალი მოქმედებები, როგორ უნდა მოხდეს მოსამართლეთა რიცხვის გაზრდა“, — განაცხადა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ.

**საკითხავი აი ეს არის**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვფიქრობდი მე, რომ ქართველების სიაში შეტანილი არიან ილია ჭავჭავაძე და სხვა ცნობილი მოღვაწეები, ამიტომ სომხები წინდახედულად მოიქცევიან და არ მოისურვებენ ქართველთა ეროვნული გრძნობის შელახვას-მეთქი. მოლოდინი გამიცრუვდა; „სოლოლაკელებმა" სასტიკად დაგვამარცხეს: ოც კანდიდატიდან ქართველი აირჩიეს მხოლოდ შვიდი კაცი, ისეთები, რომელთაც თითქმის არავითარი წონა არ ჰქონდათ ქართველ საზოგადოებრიობაში; მხოლოდ ერთი მოჰყვა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ვასილ როსტომის ძე ყიფიანი, მაგრამ ამანაც ჩხუბი ასტეხა – ათი თეთრი ქვა მეტი ჩამითვალესო, გაშავებული ვარო. გააშავეს ილია ჭავჭავაძე, ვლადიმერ მიქელაძე, გიორგი წერეთელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები".**

# ხელისუფლების მთავარი ოპონენტი, «ნაცმოძრაობა» კი არა, ამომრჩეველია, რომელიც არც ერთ პარტიას არ უჭერს მხარს

**საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იზრდება პოლიტიკური პარტიების აქტიურობა, რათა ამომრჩეველი თავიანთი კანდიდატის უპირატესობაში დაარწმუნონ... მაგრამ ამჯერადაც, როგორც წინა წლებში, მთავარი პრობლემა იგივეა: ადამიანები არჩევნებს სკეპტიკურად უყურებენ — საშუალო სტატისტიკური ქართველი არჩევანს არც ერთ პარტიაზე არ აკეთებს. ამდენად, ხელისუფლების მთავარი ოპონენტი, „ნაცმოძრაობა" კი არა, ამომრჩეველია, რომელიც არც ერთ პარტიას არ უჭერს მხარს, თუმცა იმედი იმისა, რომ ხალხისთვის ამ ორი პარტიის — „ნაცმოძრაობისა" და „ქართული ოცნების" — გარდა სამყაროში არაფერი არსებობს, ხელისუფალთ ისევ აქვთ. სამართლიანი და ობიექტური არჩევნები ჩვენი ქვეყნისთვის უცხო ხილია, რომლის გემოს, კაცმა არ იცის, როდის გავსინჯავთ, თუმცა, სანამ არ ვიგემებთ, ვიქნებით ასე — გაცურებული და პირში ჩალაგამოვლებული.**

## საშუალო სტატისტიკური ქართველი არჩევნებს სკეპტიკურად უყურებს



**გიორგი ლასხიშვილმა** თავის მემუარებში შემოგვინახა საინტერესო ცნობები თბილისში 1897 წელს საქალაქო არჩევნების მიმდინარეობაზე, რომელიც ბევრი რამით წააგავს დღევანდელ არჩევნებს ჩვენს ქვეყანაში. წაიკითხეთ და დასკვნებიც თავად გააკეთეთ, ჩვენო მკითხველო.

**ცნობისთვის: გიორგი ლასხიშვილი (1866-1931) ქართული კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1885 წ.) სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუმთავრებია, დაითხოვეს სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობისთვის. გიორგი ლასხიშვილი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისთვის რამდენჯერმე დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1894) მუშაობდა „ივერიის" რედაქციაში, სადაც „ლალის" ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე, თანამშრომლობდა „ნოვოე ობოზრენიეში", „მოამბეში", „კვალში". 1900-დან იყო „ცნობის ფურცლის" ფაქტობრივი რედაქტორი. 1905 წელს, პარიზში ყოფნისას, იყო გაზეთ „საქართველოს" ერთ-ერთი რედაქტორი.**

„წელს პირველად გავხდი მოწმე ტფილისის საქალაქო არჩევნებისა. ეს ამბავი იმდენად საყურადღებო და საინტერესო იყო, რომ ცოტა დაწვრილებით უნდა მოგიყვეთ, მით უმეტეს, რომ იმ ხანებში ტფილისის ყველა საქალაქო არჩევნები თავის მიმდინარეობით და შედეგებით, ერთმანეთს ძალიან წააგავდა.

უნდა გაგახსენოთ, რომ მაშინ არსებობდა მეფე ალექსანდრე მესამის მიერ შეცვლილი და დამახინჯებული ახალი საქალაქო დებულება, რომელიც 1870 წლის დებულებასთან შედარებით, კიდევ უფრო ავიწროვებდა მოქალაქეთა საარჩევნო უფლებას და კიდევ უფრო ზღუდავდა თვითმმართველობის საქალაქო ასპარეზს. საარჩევნო უფლება მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ მსხვილ სახლის პატრონთ და მსხვილ ვაჭართ.

დადგა თუ არა 1897 წელი, როცა უნდა მომხდარიყო საბჭოს განახლება, „ივერიამ" მაშინვე დაიწყო კამპანია: მხურვალე მონაწილეობით მიჰმართა ქართველ სახლის პატრონთ, ვაჭრებს და ყველა იმათ, ვისაც საარჩევნო უფლება ჰქონდა, — დაუყოვნებლივ შეიტანეთ საქალაქო გადასახადებიო, — ვინაიდან, ვისაც გადასახადები არ ექნებოდა სრულად შეტანილი, ისინი საარჩევნო სიებიდან გამოირიცხებოდნენ. ეს მოწოდება, რასაკვირველია ჰაერში დარჩა, რადგან ქართველ ამომრჩევლებს მცირე რამ ორგანიზაციაც არ ჰქონდათ მოწყობილი, რომელსაც სიებით ხელში უნდა ჩამოევლო ქართველი საარჩევნოუფლებიანი ხალხი და აეძულებია ისინი — გადასახადები დროზე შეეტანათ. აპრილში გამოცხადდა სიები და მართლაც აღმოჩნდა, რომ ბევრი ქართველი გამორიცხული იყო გადასახადების დროზე შეუტანლობის გამო. სულ სიებში იყო 600-ზე მეტი სომეხი, 300 -მდე ქართველი და 100-ზე მეტი რუსი და დანარჩენი ეროვნების წარმომადგენლები. ამგვარად, ძალთა განწყობილება ქართველების სასარგებლოდ არ იყო. მაგრამ სომხობა არ გამოდიოდა გაერთიანებული ფრონტით. აქ იბრძოდა ორი პარტია: უმრავლესობას შეადგენდა ე.წ. „დვორცოვი ნომრების" პარტია (ამომრჩევლები იკრიბებოდნენ სათათბიროდ გოლოვინის პროსპექტზე „დვორცოვი ნომრებში") ანუ „სოლოლაკელები", როგორც ქართველები ვეძახდით. ეს იყო სომხის მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც წამოჭიმული იყო სოლოლაკის სასახლეებში.

მეორე პარტია იყო ე.წ. „სომხის ახალგაზრდების ჯგუფი", რომელიც შედგებოდა სომეხ ინტელიგენციისაგან, სავაჭრო და საბანკო დაწესებულებთა მოსამსახურეებისგან და, საერთოდ, წვრილ ბურჟუაზიისაგან: აი **ამ ახალგაზრდა სომეხთა პარტიამ წინადადება მისცა ქართველებს — შეთანხმებულის სიით გამოვიდეთ სოლოლაკელების წინააღმდეგო. ბრძოლის ტაქტიკა აუცილებლად მოითხოვდა ამ შეთანხმებას, მაგრამ ქართველებმა წინადადება უარყვეს. როცა ამის გამო შევეკითხე ვლადიმერ მიქელაძეს და სხვა ხელმძღვანელთ, საბუთად წინადადების უარყოფისა მოიყვანეს:**

— შეთანხმება არ შეიძლება, რადგან სულერთია, სომხები მოგვატყუებენ, რის მაგალითებიც ყოფილა წარსულში, და გარდა ამისა, ჩვენ შორის ურთიერთობა მეტად გამწვავდა და სჯობს, მთელ სომხობას შევებრძოლოთო.

სამაგიეროდ ქართველი ამომრჩევლები შეუთანხმდნენ რუსებს, რომელთა უმრავლესობას შეადგენდნენ ტფილისის მსხვილი მოხელეები და მოიჯარადეები — წმინდა წყლის „ჭეშმარიტი რუსები", როგორც შემდეგში ეძახდნენ ამ ხულიგან ელემენტებს.

დადგა არჩევნების დღე. **ქართველებს არც ახლა ჰქონდათ ორგანიზაცია, რომელსაც უნდა ეზრუნა, ამომრჩევლები მოეყვანა საარჩევნო კრებაზე. მართლაც, ქართველობიდან მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 39%-მა, მაშინ როდესაც სომხების 50%-ზე მეტი მოვიდა არჩევნებზე.** ცხადი იყო, რომ ამ პირობებში ქართველები უეჭველად დამარცხდებოდნენ. მე მხოლოდ, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიური მომენტის იმედი მქონდა. ვფიქრობდი, რადგან სომხების წინააღმდეგ მთავრობის მიერ სასტიკი ბრძოლაა გამართული და ოფიციალური პრესა მუქარას მუქარაზე უგზავნის სომხებს, ესენი ვერ გაბედავენ უკიდურეს შოვინიზმის გამომჟღავნებას და ქართველ ოც კანდიდატს შეიყვანენ საბჭოში-მეთქი. მით უმეტეს, ვფიქრობდი, რომ ქართველების სიაში შეტანილი არიან **ილია ჭავჭავაძე** და სხვა ცნობილი მოღვაწეები, ამიტომ სომხები წინდახედულად მოიქცევიან და არ მოისურვებენ ქართველთა ეროვნულ გრძნობის შელახვას-მეთქი. **მოლოდინი გამიცრუვდა; „სოლოლაკელებმა" სასტიკად დაგვამარცხეს: ოც კანდიდატიდან ქართველი აირჩიეს მხოლოდ შვიდი კაცი, ისეთები, რომელთაც თითქმის არავითარი წონა არ ჰქონდათ ქართველ საზოგადოებრიობაში; მხოლოდ ერთი მოჰყვა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ვასილ როსტომის ძე ყიფიანი, მაგრამ ამანაც ჩხუბი ასტეხა – ათი თეთრი ქვა მეტი ჩამითვალესო, გაშავებული ვარო. გააშავეს ილია ჭავჭავაძე, ვლადიმერ მიქელაძე, გიორგი წერეთელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები.** დამატებით არჩევნებზე უარი სთქვეს და უარი განაცხადეს იმათაც, ვინც არჩეული იყო. ამრიგად, ახალ საბჭოში მოჰყვა მხოლოდ ერთი ქართველი თავ. **გიორგი ორბელიანი.**

საარჩევნო ბრძოლის ამგვარმა შედეგებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ქართველ საზოგადოებაზე, სომეხ-ქართველთა ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა.

ამ ამბავს მე ორი ფელეტონი მივუძღვენი „ივერიაში". აღვნიშნე ქართველების შეცდომები ბრძოლის ტაქტიკაში, სომხის პლუტოკრატიის შოვინიზმი და იმავე დროს ვცდილობდი, დამემტკიცებინა, რომ არც ქართველ ერს და არც სომხის ერს მთლიანად დანაშაული არ მიუძღვის, რომ არ ღირს ეროვნულ შუღლისა და ბრძოლის გამწვავება".

**რა არის არჩევნები?**

**არჩევნები ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ფორმალური პროცედურაა. ხმის მიცემა კი არის მოქმედება, რომელსაც ასრულებს პიროვნება არჩევნების დროს სხვადასხვა კანდიდატს (პარტიას) შორის არჩევნის გაკეთებისას. მიუხედავად მცირე შეზღუდვებისა, სხვა მეთოდებთან შედარებით, არჩევნები საუკეთესო საშუალებაა მოქალაქეთა აზრის გამოსახატავად.**

**მაგრამ ხელისუფლებას მოქალაქეთა აზრი თუ არ აინტერესებს, მაშინ? — მაშინ ხდება შედეგების გაყალბება და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა!**

**სწორედ ამის იმედი აქვს სალომე ზურაბიშვილს, „ქართული ოცნების" მხარდაჭერის შემდეგ ლამის თავი პრეზიდენტი რომ ჰგონია. მართლაც: თუ „სასწაული" არ მოხდა, მის პრეზიდენტობას წინ ვერაფერი დაუდგება.**

**და ამას არც „აი-რაისა" და არც სხვათა ვითომ კვლევები შეცვლის.**

**მაგრამ იქნებ ერთხელაც მართლა მოხდეს სასწაული და ისეთი პრეზიდენტი და მთავრობა გვეყოლოს, რომ ყარაჩოხელ გიჟუასავით გვითხრას: „რაც გინახავს, ველარ ნახავ!"**

**მაგრამ „ეჰა, ადამ და ევადან ასე იყო" და...**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**არჩევნები საუკეთესო საშუალებაა მოქალაქეთა აზრის გამოსახატავად. მაგრამ ხელისუფლებას მოქალაქეთა აზრი თუ არ აინტერესებს, მაშინ? — მაშინ ხდება შედეგების გაყალბება და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა! მაგრამ იქნებ ერთხელაც მართლა მოხდეს სასწაული და ისეთი პრეზიდენტი და მთავრობა გვეყოლოს, რომ ყარაჩოხელ გიჟუასავით გვითხრას: «რაც გინახავს, ველარ ნახავ!»**

**გრილ აბანოს, რომელიც მტკვრის სიახლოვეს მდებარეობდა, შიოევის აბანოსაც უწოდებდნენ. აბანო იყო ციხის გალავნის შიგნითაც „ხოჯას აბანო“, ეს ის აბანოა, სადაც აღა-მაჰმად-ხანს განკურნება უცდია და შეცბუნებულს მისი დანგრევა უბრძანებია.**

დედაქალაქის ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აბანოთუბანი

**აბანოთუბანი (აბანოების უბანი) თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანია მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. სახელწოდება უკავშირდება ძველთაგანვე ცნობილ ბუნებრივად ცხელ მინერალურ წყლებზე გაშენებულ აბანოებს.**

აბანოების უბანი თბილისის უძველესი ნაწილია. ამ ადგილზე წარმოიშვა, სავარაუდოდ, „საკუთრივ ტფილისის“ პირველი დასახლება. აბანოების უბანში და მის მიმდებარე „სეიდაბადში“ შუასაუკუნეებში უმეტესად სპარსელები სახლობდნენ. უბანი სახელგანთქმული იყო ცხელი წყლის წყაროებით, რომლებმაც აქ მრავალი აბანოს გაჩენა განაპირობა.

ქალაქის დაარსების შესახებ ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ნადირობისას მეფე **ვახტანგ გორგასალმა** მას შემდეგ გადაწყვიტა ამ ადგილას დედაქალაქის გადმოტანა, რაც იხილა, რომ წყალში ჩავარდნილი ნანადირევი ხოხობი მოხარშულიყო. ქალაქის სახელწოდება თბილისიც სიტყვა „თბილი“-დან წარმოდგება და ასევე ამ ფენომენს უკავშირდება.

X საუკუნის არაბი გეოგრაფი **იბნ ჰაუკალი** „გზათა და სამეფოთა წიგნში“ აღნიშნავს: „ქალაქში არის ტიბერიადის აბანოების მსგავსი აბანოები, რომელთა წყალიც უცეცხლოდ დუღს“. ისტორიული ცნობებით XIII საუკუნეში თბილისში მინერალური წყლის 65 აბანო ყოფილა. თბილისის აბანოებზე ცნობებს გვაწვდიან XIII-XIV საუკუნეების ვენეციელი მოგზაური **მარკო პოლო**, XVIII საუკუნის ერთი რუსი ვაჭარი, ასევე **ვახუშტი ბაგრატიონი**.

აბანოების სახელები ხშირად მათი მფლობელების სახელებთან ან მათ თავისებურებასთან იყო დაკავშირებული: XVII-XIX საუკუნეებში თბილისში იყო ერეკლეს, ბებუთას, მელიქის, მეითრის (სუმბათოვის), გოგილოს, ორბელიანთა, თბილელის, მირზოევის, ხოჯას, „გრილი“ (შიოევის), „ჭრელი“ და სხვა აბანოები.

ვახუშტი ქალაქში ექვს აბანოს ითვლიდა. როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებს შეეწირა, რადგან 1800 წლის გეგმაზე მხოლოდ ოთხი აბანოა ამ უბანში აღნიშნული. XIX საუკუნის შუა ხანის თბილისის გეგმაზე კვლავ ექვსი აბანოა დატანილი. საინტერესო ცნობებს ვპოულობთ **მეფე გიორგი მეთორმეტის** ერთ-ერთ სიგელში, სადაც, სხვათა შორის, მეითარისა და ბებუთას აბანოების ერთგვარი ლოკალიზაციაა მოცემული. ბებუთას აბანო მეითარის აბანოს დასავლეთით, თაბორის მხარეს ყოფილა. როგორც XIX საუკუნის გეგმებიდან ირკვევა, ციხის კართან ყველაზე ახლოს თბილისის (სიონის) აბანო იყო განლაგებული. მას გვიან **ერეკლეს აბანოსაც** უწოდებდნენ. მის დასავლეთით, ოდნავ მოშორებით კი მელიქის აბანო მდებარეობდა. ძველ აბანოთაგან, ერეკლეს აბანოს გარდა, აღნიშნულია მეითარის (XVII საუკუნის პირველი ნახევარი), ენალას (XVII საუკუნე), გრილი აბანო (XVII საუკუნე), ბებუთასი (XVII საუკუნე). მეითარის აბანოს სუმბათოვისა ეწოდა. გრილ აბანოს, რომელიც მტკვრის სიახლოვეს მდებარეობდა, შიოევის აბანოსაც უწოდებდნენ. აბანო იყო ციხის გალავნის შიგნითაც „ხოჯას აბანო“, ეს ის აბანოა, სადაც აღა-მაჰმად-ხანს განკურნება უცდია და შეცბუნებულს მისი დანგრევა უბრძანებია.




ენალა ქალაქის მელიქი იყო 1655-1672 წლებში. მას ხელახლა აუშენებია აბანო და წყალი **დაუთხანის** აბანოდან გამოუყვანია. ზოგიერთი მკვლევარი ენალას აბანოდ მე-19 საუკუნეში მირზოევის აბანოდ წოდებულ შენობას მიიჩნევს, რომელიც მირზოევამდე ზუბალაშვილს ეკუთვნოდა.

დღემდე შემორჩენილ აბანოთა უმრავლესობა XVII-XVIII საუკუნეებში ირანული არქიტექტურის გავლენითაა შექმნილი და მერმინდელ სეიდაბადშია თავმოყრილი, ბოტანიკური ბაღის აღმართის დასაწყისში. სწორედ ამიტომ ამ ადგილს აბანოთუბანი ეწოდა.

ამ აბანოებს ძველ თბილისში მხოლოდ სამკურნალო დანიშნულება არ ჰქონდა; აქ ხშირად მთელი დღით მოდიოდნენ მოქალაქეები, ბანაობდნენ, ისვენებდნენ და ლხინსაც მართავდნენ. აქვე ამოწმებდნენ სადედამთილოები საპატარძლოს სილამაზეს.

მექისეობა საპატიო პროფესიაა და, როგორც წესი, მემკვიდრეობით გადაეცემა. ქისის საიდუმლო და მექისეობის ხერხები მამიდან შვილზე გადადის.

არსებობენ ქალი მექისეები და მამაკაცი მექისეები — ორივე თანაბარი რაოდენობით. თუმცა ხანდახან გენდერული დისბალანსიც შეინიშნება, იმიტომ რომ მამაკაც „ძვლების გამსწორებლებზე“ უფრო დიდია მოთხოვნა. ქალებიც სარგებლობენ მექისეების მომსახურებით, მაგრამ ძირითადად ევროპელი და სლავი ქალები, უფრო იშვიათად, ადგილობრივებიც.

თურმე ნამშობიარებ ქალს სხვანაირი მასაჟი უკეთდება, ხოლო იმას, ვისაც ბავშვი არ გაუჩენია — სხვანაირი. ეს იმიტომ, რომ ნამშობიარები ქალის სახსრები გაფართოებულია და მარილების დაგროვების მეტი საფრთხე არსებობს. თუ მექისემ ეს არ იცის, კლიენტის სახსრებსაც დააზიანებს და საკუთარ იმიჯსაც.

აბანოთუბანი დღემდე ერთ-ერთი ყველაზე ხალხმრავალი ადგილია ქალაქში. ერთ პატარა მოედანზე ექვსი გოგირდის აბანოა. უხსოვარ ხანაში დაწყებულმა კამათმა, რომელია მათ შორის საუკეთესო, დროთა განმავლობაში სხვა მიმართულება მიიღო და ახლა იმაზე დავობენ, რომელია ამ ექვსიდან უძველესი. არადა, რომელი მათგანის ზღურბლსაც არ უნდა გადააბიჯოთ, ყველგან ფიცით დაგიმოწმებენ: ესაა ყველაზე ადრე, ანუ XVI საუკუნეში აშენებულიო.

ბანაობით მიღებული სიამოვნების აპოთეოზი ჩაია, რომლითაც სტუმრებს ყველა აბანოში უმასპინძლდებიან. ის პატარა, გამჭვირვალე შუშის ჭიქებით მოაქვთ, ზუსტად ისე, როგორც ჩაიხანაში — შაქრის ნატეხებითა და ლიმონით.









თვალსაზრისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო მიწერებისა და პომპეზური ბაქიბუქის ორომტრიალში იხრჩობოდა. უკვე დამთავრებული ჰქონდათ გაუგონარი მიწერებითა და თვალთმაქცობით გმირის ოქროს მედლის შევარდნაძისთვის სამარცხვინოდ მონადირების გაწამაწია. შვებულებიდან გამომიძახეს და შევარდნაძეს შემახვედრეს როგორც ვითომ ახლებურად მომუშავე აგროპრომის თავმჯდომარე. ყურებში კი სატანის ბოდვასავით მიწიოდა: ახლაც ილაპარაკოს მიწერები და თვალთმაქცობა არ შეიძლებაო. პარტიის რიგებიდან დარღვევა-დანაშაულის ჩადენას გავალებდნენ, თვითონ პასუხს არ აგებდნენ, თუ საჭირო შეიქნებოდა, ამ დანაშაულისთვის ისევ ისინი დაგსჯიდნენ.**

# არ გათეთრდება ყორანი

**არ დასრულდა ქართველი ხალხის უბედურებად მოვლენილი ედუარდ შევარდნაძის მიერ დანთხეულ სამსალის აქა-იქ ამონთხევა, იმჟამინდელ წამებულთა შეუხორცებლად დარჩენილ ჭრილობებში ცილისწამების სიმყრალით ბოდიალი და სატანის ანგელოზის ფრთებით გამოპრანჭვის სურვილით მომავლის შეცდენის მცდელობა. მაგრამ, რაც დრო გადის, ისტორიის ფურცლებზე ჭეშმარიტება მყარად იდგამს ფესვებს, მოძალადე მიზანთროპის მიერ დაგროვილ ბინძურ ცილისწამებას ფანტავს და მომავალ თაობებს შეახსენებს, რომ ბედნიერია ის, ვინც ამ წუთისოფელში სიკეთითა და სიყვარულით გაიელვა.**



**ისე საზიზღარი და ბინძურია ეს ცილისწამება, რომ მისი გახსენება დღესაც მზარავს. კაცის მოკვლა რომ დაებრალებინათ, ისე არ შემაშფოთებდა, როგორც ეს სატანის ქურაში გამოტარებული ცილისწამება. «ეს რამ მოაფიქრებინათ, კაცო?!» — დათა თუთაშხიას მწარე ტკივილით შენელებული სიტყვები მახსენდება ხოლმე**

უფალს მადლობა როგორ არ უნდა შევწიროთ, როცა ქართველი ხალხის პირდორბლიანი მტრის, **ნიკიტა ხრუშჩოვის,** მძვინვარების ჟამს, რომელმაც საქართველოს ღრღნა ქლუხორის რაიონითა და ყიზლარის საძოვრების ჩამოჭრით დაიწყო, არყით გამობრუჟვას კი ქართველთა გადასახლებაზე ბოდვით ამთავრებდა, ხელმძღვანელად **ვასილ მჟავანაძე** რომ გვყავდა. ის მკერდით გადაეღობა გაცოფებულ ნადირს და მის დამხობაშიც თვისი ღირსეული წვლილი შეიტანა. თაფლის სიტკბოს არ დააფასებ, თუ ბალღამის სიმწარე არ გიგემიაო. ეს დაგვემართა და საშინლადაც დავისაჯეთ. დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს რამხელა სიკეთით, ერის სიყვარულით და მის ბედნიერებაზე ზრუნვით აღვსილი მამულიშვილის ღვაწლი არ დავაფასეთ; ყველა მანკიერებით გატენილთა მიერ ცილდაწამებული უკანასკნელ გზაზე არც კი გავაცილეთ, ქართველთა უბედურებად დაბადებული ბოროტების გუდა კი, თაფლზე უტკბესი მომავლის იმედად, ტაშ-ფანდურით წამოსკუპდა ქვეყნის მართვის საჭესთან; გაგვიწყრებოდა უფალი, აბა, რა?!

პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად ვმუშაობდი, კომკავშირის რაიკომის მძიმედ დაავადებული პირველი მდივნის ადგილზე რომ გადამიყვანეს. აქედან გავეცანი ქართველი ახალგაზრდობის ბრწყინვალე წარმომადგენლებს და მათ სიკეთეს, სიყვარულს, პატიოსნებას, მეგობრობას და ზნეკეთილობას ვეზიარე. ახალგაზრდობის ამ ბრწყინვალე თაიგულს ამშვენებდნენ; **ოთარ ჩერქეზია, როინ მეტრეველი,** უსპეტაკესი გოგონა **ნათელა ლაღიძე, რესან კონცელიძე, ნუგზარ ფოფხაძე, სოლიკო ხაბეიშვილი... ჯუმბერ პატიაშვილიც** მაშინ გავიცანი და მასაც ისეთივე პატივს ვცემდი, როგორც ყველა დანარჩენს, ამ დროს მოხდა ტრაგედია, მყინვაწვერის დასალაშქრავად წასულ ახალგაზრდებს ქარბუქმა მოუსწრო, ველარ ჩამოვიდნენ და გაიყინნენ. სოლიკო ხაბეიშვილი ალპინისტური კლუბის ხელმძღვანელიც ყოფილა, ახალგაზრდების სათანადო აღჭურვილობის გარეშე გაშვების გამო კომკავშირის ცეკას მეორე მდივნობიდან გაათავისუფლეს. ცოტა ხანს მინისტრთა საბჭოში იმუშავა და ლენინგრადის კომკავშირის მდივანმა **თამარა კუცენკომ** იმხანად საკავშირო ცეკაში რომ მუშაობდა და ხაბეიშვილთან თბილი ურთიერთობა ჰქონდა, ეს მჟავანაძეზე განაწყენებული კაცი, მოსკოვში წაიყვანა. მე კი თურმე პატიაშვილის მეგობარი ვყოფილვარ და ნათელმირონობა მაკავშირებდა. არადა, მისი ოჯახის არც ერთ წევრს არ ვიცნობდი და მათზე დღესაც არ მაქვს არავითარი წარმოდგენა. თანაც მაშინდელ კომკავშირში ნათელმირონობაზე ლაპარაკი?.. შევუნდოთ ამის შემთხზველს ეს გამოგონება, რადგან ცრუპენტელობის უფრო დიდი სანაგვეები აქვს გამოქექილი. **მეგობრობით კი ხაბეიშვილთან უფრო ახლოს ვიყავი, ვიდრე პატიაშვილთან, ჩემი გამოგონილი ქვევრის სარეცხი მანქანის გამოცდის შემდეგ ქებას რომ არ მაკლებდა.** რაიონში დიდი ავტორიტეტით გამორჩეულ და ქიზიყური პირდაპირობით ნაკურთხ პარტიის რაიკომის მდივანთან მიწევდა მუშაობა, მართალი სიტყვის თქმისგან ვიღაცა ბღენძის გამო თავის შეკავებით სინდისს საყვედურს რომ არ ათქმევინებდა. ამგვარი პირდაპირობით ნათქვამი სიმართლე შინაგან საქმეთა მინისტრ შევარდნაძესაც მწარე აბივით გადააყლაპა. მანაც ქიზიყი სამეგრელოსავით შეიძულა და მტრობა თავისი ბოროტების პირქუშ შესაფერის დრომდე გადაინახა. ბილწი მაქინაციებით საქართველოს თავკაცად წამომჯდარმა ამ ხალხის მოამაგე კაცს ღვარძლი ბოლომდე დაანთხია ისე, როგორც ყველა სხვა ღირსეულ ქართველ მამულიშვილს; ამის შემდეგ ქიზიყს ადგილობრივი რაიკომის მდივანი არ ღირსებია. ქვაბი დაგორდა და საფარობელი ნახაო, — **ხაბეიშვილის მოსკოვში წასვლის შემდეგ გაღრმავდა მისი ძმობა შევარდნაძესთან. დაიწყო საქართველოდან ცილისმწამებლური წერილების ქარბუქი და მოსკოვში მჟავანაძის წინააღმდეგ აბლაბუდების ხლართვა.** რით შეიძლებოდა მოეჯადოებინა შევარდნაძეს საქვეყნოდ ცნობილი მექრთამე, მომხვეჭელი საკავშირო შინაგან საქმეთა მინისტრი, ლეონიდ ბრეჟნევთან უაღრესად დაახლოებული **შჩოლოკოვი?!** მან თავისი გაიტანა და საქართველოში ბოროტებამ უბედურების ჩარხი დაატრიალა. ადრე მჟავანაძეს ქებითა და ლიქნით თავს რომ აბეზრებდა, ახლა დაგესვლა დაუწყო. ვაი მას, ვინც მჟავანაძეს დაელაპარაკებოდა. შეშინებული ყოფილი ნაცნობ-მეგობრები ახლოს ველარ ეკარებოდნენ. ცეკას მდივან **ბოგიჩაიშვილს** მოსკოვში ყოფნისას მისი მონახულება თვითმკვლელობამდე მიყვანად და ოჯახის განადგურებად დაუჯდა. **დაარბიეს, მოხსნეს, დააწიოკეს, მოსპეს ქვეყნისა და საქმის ერთგული საუკეთესო კადრები; დაიწყო არნახული თვალთმაქცობით, სიყალბით, მიწერებით, შევარდნაძის ბრეჟნევთან ბინძური, გულისამრევი ლაქუციით გარდამავალ დროშებზე ნადირობა. ყოველივე ამან პიკს მაშინ მიაღწია, როცა შევარდნაძეს შრომის გმირის ოქროს მედლის მოპოვების ფსიქოზი შეეყარა...**

სიღნაღში კი რაიკომის მდივნების კარუსელი ტრიალებდა. შევარდნაძემ ერთი წაიყვანა და მეორე, რუსეთიდან წამოყვანილი ხაბეიშვილის რჩეული პარტიულ აქტივს წარუდგინა; ქალის გაუპატიურებასა და სამეურნეო საქმიანობაში დარღვევებისთვის ორი სასტიკი საყვედურით დამშვენებული სიღნაღის რაიკომის მდივნად დანიშვნით დაღუპეს. ამას იმიტომ ვამბობ რომ რომელიმე მეურნეობის ხელმძღვანელობას უფრო მოირგებდა, რადგან ანთებულ ნათურაზე დასეულ ფარვანებით გარშემორტყმული მაამებლების ლიქნის სამსალამ ლამის ჭკუიდან გადაიყვანა. მის სასაცილოდ ქცეულ უამრავი უცნაურობიდან ზოგიერთს შეგახსენებთ: *რაიკომის პირველი მდივნებისთვის განკუთვილ ბინაში ცხოვრობდა. ერთ დილით მანქანის საყვირის ხმამ გაალიზიანა და ქუჩა გარდიგარდმო გადალობა. საღამოთი სამუშაოდან დაბრუნებული მცხოვრებლები ღობემ სახლამდე რომ არ მიუშვა, ატყდა ყაყანი და გაწევ-გამოწევა; **ბუჩუკური** კი ღობეს იცავდა. ბოლოს კი ღობის ნგრევაში თვითონაც მონაწილეობდა. *რაიკომის წინ მდებარე მოედანზე მიცვალებულის გატარება აიკრძალა. არადა, სასფლაოსთან ახლოს გარდაცვლილებსაც კი მოედანზე ატარებდნენ ამ პატარა ქალაქთან გამომშვიდობების ტრადიციით. მიცვალებული მოედანზე რომ არ შემოეყვანათ, სატვირთო ავტომობილებით კეტავდა. მძღოლები პროცესიის გამოჩენისთანავე გზას ათავისუფლებდნენ. ის კი ქანჩის გასაღებით, „კლუჩით“, დარბოდა ამ მანქანებისთვის ნომრების ასახსნელად. ერთხელ თანამშრომლები მოცვივდნენ, — გვიშველე, ბუჩუკურს ველარ ვაკავებთო. მოედანზე მიცვალებულს დოლგარმონის სამგლოვიარო ხმაზე მიაცილებდნენ. ეს კიდევ რაიკომის ფანჯრიდან ხელებს იქნევდა და ყვიროდა, — დოლ-გარმონით დაკრძალვა სად გაგონილაო. დაბლიდან მედოლემ საფეთქელთან თითის მიტანით დაუძახა, შენ დარეხვილი ხომ არა ხარო?! გაცეცხლდა. გინებით გამოვარდა, მეორე სართულზე დავიჭირე და ძალით შევიყვანე თავის კაბინეტში; ძალიან არასასიამოვნო კამათი მოგვივიდა. მაშინ რომ გამეშვა, ჭირისუფლები და მუსიკოსები ისე გაწეწავდნენ, სრულიად საქართველო დაგვცინებდა.

* რაიკომის საერთო ტუალეტში სიარული იუკადრისა, შიგ თავისთვის ჯიხურის მსგავსი რაღაც ააშენებინა, ჩაკეტა და გასაღებით დადიოდა. ერთხელ მდივანმა გოგომ გასაღები საზეიმოდ გადმომცა, ბუჩუკურმა გამომიგზავნა, შეუძლია იმ ტუალეტში იაროსო, გასაღები ფანჯრიდან მოვისროლე და ჩემთავად მანდ შემსვლელის-მეთქი,— ძარღვიანი კახური გინებაც დავაყოლე. არაფერი უთქვამს, ალბათ, მადლობას ელოდებოდა; სიძულვილის ბოლმა კი უგროვდებოდა. საქართველოში მიწერებისა და თვალთმაქცობის ცეცხლი ძლიერდებოდა. კეთილშობილებით, პატიოსნებით, ქართული რაინდული სულის ადამიანური სიკეთითა და სიმართლით შემკული მთავრობის ხელმძღვანელი — **ზურაბ პატარიძე** ამ ბოროტების ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ, რადგან მის გაძლიერებას შევარდნაძის ბანდა უწყობდა ხელს. პარტიის ცეკაში პატიაშვილი, თათბირებზე თუ პირად შეხვედრებში რისხვის ცეცხლს ანთებდა მიწერებისა და სიყალბის ამოსაშანთავად, მაგრამ რა შეეძლო, როცა შევარდნაძე ყალბი დიდების შარავანდედისთვის იყო გადარეული.

ერთხელ ბუჩუკური თბილისიდან დაბოღმილი ჩამოვიდა, პატიაშვილს მკაცრად გაეკრიტიკებინა და გვარიანად დაეუთოებინა. რაიკომის ვიწრო ჭორბიუროში ბუჩუკურმა პატიაშვილზე უკმაყოფილობის ბოღმა გადმოანთხია მლიქვნელთა ვახვახის აკომპანიმენტით. მაშინ მე იდეოლოგიის დარგის მდივანი ვიყავი. განვაცხადე, მაგ საყვედურებს სჯობს, საქმეს მივხედოთ, თორემ პატიაშვილი დანაშაულის ჩამდენს ძმასაც არ დაინდობს-მეთქი. არც კი ვიცოდი პატიაშვილს ძმა თუ ჰყავდა, უბრალოდ, ასეთი გამოთქმა არსებობს. შეიძლება ასეთი რამ ვთქვი სხვა დროსაც, ამიტომ პატიაშვილის კაცად ჩამთვალეს.

საქართველო კი მიწერებისა და პომპეზური ბაქიბუქის ორომტრიალში იხრჩობოდა. უკვე დამთავრებული ჰქონდათ გაუგონარი მიწერებით და თვალთმაქცობით გმირის ოქროს მედლის შევარდნაძისთვის სამარცხვინოდ მონადირების გაწამაწია. შვებულებიდან გამომიძახეს და შევარდნაძეს შემახვედრეს როგორც ვითომ ახლებურად მომუშავე აგროპრომის თავმჯდომარე. ყურებში კი სატანის ბოდვასავით მიწიოდა, — ახლაც ილაპარაკოს მიწერები და თვალთმაქცობა არ შეიძლებაო. **პარტიის რიგებიდან დარღვევა-დანაშაულის ჩადენას გავალებდნენ, თვითონ პასუხს არ აგებდნენ, თუ საჭირო შეიქნებოდა ამ დანაშაულისთვის ისევ ისინი დაგსჯიდნენ.** ყოველგვარი მიწერა ავკრძალე და სასტიკად დაიძაბა პარტიის რაიკომთან ურთიერთობა. უკუღმართი დავალების მისაცემად აგროპრომში ცხვირს ველარ ყოფდნენ. წელი მთავრდებოდა და დაძაბულობამ იმატა. გაბერილ გეგმებს ვერ ვასრულებდით, მაგრამ რეალურად წარმოებული პროდუქციით წინა წელს საგრძნობლად ვუსწრებდით. ვიხვეწებოდი, ეს ერთი წელი გვადროვეთ, მომავალ წელს ყველაფერს რეალურად შევასრულებთ-მეთქი. ვის დაკარგვიხარ, როცა შევარდნაძე მიწერებით ყოველ წელს მეტსა და მეტს ითხოვდა. მე ვერაფერს მიბედავდნენ, მაგრამ მთავარ ზოოტექნიკოსს იბარებდნენ, შემდეგ კი მუქარითა და ლანძღვით გულგახეთქილს ისევ ჩემთან გზავნიდნენ, მაგრამ მიწერა ვერ მოახერხეს და სულადობის გეგმა ვერ შესრულდა. ასევე არ შესრულდა მიწერის იმედზე დამყარებული სხვა გეგმებიც. ამგვარ პირობებში ჩემი აგროპრომში მუშაობა აღარ შეიძლებოდა.

ბუჩუკური შევარდნაძესთან ჩავიდა თბილისში. დიდხანს ისუბრეს. ბიუროს სხვა წევრებიც დამოძღვრეს და ჩემი საკითხის განხილვა შეიტანეს დღის წესრიგში. მანამდე უკვე მოვითხოვე გათავისუფლება. სასაცილოდ შეთითხნილ პროექტში ჩემ მიერ გეგმის შეუსრულებლობა დომინირებდა. სხვების წვრილმანი ბრალდებებიც მე მომაწერეს და ჩემი გათავისუფლების თხოვნა დააკმაყოფილეს. რას წარმოვიდგენდი, ჩემ ირგვლივ რა ცილისწამების ქსელიც იხლართებოდა ჯუმბერ პატიაშვილის გზიდან ჩამოსაცილებლად. მერე გაირკვა, რომ შევარდნაძე-ხაბეიშვილის კაცთმოძულე სამზარეულოში მოხარშული ეს სიბილწე გამოიტანეს.

**მალე ცეკაში გამომიძახეს რაიონში შეთითხნილი, სასაცილო პროექტის გადამღერებით. მოვითხოვე ყველაფერი შეემოწმებინათ. შევარდნაძემ გამოაცხადა, ხაბეიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ ყველაფერი გადაამოწმოსო. მე გულუბრყვილობით ველოდი** ▶

**საქართველოში მიწერებისა და თვალთმაქცობის ცეცხლი ძლიერდებოდა. კეთილშობილებით, პატიოსნებით, ქართული რაინდული სულის ადამიანური სიკეთითა და სიმართლით შემკული მთავრობის ხელმძღვანელი – ზურაბ პატარიძე ამ ბოროტების ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა, მაგრამ ამაოდ, რადგან მის გაძლიერებას შევარდნაძის ბანდა უწყობდა ხელს. პარტიის ცეკაში კი პატიაშვილი ბორგავდა, თათბირებზე თუ პირად შეხვედრებში რისხვის ცეცხლს ანთებდა მიწერებისა და სიყალბის ამოსაშანთავად, მაგრამ რა შეეძლო, როცა შევარდნაძე ყალბი დიდების შარავანდედისთვის იყო გადარეული.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ კომისიის დასკვნას. მალე „კომუნისტში" გამოქვეყნდა, ცეკას ბიუროზე ადრე უკვე გათავისუფლებული სომხიშვილი პარტიიდან გარიცხესო. არავითარი კომისიის დასკვნა. ამის შემდეგ „იორწყალმშენის" ტრესტში დავიწყე ფიზიკურად მუშაობა.**

კარგა ხნის შემდეგ ისევ გამომიძახეს ცეკაში, — რა ფულს აგროვებდიო? საშინლად გავმწარდი. დაკითხვის ოქმი შეადგინეს და წამოვედი. მაშინ შევიტყვე, თურმე ბუჩუკური იბარებდა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და აძალებდა, დაეწერათ, სომხიშვილი ფულს აგროვებდა პატიაშვილთან მისატანადო. თუ ვერ ითანხმებდა, მილიციის უფროსთან გზავნიდა. ის საკანში შეაგდებდა და მეორე დღეს ისევ ულერებდა მუშტებს. საქმე გართულდა. მილიციის უფროსს აქეთ შეუტიეს და ცეკაში დასმენით დაემუქრნენ. შეშინებულმა მათ დაასწრო, ცეკაში განაცხადა რას ავალებდა ბუჩუკური. ამის დაფარვა აღარ შეიძლებოდა. კომისიამ მკაცრად შეისწავლა ეს საკითხი, ამ დანაშაულისათვის ბუჩუკური მოხსნეს და პარტიიდან გარიცხეს. გამწარებული ბუჩუკური ხაბეიშვილს კაბინეტში შეუვარდა,— ეს რა ჩამადენინე, რატომ დამღუპეო?! მაგ ბიუროზე მე ვერ მოგეხმარებოდი, — ქაღალდები მიაწოდა, — აქ ყველა დანაშაულზე წერია, შევარდნაძეს მოხსნიან და გიშველიო.

ბუჩუკურმა ეს საჩივარი საკავშირო ცეკაში მიიტანა. ბუჩუკურის მეუღლეზე ამბობდნენ, **ანდროპოვის** ახლობელიაო. ანდროპოვი უკვე სასიკვდილო სარეცელზე იწვა, **ჩერნენკომ** კი შევარდნაძეს გამოუგზავნა დოკუმენტები ზომების მისაღებად. ბუჩუკური მაშინვე დააპატიმრეს. საპატიმროდან ერთხელ კიდევ მოახერხა ხაბეიშვილისთვის წერილის გაგზავნა, დამეხმარე, თორემ ყველაფერს ვიტყვიო. „ჩვენ უძლიერესი მტრები გაგვიჩნდა, რადგან სოლიკო ხდებოდა შევარდნაძის უპირობო შემცვლელი." — წერს „ნიჭიერი ანალიტიკოსი". მოსკოვში როგორ ჩააწყვეს საქმე არ ვიცი, ისე კი, საქართველოში ფრიად არასახარბიელო ავტორიტეტი ჰქონდა. იგრძნობოდა კიდეც, რომ ხელსაყრელ მომენტში სოლიკო ედუარდს დაჩრდილავდა და გვერდით მოისროდაო. მოსკოვში გადახვეწილი ჩამოიყვანა და საქართველოში აღვირახსნილი ჯირითის განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვა; ისეთი ფონდი ჩააბარა, არც კი დაესიზმრებოდა.

ეს „ანალიტიკოსი" წერს, დაკავების სანქციას **ბარაბაძემ** ხელი არ მოაწერაო. რატომ მოაწერდა ხელს, როცა შევარდნაძე-ხაბეიშვილის დანაშაულებრივი ალიანსის წევრი იყო. ჩემზე შეთხზული ბრალდების შემსწავლელმა კომისიამ ამ დანაშაულისთვის ბუჩუკური დასაჯა. ბარაბაძემ კი ალიანსის დავალებით ჩემი დაპატიმრების სანქცია გასცა და შემდეგ შეუდგა ცრუ ბრალდებების შეკოწიწებას; თანაც მემუქრებოდნენ, ბარაბაძე დაგკითხავს და იმას გალიარებინებს, რაც კომისიამ უარყოო. მსურველს შეუძლია მაშინდელი გენერალური პროკურორის, **რაზმაძის** მიერ გამოქვეყნებულ წიგნში ამოიკითხოს, შევარდნაძემ დაგვავალა სომხიშვილს ათქმევინეთ, რომ პატიაშვილისთვის ფულს აგროვებდაო. გარეთ რომ ვერაფერს გავხდით, დავაპატიმრეთ მაგრამ ვერაფერი ვათქმევინეთო. **ისე საზიზღარი და ბინძურია ეს ცილისწამება, რომ მისი გახსენება დღესაც მზარავს. კაცის მოკვლა რომ დაებრალებინათ ისე არ შემაშფოთებდა, როგორც ეს სატანის ქურაში გამოტარებული ცილისწამება. „ეს რამ მოაფიქრებინათ, კაცო?!"— დათა თუთაშხიას მწარე ტკივილით შენელებული სიტყვები მახსენდება ხოლმე.** სასამართლოზე ბუჩუკურს ნათქვამი სრულიად საქართველომ მოისმინა: ამან მომიყვანა, ამან დამაწინაურა და ციხეში ამის წყალობით მოვხვდი; ეს ცეკას პირველი მდივნის ჩოხის მორგებისთვის ემზადებოდაო. — აი თანამდებობისთვის გამძვინვარებული კარიერისტის დახასიათება.

მოქრთამვის მაქინაციებით საქართველოს ხელისუფლების ეშელონებში გამძვრალი შევარდნაძის ყველა ბილწი საქმიანობის უშუალო მონაწილე იყო ხაბეიშვილი, რომელიც თავის ზრახვების თანამოზიარედ მხარში ამოიყენა. ეს ხაბეიშვილს ადევნებული ტურა კი წერს, დაჩრდილავდა და გვერდით მოისროდაო.

**ოცდარვა თვის განმავლობაში სუკ-ის დილეგში ჩამწნილებული, უკვე პატიაშვილის პერიოდში გამასამართლეს სასაცილოდ შეთხზული ბრალდებებით. განგებას მაინც არ ვემდური, რადგან იუზა კობახიძის ბედი გარანტირებული მქონდა, პატარიძის მიმართ ცილისწამება რომ ვერ აკისრებინეს და ეს კეთილშობილი, უაღრესად განათლებული და კაცთმოყვარე ვაჟკაცი შეთითხნილი, ყალბი ბრალდებებით დახვრიტეს. ახლა ყველანი იმ გრძელ სოფელში არიან და ინატრონ, რომ უფლის სამსჯავრო არ არსებობდეს.**

შევარდნაძე-პატიაშვილი-სააკაშვილის რეჟიმიო, — წერს წერილის ავტორი. პატიაშვილი შევარდნაძესთან რა დასაკავშირებელია, როცა მოსკოვში დაწინაურებული საქართველოს შხამსა და სამსალას არ აკლებდა პატიაშვილის სიძულვილით. თუნდაც 9 აპრილის ამბავს პატიაშვილს ვინ ეკითხებოდა, როცა **გორბაჩოვის** მიერ საგანგებო ძალაუფლებით აღჭურვილი შევარდნაძე განაგებდა ყველაფერს. მომიტინგეების დარბევის ბრძანებას მოსკოვიდან გასცემდა თუ აქედან, რა მნიშვნელობა ჰქონდა, როცა ამ ძალაუფლებით მხოლოდ ის იყო აღჭურვილი. პატიაშვილისთვის 9 აპრილის დაბრალება?.. ამით შევარდნაძის მიერ ჩადენილ ცოდვებს ვერ შეამსუბუქებენ. დღევანდელი სავალალო ყოფა სწორედ მისი საშინელი ღალატის გამოძახილია.

რა დააშავა **ზვიად გამსახურდიამ**, ერთი წელიც რომ არ დააცადეს, სისხლისღვრით დაამხეს და ეს საქართველოს სიყვარულით გულანთებული ბრწყინვალე მამულიშვილი მოკლეს თუ თვითმკვლელობამდე მიიყვანეს, ქართველ ერს კი ღვთისმშობლის კუთვნილ სამშობლოში ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს?!

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი

# თელავში ალმანახი «კახიონი» გამოსცეს



**საფრანგეთის ეროვნულ გმირზე, თელაველ ვახტანგ სეხნიაშვილზე, ჩემი წერილი გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში" ( №14, 2018წ.) დაიბეჭდა. დიდი სამამულო ომის მონაწილე, მძიმედ დაჭრილი ვახტანგ სეხნიაშვილი 1942 წელს გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს და საფრანგეთის ტყვეთა ბანაკში გადაიყვანეს. აქ ჩაება იგი წინააღმდეგობის მოძრაობაში და საფრანგეთის ეროვნული გმირი გახდა.**

დღეს საქართველოში და ჩემს ქალაქ თელავში შექმნილი ეკონომიური ვითარების გამო ქართულ-ფრანგული ურთიერთობის დიდი და მრავალმხრივ საინტერესო ისტორიის ეს ფურცელი, სამწუხაროდ, დავიწყების ბურუსით იფარება, ამიტომ გადავწყვიტე, თქვენთვის მოკლედ მომეთხრო საინტერესო ამბები, რომლებიც თელავს საფრანგეთთან, ფრანგ ხალხთან აკავშირებს.

დიდი სულხან საბა-ორბელიანით დაწყებული ამ გზით იარა **ექვთიმე თაყაიშვილმა** და ქართველ ემიგრანტთა დიდმა ჯგუფმა, რომელთა შორის იყო თელაველი (ვარდისუბნელი) **ნინო ქურციკაშვილი** (სალია), რომლის აქაურ ოჯახზე, შთამომავლებზე არაერთხელ მოვუთხრეთ მკითხველს ჩვენს გაზეთში (ჯერ „ალაზნის განთიადში", რომელიც ახლა „თელავის მოამბედ" იწოდება). ამ გზით იარა პარიზის უხუცესმა მოქალაქემ – ქართველმა მანდილოსანმა, თელაველმა (კისისხეველმა) **სოფიო ჩიჯავაძე-კეიდიამ**, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტმა **ჟაკ შირაკმა** დაბადების ასი წლის იუბილეზე პირადად მიართვა მისთვის საგანგებოდ დამზადებული მედალი და დიპლომი. „ამ გზამ გვაზიარა **ჟორჟ სანდის, ვიქტორ ჰიუგოს, ალექსანდრე დიუმას, ონორე დე ბალზაკის, პროსპერ მერიმეს, ფლობერის, ემილ ზოლას, ანატოლ ფრანსის, რომენ როლანისა** და სხვა ფრანგ მწერალთა პროზას", — ვკითხულობთ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ფრანგულ-ქართული ურთიერთობისადმი მიძღვნილი ალმანახის — „კახიონის" პირველ ნომერში.

ბატონი **როინ ჭიკაძე** — მაშინ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი — მონაწილეობდა საფრანგეთის იონის დეპარტამენტსა (ბურგუნდია) და კახეთის მხარეს შორის დამყარებულ რეგიონულ კონტაქტებში; ლიონის დეპარტამენტმა უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა კომპიტერული ტექნიკა, უნივერსიტეტში დაფუძნდა **„მარი ბროსეს საზოგადოება"**. როინ ჭიკაძე წერს, რომ ეს საზოგადოება მიზნად ისახავს მარი-ფელისიტე-ქსავიე ბროსეს მიერ დაწყებულ საქმეთა ღირსეულ გაგრძელებას, საფრანგეთ-საქართველოს კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შესწავლა-პოპულარიზაციას, მჭიდრო სამეცნიერო და საგანმანათლებლო კავშირ-ურთიერთობის დამყარებას.

ცნობილია, რომ **მარი ბროსე** 1947 წლის სექტემბერში ჩამოვიდა კახეთში; ეწვია თელავს, ალავერდს, იყალთოს, ქისტაურს, მატანს. აქ ჩაეყარა საფუძველი მის მეგობრულ და საქმიან ურთიერთობას **რაფიელ ერისთავთან** და **იოსებ ცისკარიშვილთან**. სწორედ მარი ბროსეს თელავთან ურთიერთობის გამოძახილად გვესახება **გიორგი ჯავახიშვილის** წერილების კრებული „ქართულ-ფრანგული კულტურულ-ლიტერატურული შეხვედრები თელავში", რომელიც „მარი ბროსეს საზოგადოების" პირველი გამოცემაა. მასში მიმოხილულია ჩვენი უახლოესი წარსულის ქართულ-ფრანგული ლიტერატურული შეხვედრები, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს უშუალოდ თელაველმა და თელავთან დაკავშირებულმა მოღვაწეებმა **ნიკო კურდღელაშვილმა, იოსებ ცისკარიშვილმა, ერეკლე ჯაბადარმა, ელისაბედ ორბელიანმა, ნინო ქურციკაშვილმა**. თელავის თეატრში იდგმებოდა **ელისაბედ ორბელიანის, ვოლტერის, რასინის, პიერ კორნელის, ალექსანდრე დიუმას** (შვილის), **მოლიერის, ვიქტორ ჰიუგოს, ონორე დე ბალზაკის** ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები.

„კახიონი" ქართულ-ფრანგული ურთიერთობის, უფრო სწორად, საფრანგეთთან, ფრანგებთან თელავისა და თელაველების ურთიერთობის ამსახველი პატარა კრებულია, რომელიც დიდებულად წარმოაჩენს ხალხების ურთიერთპატივისცემას და თავისთავადობის შენარჩუნების ხიბლს. აი ასეთად გვესახება სამომავლოდ ჩვენი, თელაველების, „პატარა ლევილი" ან იქნებ „კახიონი".

ჩვენი ეს მოსაზრება არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება „თელავის დარბაზის" მხარდაჭერით ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილ თხლაშიძესა** და ქალაქ თელავის მერ **შოთა ნარეკლიშვილს** გავაცანით. მათი მხარდაჭერით გამხნევებული, კიდევ ერთხელ მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო რედაქცია, დაგვიჭირეთ მხარი და მიაწვდინეთ ჩვენი ხმა საფრანგეთის საელჩოს.

**მერი ზაალაშვილი,**
**საქართველო დამსახურებული ჟურნალისტი**

# დავით ბაქრაძე თვალებში ნაცარს გვაყრის, ისტორიას აყალბებს!

**კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა ახლახან კიდევ დაადანაშაულა მიხეილ სააკაშვილი ცხინვალის ომის წამოწყებაში.**



**დიახ, ქალბატონი სალომე მართალია — ომი ანუ აგრესია თავდაპირველად სააკაშვილმა წამოიწყო, თანაც საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რაც უცილობელი ჭეშმარიტებაა. ომის დაწყებით სააკაშვილი საერთაშორისო კლასის დამნაშავედ მოგვევლინა, რადგან ცხინვალის რეგიონში შეჭრისთანავე გაეროს და ეუთოს ეგიდით იქ მდგარ რუს მშვიდობის მყოფელთა ერთი ნაწილი დახოცა. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ პეკინიდან სასწრაფოდ დაბრუნებულმა, იმხანად რუსეთის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა განახორციელა საპასუხო აგრესია — ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციები; არ გვაპატია მშვიდობისმყოფელთა ჩახოცვა, მათი დედების ატირება. საპასუხო აგრესიის შედეგები დღეს ყველასთვის ცნობილია.**

ცხინვალის ომის დაწყებით სააკაშვილმა ბუშები და მაკეინები გაახარა, რადგან ეს ომი მათ ინტერესებში იჯდა; საქართველოს კი ამ ომმა ენით აუწერელი ზიანი მიაყენა — ქართველთა საცხოვრისი სივრცის 20 პროცენტი დაგვაკარგვინა. უდიდესი ტრაგედიაა ეს!

და, აი, ასეთ დროს **დავით ბაქრაძე** საჯაროდ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე უსირცხვილოდ კიცხავს ქალბატონ სალომეს — ვითომ ის სააკაშვილს ცილს წამებს. ბაქრაძის ვაილოგიკით გამოდის, რომ თითქოს პუტინმა პირველმა წამოიწყო აგრესია — ჩახოცა ცხინვალში მდგარი რუსი მშვიდობისმყოფელები. ვეკითხები დავით ბაქრაძეს: ასე რომ ყოფილიყო, აგრესიის დაწყებისათვის გაერო და ეუთო რუსეთის წინააღმდეგ განგაშს არ ატეხდნენ?!

სირცხვილია, ბატონო დავით! თქვენ მოაზროვნე და მჭევრმეტყველ პიროვნებად მიმაჩნიხართ და ასე ხელაღებით რატომ ცრუობთ?! სჯობს, გაჩუმდეთ!

სააკაშვილის დაწყებულ აგრესიას რუსეთმა უფრო მძლავრი, გადაჭარბებული აგრესიით უპასუხა — აი, ჭეშმარიტება!

სააკაშვილი, როგორც ომის დამწყები, დამნაშავეა; სამუდამო პატიმრობის ღირსია; სწორედ მასზე ითქმის: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო".

**გივი გურეშიძე**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კათოლიკური თავშესაფარი ვერმონტის შტატში 1974 წელს დახურეს, მაგრამ საშინელი ისტორიები, რომლებიც მის კედლებს მიღმა ხდებოდა, დღემდე ახსოვთ. მეოთხე წელიწადია, გამოძიება მიმდინარეობს. მოწმეები ყვებიან სექსუალური ძალადობისა და მკვლელობის შემაძრწუნებელ ფაქტებს.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## როგორ ხოცავდნენ მონაზვნები ბავშვებს



**მონაზვნები საშინელ დანაშაულს, მკვლელობისა და გაუპატიურების ჩათვლით, 1930-იანი წლების დასაწყისიდან 1970 წლამდე სჩადიოდნენ.**

კათოლიკური თავშესაფარი ვერმონტის შტატში 1974 წელს დახურეს, მაგრამ საშინელი ისტორიები, რომლებიც მის კედლებს მიღმა ხდებოდა, დღემდე ახსოვთ. მეოთხე წელიწადია, გამოძიება მიმდინარეობს. მოწმეები ყვებიან სექსუალური ძალადობისა და მკვლელობის შემაძრწუნებელ ფაქტებს, — იუწყება Buzz Feed News.

მთავარი მოწმე **სალი დეილი** თავშესაფარში 2 წლისა მიიყვანეს და იქ ყველაზე დიდხანს — 23 წლამდე ცხოვრობდა. ჩვენების მიცემისას, რომელიც 19 საათს გაგრძელდა, მან გამომძიებლებს წვრილად მოუთხრო იმ ძალადობაზე, რომელსაც თავად შეესწრო. 6 წლისამ საკუთარი თვალით დაინახა, როგორ გადააგდო მონაზონმა ბავშვი ფანჯრიდან. გაიხსენა ისიც, რომ მის თვალწინ მონაზონმა ბავშვი ტბაში იმიტომ გადააგდო, რომ... ცურვა ესწავლა, მაგრამ ბიჭმა ნაპირისკენ ვერ გამოცურა. მაშინ სალი მონაზონს ჰკითხა, თუ რა დაემართა ბავშვს, დედაკაცმა კი უპასუხა: „ნუ ღელავ. ახლა იგი შინ არისო".

სალი, რომელიც გარდაცვლილია, ერთ-ერთია იმ გამოკითხულთაგან, რომლებსაც გამოძიებამ ჩვენება ჩამოართვა.

კიდევ ერთი ყოფილი აღზრდილი **ჰიუსტონ შერია.** მან აჩვენა, რომ, როცა კოლეგასთან ერთად ღამის ჩამოვლას ატარებდა, დაინახა, როგორ შვა შავკანიანი ბავშვი ერთ-ერთმა მონაზონმა. დილით კი ამ ქალმა ბავშვი ბალიშით მოაშთო. შერიმ ეს ამბავი სოციალურ მუშაკს რომ მოუთხრო, იგი სასტიკად სცემეს.

**ჯოზეფ ესკრამ** თავშესაფარში 10 წელიწადი დაჰყო. მან გაიხსენა ერთი ბიჭის ამბავი, რომელიც ვახშამზე არ მივიდა. მის საპოვნელად შექმნილმა ჯგუფმა ბავშვი მკვდარი იპოვა. იგი ვიღაცას ხეზე მიება და სიცივისგან გათოშილიყო. ამ ჩვენებების მიუხედავად, სასამართლომ საბრალდებო განაჩენი არ გამოიტანა, მტკიცებულებათა უკმარობის გამო.









## მასწავლებელმა ქალმა ყოფილ ბოიფრენდს გენიტალიები მოაჭრა

**მოაჭრა და ტუალეტში ჩარეცხა. გამოძიების ვერსიით, ჯეინ ვანჯიკუმ ეს დანაშაული ორ თანამონაწილესთან ერთად ჩაიდინა: ღამის კლუბიდან მოიტაცა ახალგაზრდა კაცი, რომელიც კოქტეილში ჩაყრილი წამლის დიდი დოზით დააძინა. შემდეგ „განაიარაღა", რითაც შური იძია მიტოვებისთვისო, — იუწყება Metro.**

პოლიციამ დააპატიმრა კიდევ ერთი ეჭვმიტანილი, რომელიც დაეხმარა ქალს შეურაცხმყოფელისთვის ჯერ მჟავით თვალების ამოწვაში, შემდეგ — გენიტალიების მოკვეთაში.

ეს დანაშაული ჯეინის სახლში ჩაიდინეს. მძიმე მდგომარეობაში მყოფი დაზარალებული საავადმყოფოშია მოთავსებული, ექიმებს წარმოდგენა არ აქვთ, როგორ შეიძლება აღუდგინონ ამ უბედურს მამაკაცური ღირსება.

ჯეინი კი დააპატიმრეს.

## დედა შვილს უნიტაზში თავის ჩაყოფით სჯიდა



**ასეთ „პედაგოგიურ" მეთოდს იყენებდა ვირჯინიელი ქეიტლინ ვოლფი თავისი სამი წლის ბიჭის დასასჯელად საგინებელი სიტყვების ხმარებისთვის და ამ პროცესს ვიდეოზე იღებდა, იუწყება Mirror.**

ქეიტლინ ვოლფმა თავისი საქციელი ასე ახსნა: ბავშვისგან გინება რომ გავიგონე, ჯერ დავაპირე, ბიჭისთვის პირი საპნით გამომერეცხა, მაგრამ შემდეგ მისი დასჯის სხვა ხერხი ვამჯობინეო. მან ეგზეკუციის ვიდეოჩანაწერი ბავშვის აღმზრდელს გაუგზავნა, მან კი თავის მეგობარს გადასცა, რომელმაც „ფეისბუქზე" გამოაქვეყნა. სოცქსელების მომხმარებლებმა დედის „პედაგოგიური ნიჭი" სათანადოდ ვერ შეაფასეს და ნოვატორი მშობლის მისამართით უამრავი მუქარის შემცველი შეტყობინება გააგზავნეს.

ქეიტლი შეეცადა, ეს უმსგავსობა იმით აეხსნა, რომ მისი საქციელი იყო მხოლოდ თამაში და სხვა არაფერი, მაგრამ ასეთი თავისმართლება არავინ ირწმუნა, პოლიცია კი სერიოზულად დაინტერესდა, და, როგორც ჩანს, ამ ქალბატონს დედობის უფლებას ჩამოართმევენ.

# ნაშვილებ გოგონას 15 წლის განმავლობაში აუპატიურებდნენ

**აუპატიურებდნენ და აიძულეს 3 შვილი გაეჩინა. ცოლ-ქმარი ავრცელებდა ხმას, რომ სამთაგან ერთი სნეულებათა მკალის ნიჭით იყო დაჯილდოებული და ასობით ადამიანს ატყუებდა, — იუწყება Daily Mail.**

სან-ანტონიოს მკვიდრ ქალს 33 წლით პატიმრობა მას შემდეგ მიუსაჯეს, რაც სასამართლომ დაადგინა, რომ იგი და მისი ქმარი 15 წლის განმავლობაში ძალადობდნენ ნაშვილებ გოგონაზე და აიძულეს 3 ბავშვის გაჩენა, რომლებიც თავიანთ შვილებად გაასაღეს. ცოლ-ქმარი შარშან დააპატიმრეს, მას შემდეგ, რაც 28 წლის **აბიგეილ ალვარადომ** საჯაროდ განაცხადა იმ საშინელებათა შესახებ, რომლებიც მას ბავშვობაში თავს გადახდა.

გამჟღავნდა შემაძრწუნებელი დეტალები იმისა, რაც **ლორა** და **ეისებიო კასტილოს** სახლის კედლებს მიღმა ხდებოდა. გაირკვა, რომ სახლის უკანა ეზოში ქალმა პატარა ეკლესია ააშენა და ასობით ადამიანი მოატყუა — დაარწმუნა ისინი, რომ მის ერთ-ერთ ბავშვს შეეძლო კიბოთი დაავადებულთა განკურნება.

აშშ-ის არმიის ყოფილი სერჟანტი ეისებიო სასამართლოს განაჩენს ელოდება.

აბიგეილი ყვება, რომ პირველად იგი გააუპატიურეს, როცა 9 წლისა იყო. გოგონა ლოთ დედას წაართვეს და კასტილიოს ოჯახს გადასცეს,





რომელიც ჰავაის კუნძულებზე განთავსებულ ამერიკის სამხედრო ბაზაზე ცხოვრობდა. გოგონას შვილად აყვანის შემდეგ კასტილიო ღამ-ღამობით მასთან მიდიოდა. აბიგეილმა ეს ყველაფერი დედობილს უამბო, მაგრამ მან მონაყოლი არ დაიჯერა.

2001 წელს ოჯახი ტეხასში გადავიდა საცხოვრებლად. ამის შემდეგ ქალი ქმარს ეხმარებოდა და ძალადობაში თვითონაც მონაწილეობდა. ცოლქმარი გამუდმებით სცემდა და შეურაცხყოფდა ქალიშვილს, ბოლოს კი აიძულეს შვილი გაეჩინა.

პირველი ბავშვი აბიგეილს 17 წლისას შეეძინა, მეორე — 20 წლისას, მესამე კი — 23 წლისას. ბავშვებს აბიგეილი მათი და ეგონათ.

2009 წელს ისინი სან-ანტონიოში გადასახლდნენ, სადაც სახლის უკანა ეზოში ის პატარა ეკლესია ააშენეს, რომელზეც უკვე ვიუწყებოდით, და შეუდგნენ ხალხის გაბითურებას. სწორედ ამ ქალაქში შეხვდა აბიგეილი თავის მომავალ ქმარს, რომელსაც მხოლოდ წლების შემდეგ გაუმხილა სიმართლე, მაგრამ მაშინაც ვერ გაბედა პოლიციის საქმის კურსში ჩაყენება.

გარდამტეხი მომენტი 2014 წელს დადგა, როცა დედობილი საავადმყოფოში დააწვინეს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ვერ მორჩებოდა. მაშინ ეისებიომ უთხრა აბიგეილს: „ის რომ მოკვდება, ჩვენ ორნი დავრჩებით. დავქორწინდებით, ბავშვებს გავაჩენთ და განვაგრძობთ სამრეკლოს მშენებლობასო". აბიგეილი მიხვდა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა და ხმა უნდა ამოეღო. ალაპარაკდა.

ლორა და ეისებიო სასწრაფოდ მიიმალნენ. პოლიციამ ისინი ორი წლის შემდეგ დააკავა.

დღეს აბიგეილი ქმართან ერთად ზრდის თავის შვილებს და თავის ბიოლოგიურ დედასაც დაუკავშირდა.

**ილია დათუნაშვილი 1959-1968 წლებში იცავდა თბილისის „დინამოს" ღირსებას, სსრკ-ის ჩემპიონატების 199 მატჩში კი 46 ბურთი გაიტანა. მათგან 5 ერთ მატჩში — ერევნის „არარატის" წინააღმდეგ 1966 წლის 22 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ქართველმა ფეხბურთელმა 29 წუთში 5 ბურთი გაიტანა: 48-ე, 59-ე, მე-60, 74-ე და 77-ე წუთებზე, და ამით სსრკ-ის რეკორდი დაამყარა (ზოგიერთი ცნობით, გაიმეორა).**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ოქროს მატჩში» კუთხურიდან გატანილი გოლი და «დათუნაშვილი გალისა!»

**ქართული ფეხბურთის ისტორიაში ბევრი იყო გამოჩენილი ფეხბურთელი, რომლებმაც თავიანთი თამაშით, გატანილი გოლებითა თუ რაინდული საქციელით უდიდესი სიხარული მოჰგვარეს ფეხბურთის ქართველ ქომაგებს და სრულიად საქართველოს. მათ შორის არის 1964 წლის 18 ნოემბერს უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში გამართული „ოქროს მატჩის" მონაწილე ილია დათუნაშვილი, რომელსაც მიმდინარე წლის 1 სექტემბერს 81 წელი შეუსრულდა. იმ ღირსშესანიშნავ დღეს კი, როცა მოსკოვის „ტორპედოს" კარში 2 გოლი გაიტანა და, თბილისის დინამოელებთან ერთად, პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, 27 წლის იყო...**



ილია დათუნაშვილის მიერ მოსკოვის „ტორპედოს" კარში კუთხურიდან გატანილი ბურთი

საბჭოთა კავშირის 1964 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში თბილისის „დინამომ" და მოსკოვის „ტორპედომ" 46-46 ქულა დააგროვეს. ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი შეხვედრა, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდა — ტაშკენტში სტადიონ „ფახთაქორზე".

ეს შეხვედრა ქართველმა გულშემატკივრებმა „ოქროს მატჩად" მონათლეს, თბილისის დინამოელები კი — „ოქროს ბიჭებად".

პირველი გოლი მოსკოველებმა გაიტანეს — **შჩერბაკოვმა** 56 წუთზე. ქართველი ფეხბურთელები 73-ე წუთამდე აგებდნენ ამ უმნიშვნელოვანეს შეხვედრას. ამ მატჩის რადიორეპორტაჟმა, რომელიც **ეროსი მანჯგალაძესა** და **კოტე მახარაძეს** მიჰყავდათ, თითქმის მთელი საქართველო რადიომიმღებებს მიაჯაჭვა. მატჩის დასრულებამდე 17 წუთით ადრე **ილია დათუნაშვილმა** პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა ბურთი მოსკოვის ტორპედოელთა კარში და ანგარიში გაათანაბრა. დამატებით დროში, მესამე ტაიმის დაწყებისთანავე, 92-ე წუთზე, მიხეილ მესხის გადაცემის შემდეგ კვლავ ილია დათუნაშვილმა შეარხია მოსკოვის „ტორპედოს" კარის ბადე. შემდეგ იმავე მესხმა (102-ე წთ) და ბოლოს სლავა მეტრეველმა (107-ე წუთზე პენალტით) ანგარიში 4:1 გახადეს თბილისელთა სასარგებლოდ. ილია დათუნაშვილის დუბლმა „ოქროს მატჩში" თბილისელებს სსრკ-ის ჩემპიონის პირველი ტიტული მოუტანა. მას და თანაგუნდელებს კი — ქართველი (და არამხოლოდ) ქომაგების უსაზღვრო სიყვარული...

ილია დათუნაშვილი ბათუმში დაიბადა 1937 წლის 1 სექტემბერს. ბათუმში, იმხანად პიონერთა პარკში არსებულ სტადიონზე დაიწყო ვარჯიში ცნობილი ფეხბურთელის — **ბორის ფროლოვის** ხელმძღვანელობით. ილია დათუნაშვილთან ერთად ვარჯიშობდა **ანზორ კავაზაშვილიც** — მოსკოვის „ტორპედოსა" და სსრკ-ის ნაკრების მეკარე, 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე. ილია დათუნაშვილი მე-9 კლასში იყო, ოჯახი საცხოვრებლად ლანჩხუთში რომ გადავიდა. სკოლა სოფელ ჩიბათში დაამთავრა. ჩაირიცხა ლანჩხუთის საფეხბურთო გუნდ „კოლმეურნეში", რომელსაც ხელმძღვანელობდა **ევგრაფი შევარდნაძე** — ედუარდ შევარდნაძის უფროსი ძმა, რომლის თაოსნობითაც მოგვიანებით შეიქმნა გუნდი ლანჩხუთის „გურია", რომელიც სსრკ-ის უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა.

1950-იანი წლების ბოლოს ცნობილმა ქართველმა მწვრთნელმა **ანდრო ჟორდანიამ** ილია დათუნაშვილი ქუთაისის „ტორპედოში" მიიწვია, ხოლო, როცა ჟორდანია „დინამოში" გადაიყვანეს, 1959 წელს, ილიაც წაიყვანა. ილია დათუნაშვილი 1959-1968 წლებში იცავდა თბილისის „დინამოს" ღირსებას, სსრკ-ის ჩემპიონატების 199 მატჩში კი 46 ბურთი გაიტანა. მათგან 5 ერთ მატჩში — ერევნის „არარატის" წინააღმდეგ 1966 წლის 22 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ქართველმა ფეხბურთელმა 29 წუთში 5 ბურთი გაიტანა: 48-ე, 59-ე, მე-60, 74-ე და 77-ე წუთებზე, და ამით სსრკ-ის რეკორდი დაამყარა (ზოგიერთი ცნობით, გაიმეორა).



„ოქროს მატჩის" რადიორეპორტაჟმა, რომელიც ეროსი მანჯგალაძესა და კოტე მახარაძეს მიჰყავდათ, თითქმის მთელი საქართველო რადიომიმღებებს მიაჯაჭვა

აი, როგორ იხსენებს ამ მატჩის პერიპეტიებს ილია დათუნაშვილი ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში:

„...1966 წელს ერევნის „არარატთან" 5 ბურთი გავიტანე. მეექვსეს გატანაც შემეძლო, მაგრამ **ალექსი ილიადიმ** არ მაცალა და ბურთი ძელს მოარტყა... ამ ხუთი გოლის შემდეგ გულშემატკივრები ბევრს ხუმრობდნენ. მახსოვს, ჩემი ძმაკაცები თბილისელი სომხების ოჯახებში რეკავდნენ, — ალო, უკაცრავად, დათუნაშვილის ბინააო?! ზოგიერთი კი მეუბნებოდა ერევანში ჭირვეულ ბავშვებს შენით აშინებენ: „დათუნაშვილი გალისაო", ანუ გაჩერდი, თორემ დათუნაშვილი მოვაო.

...ერთმა მითხრა: შენი ფოტო ერევნის ტირში ვნახე გაკრულიო. არ დავიჯერე, მაგრამ მალე ჩემი მეზობელი ჩამოვიდა ჯარიდან, ლენინაკანში მსახურობდა და მითხრა: ეგრეა, მეც შევესწარი, როგორ „დაგხვრიტესო".

**ნიკა კორინთელი**

**მატჩის დასრულებამდე 17 წუთით ადრე ილია დათუნაშვილმა პირდაპირ კუთხურიდან გაიტანა ბურთი მოსკოვის ტორპედოელთა კარში და ანგარიში გაათანაბრა. დამატებით დროში, მესამე ტაიმის დაწყებისთანავე, 92-ე წუთზე, მიხეილ მესხის გადაცემის შემდეგ, კვლავ ილია დათუნაშვილმა შეარხია მოსკოვის «ტორპედოს» კარის ბადე. შემდეგ, იმავე მესხმა (102-ე წთ) და ბოლოს სლავა მეტრეველმა (107-ე წუთზე პენალტით) ანგარიში 4:1 გახადეს თბილისელთა სასარგებლოდ. ილია დათუნაშვილის დუბლმა «ოქროს მატჩში» თბილისელებს სსრკ-ის ჩემპიონის პირველი ტიტული მოუპოვა**



## მოკლე ბიოგრაფია:

ილია დათუნაშვილი — ქართველი ფეხბურთელი, ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ყოფილი თავდამსხმელი. დაიბადა 1937 წლის 1 სექტემბერს ბათუმში, თამაში დაიწყო 1954 წელს ლანჩხუთის „კოლმეურნეში". 1957-1958 წლებში იცავდა ქუთაისის „ტორპედოს" ღირსებას. დანარჩენი წლები გაატარა თბილისის „დინამოში" (1959-1968). 199 მატჩში გაიტანა 46 გოლი. 1966 წლის 22 სექტემბერს მატჩში ერევნის „არარატის" წინააღმდეგ გაიმეორა სსრკ-ის ჩემპიონატის რეკორდი, რომელიც 1938 წელს დაამყარა ევგენი შელაგინმა, გაიტანა 5 გოლი მატჩში. მან ეს შეძლო 27[2] (ან 28[3]) წუთში. 2014 წელს დასახელდა სპორტის რაინდად. არის საბჭოთა კავშირის 1964 წლის ჩემპიონი თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში, მესამე პრიზიორი — 1962, 1967 წლებში; 1966 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი (20 გოლი).



მიხეილ ბარიშნიკოვი:

# თბილისში რუსული კულტურის ერთი ნაწილი ჩამოვიტანე



მიხაილ ბარიშნიკოვი და რეზო გაბრიაძე (ცენტრში) ახლობლებთან ერთად, მარიონეტების თეატრის სცენაზე. მარცხნიდან პირველი — ალვის ჰერმანისი

**ჩვენმა მკითხველმა უთუოდ იცის, რომ 14 სექტემბერს თბილისში გაიხსნა და 30 სექტემბრამდე გასტანს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული იყო სამი მონოსპექტაკლის სახელწოდებით „ბროდსკი/ბარიშნიკოვი“ წარმოდგენა (და გაიმართა კიდეც), რომლებშიც მონაწილეობდა მსოფლიოში ცნობილი მოცეკვავე, ბალეტმეისტერი და მსახიობი მიხეილ ბარიშნიკოვი.**

სამსახეობა თეატრალური ხელოვნების — ტრადიციული მონოსპექტაკლის, პანტომიმასა და ცეკვასთან შერწყმული. დამდგმელი რეჟისორი — **ალვის ჰერმანისი.**

სპექტაკლი, რომელმაც წარმატებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, თბილისელმა მაყურებელმა შეაფასა, როგორც თეატრალური ჟანრის უნიკალური მოვლენა.

**რეზო გაბრიაძე** — სახელგანთქმული მწერალი, სცენარისტი, მხატვარი და რეჟისორი, დაესწრო „ბროდსკი/ბარიშნიკოვის“ სპექტაკლს და ასე შეაფასა:

— მე და ბარიშნიკოვი დიდი ხნის მეგობრები ვართ, საერთო მეგობრებიც ბევრი გვყავს. თავის დროზე ერთობლივად ვიმუშავეთ ბროდვეიზე ჩემი ნოველის „ექიმი და ავადმყოფის“ განსახორციელებლად.

**— რაც წარმატებით დაგვირგვინდა.**

— დიახ. მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ... მიშამ (ბარიშნიკოვმა) თბილისის ფესტივალზე ჩამოიტანა სპექტაკლი „ბროდსკი/ბარიშნიკოვი“, მეტად მნიშვნელოვანი წარმოდგენა, რომელიც ეფუძნება თანამედროვეობის ისეთი გიგანტი პოეტის შემოქმედებას, როგორიც არის **იოსებ ბროდსკი.** მის როლს სპექტაკლში მიხეილ ბარიშნიკოვი ასრულებს, პოეტის უახლოესი მეგობარი.

ამ სპექტაკლით მიშამ გადაწყვიტა ურთულესი ამოცანა. თავი დავანებოთ იმას, რომ ბარიშნიკოვი ფანტასტიკური მოცეკვავეა. იგი აქ წარმოგვიდგა, როგორც ძალიან ძლიერი დრამატული მსახიობი. თანაც, არის ისეთი მომენტები, როცა თავისი ერთი მოძრაობით, გამოხედვით, გავლით, ბალეტის ხერხით გადმოგცემთ განწყობილებას, გრძნობას და თქვენს ყურადღებას საჭირო აქცენტით გაამახვილებს, მაგრამ ეს ყველაფერი, რაც სპექტაკლში ხდება, რომ შეკრიბო, სულ ათი წამი გამოვა.

შეუძლებელია, მოგიყვეთ, ეს სპექტაკლი (არ მინდა, ავთქვიფო სიტყვები ისე, როგორც კვერცხის ცილა და გული და მივიღო რაღაც ქაფი), შეუძლებელია, ისევე, როგორც კარგი ნახატის მოყოლა. უნდა ნახოთ.

ამ სპექტაკლმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მაყურებელმა მკვრივი, კაუჩუკისებური ტაშით დააჯილდოვა ავტორ-შემსრულებელი. ეს ნიშნავდა, რომ თეატრალურმა საზოგადოებამ ზუსტად აღიქვა თანამედროვე რეჟისურა, მთავარი და ერთადერთი როლის შემსრულებლის ხელოვნება და წარმოდგენის არსი. რა სასიხარულოა, რომ ასეთი კარგი, ზომიერი, ზუსტი შემფასეფელი და განსწავლული მაყურებელი გვყავს თბილისში. ეს სიამაყით გვავსებს ყველას.

ამ სპექტაკლის თბილისში ჩამოტანა ძალიან დიდი და სასიამოვნო ფაქტია.

მიშას მსახიობურ ოსტატობას, დიდი ხანია, ვიცნობ და ვაფასებ. ამჯერად დავინახე კიდევ ერთი წახნაგი მისი ხელოვნების, როცა თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი პოეტის სცენური სახე დაგვიხატა.

* * *

უნდა ნახოო, — ბრძანა ბატონმა რეზომ, ვერ მოგიყვებიო. ვნახავდი, მაგრამ ბილეთს სად იშოვი, როცა სპექტაკლზე დასასწრებლად მოსკოვიდან სპეციალურად ჩამოდიან პროფესიული საქმიანობით ისე დაკავებული ადამიანები, როგორიცაა ცნობილი (და პოპულარული) ტელეწამყვანი **ლეონიდ პარფიონოვი,** რომელმაც რეზო გაბრიაძეს თეატრში მიაკითხა.:

— უპირველეს ყოვლისა, ამ სპექტაკლზე დასასწრებლად ჩამოვედი, — თქვა მან. — სხვა საქმეც მაქვს, რომელიც ჩემს მომავალ ფილმებზე მუშაობას, მათ შორის საქართველოზეც, ეხება. მოგიყვებით, კერძოდ, რას ვაპირებ, მაგრამ ნუ გამოაქვეყნებთ, სანამ ოფიციალურად არ განვაცხადებ.

**— როდის?**

— მალე.

*(დავსვათ აქ წერტილი და „ბროდსკი/ბარიშნიკოვს“ დავუბრუნდეთ).*

**— რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამ რთულ პერიოდში ჩამოხვედით თბილისში.**

— ოფიციალური ხელისუფლებისთვის არის რთული და არა ადამიანებისთვის. პიტერისა და მოსკოვის მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენისთვის თბილისი დასვენების უმნიშვნელოვანესი ცენტრია. შაბათ-კვირაობით ჩამოდიან. თქვენთან სულ სხვა გარემოა, მათი მხარისგან განსხვავებული და მიმზიდველი.



ლეონიდ პარფიონოვი



მიხეილ ბარიშნიკოვი

თქვენი მაყურებელიც სხვანაირია — მცოდნე და განათლებული. ხომ იცით, რა რთულია ბროდსკის პოეზია, მაგრამ უნდა გენახათ, როგორი ყურადღებით უსმენდა ქართული თეატრალური აუდიტორია ბარიშნიკოვის მიერ ოსტატურად წაკითხულ ბროდსკის ლექსებს, უსმენდა, იგებდა და სათანადოდაც აჯილდოვებდა ტაშით. საოცარი იყო! ერთ რამედ ღირდა ამის ხილვა.

* * *

**ეს იყო 15-ში, 16 სექტემბერს კი საშუალება მომეცა, შევხვედროდი ბარიშნიკოვს, რომელიც ბატონ რეზოს ესტუმრა.**

**თბილისური გასტროლების შესახებ შთაბეჭდილება მიხეილმა მარიონეტების თეატრის სცენის კულისებში გამიზიარა:**

— თბილისში პირველად ჩამოვედი 1974 წელს, რუსეთიდან ჩემი გამგზავრების წინ. დღემდე მახსოვს თქვენი სტუმართმოყვარეობა და თეატრალური ცხოვრების გამორჩეულად მაღალი დონე, რომელიც აქ დამხვდა. თქვენი მაყურებელი, რომელიც მიჩვეულია მაღალმხატვრული სპექტაკლების ხილვას, უაღრესად მომთხოვნი იყო და არის, მაგრამ ყოველთვის კეთილგანწყობილია.

თბილისელების წინაშე გამოსვლა, რომლებიც შესანიშნავად ერკვევიან თეატრალური ხელოვნების ნიუანსებში და ობიექტური შემფასებლები არიან, იოლი არ არის. თქვენ ყოველთვის ელით თეატრალურ მოულოდნელობებს, ცხოვრობთ უდიდესი კულტურის მქონე დედაქალაქში, ეს რეალობა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მაკისრებდა მე, ვინც ამ დღეებში რუსული კულტურის ერთი ნაწილი ჩამოვიტანე და წარვადგინე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე.

ხელოვნება — თეატრი, ლიტერატურა და ა.შ., საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა ჩვენს ორ ხალხს. სწორედ აქედან მოდის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობ, ვღელავ, როცა სცენაზე გამოვდივარ. ამას ვერასოდეს მიეჩვევი.

**არმაზ სანებლიძე**

**უნდა გენახათ, როგორი ყურადღებით უსმენდა ქართული თეატრალური აუდიტორია ბარიშნიკოვის მიერ ოსტატურად წაკითხულ ბროდსკის ლექსებს**

# თბილისში «ღამის ავტობუსები» იმოძრავებს

**21 სექტემბრიდან ყოველ პარასკევსა და შაბათს 00:00-დან 06:00 საათამდე მეტროპოლიტენის სადგურ „ახმეტელის თეატრიდან“ „ვარკეთილამდე“ ავტობუსი იმოძრავებს. მარშრუტი „ღამის ეკონომიკის“ პროექტის ფარგლებში შემუშავდა.**

„ჩვენ ვამბობდით, რომ „ღამის ეკონომიკის“ განვითარების ფარგლებში, საჭირო და მნიშვნელოვანია, ღამის საათებში, კონკრეტულ ლოკაციებზე მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა იყოს შესაძლებელი. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია და 21 სექტემბრიდან, ყოველ პარასკევსა და შაბათს, 00:00-დან 06:00 საათამდე, მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრიდან“ „ვარკეთილამდე“ ავტობუსი იმოძრავებს. ჩვენთვისაც საინტერესოა, თუ როგორ განხორციელდება საპილოტე პროექტი. ვფიქრობ, ეს ძალიან მოსახერხებელი იქნება, როგორც ღამის ცხოვრების მოყვარული ახალგაზრდებისთვის, ისე ტურისტებისა და ღამით დასაქმებული მოქალაქეებისთვის“, — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ. თბილისის მერიის ინფორმაციით, „ღამის ავტობუსის“ საპილოტე პროექტი დაიგეგმა ისე, რომ დედაქალაქის უმეტესი ნაწილი მოიცვას და მგზავრები გასართობი და კულტურული აქტივობებით დატვირთულ ცენტრებთან დააკავშიროს. ავტობუსს ექნება წარწერა „ღამის ავტობუსი“. საპილოტე მარშრუტზე „მანის“ მარკის ავტობუსები ერთსაათიანი ინტერვალით და 50-თეთრიანი ტარიფით იმოძრავებენ. ამასთანავე, შეღავათიანი მგზავრობის ტარიფიც იმოქმედებს.



დედაქალაქის მთავრობამ „ღამის ავტობუსების“ გაჩერების ადგილებიც გამოაქვეყნა: **მეტროპოლიტენის სადგური „ახმეტელის თეატრი“, ფარნავაზ მეფის გამზირი (ჰიპერმარკეტი „გუდვილი“), მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და გიორგი სააკაძის I გასასვლელის გადაკვეთა, ვახუშტი ბაგრატიონისა და რაფაელ აგლაძის ქუჩების გადაკვეთა, სტადიონი „დინამო არენა“, დავით აღმაშენებლის გამზირი №106, პირველი რესპუბლიკის მოედანი, მეტროპოლიტენის სადგური „თავისუფლების მოედანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. „კონკა“, ევროპის მოედანი, ვახტანგ გორგასლის ქ. №7, აბანოებთან, დოდაშვილის მოედანი, მეტროპოლიტენის სადგური „ისანი“, მეტროპოლიტენის სადგური „ვარკეთილი“.**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894